გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ქართველობის გადასარჩენად

ილორი

E-mail: roland.jalagania@mail.ru

E-mail: r.jalagania@mail.ru

№413 (475) 17-31 ოქტომბერი 2017 წ. სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სირცხვილი ის კი არ არის, რომ მეგრულად ლაპარაკობენ, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიცით მეგრული ენა — აკაკი შანიძე

ჰამლეტ ჭიპაშვილი: გაეროს გენერალური ასამბლეის მუშაობის თაობაზე

გვ.2

დავით გახარია

ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს მხოლოდ ღირსეული ადამიანები უნდა წარმოადგენდნენ

გვ.2

7 კრიტერიუმი, რომლების დაკმაყოფილებაც ავტომობილებს ტექდათვალიერებისას მოუწევთ

გვ.11

გიორგი ყუფარაძე: ეს მათთვის ვინც გაჰყვირის, რომ ბიძინა ივანიშვილი აღარაფერს აკეთებსო

გვ. 3

სოხუმიდან ჩამოსულმა პოეტმა ზუგდიდელებს საკუთარი შემოქმედება გააცნო

გვ.7

ზუგდიდის ყველაზე ლამაზი ეზო, რომელსაც 46 წლის კაცი შვიდი წელია საკუთარი ხელით აშენებს

გვ.10

ნუგზარ კვაშილავა: რა არის მეცნიერება...

გვ.9

თენგიზ კუბლაშვილი: OPENIUS, დიდება შენდა!

გვ.8

ლავრენტი ბერია — საბჭოთა კავშირის ცილდაწამებული გმირი

გვ.4

მაია-დარეჯან ჯიქია: საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობის გზაზე

გვ.7

ილორი
ეროვნული
ინფორმაციის
ბანკი

გაეროს გენერალური ასამბლეის მუშაობის თაობაზე

გასული პერიოდის უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო გაეროს გენერალური ასამბლეის მორიგი მუშაობის დაწყება. ასამბლეის ჩვეულებრივ შეკრებას, რომელსაც ყოველი წლის შემოდგომით აქვს ადგილი, გამორჩეულობის ელფერს მატებდა აშშ-ს პრეზიდენტის ტრამპის გამოსვლა.

ტრამპი პირველად იღებდა მონაწილეობას სესიის მუშაობაში და ამდენად ყველა დიდის ინტერესით ელოდა მის სიტყვას. გარდა ამისა, ტრამპი, ინაუგურაციიდან დაწყებული, დღემდე არაერთ სალანძღავ სიტყვას ხმარობდა გაეროს სუსტი მუშაობის თაობაზე. ამბობდა იმასაც, რომ გაეროს სტრუქტურა კარდინალურად უნდა შეიცვალოს. განსაკუთრებული აქცენტი კეთდებოდა გაეროს უშიშროების საბჭოს რეორგანიზაციაზე და ისეთ საკითხზეც, როგორიცაა ვეტოს გამოყენება.

ამ **„ფუფუნებით“** უშიშროების საბჭოს ხუთი მუდმივი წევრი სარგებლობს. ესენია: აშშ-ი, რუსეთი, ჩინეთი, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი. ითქვა, ცხადია კულუარებში, ვეტოს უფლების გაუქმების თაობაზეც, რაც რუსეთმა და ჩინეთმა პირად შეტევად მიიღეს.

ნიუ-იორკში ჩასულმა ტრამპმა – გაეროს მუშაობის გარდაქმნის მიზნით შემუშავებული საკუთარი პროექტი წარუდგინა რამდენიმე ქვეყნის წარმომადგენელს **„თათარიახნად“** მოწყობილ თათბირზე. მოწვეულთა შორის არ იყო რუსეთის წარმომადგენელი, დღემდე გამოუცნობი მიზეზის გამო.

თათბირი ხანმოკლე გამოდგა, მაგრამ ტრამპმა მოახერხა გვერდით მჯდომი გაეროს ახალი გენერალური მდივნის გუტიერეშის შეხურება – ბევრ ფულს ხარჯავთ, საქმეს კი ცოტას აკეთებთო და თუ ვითარება არ შეიცვლება უკეთესობისკენ, აშშ-ი მკვეთრად შეამცირებს თქვენი ორგანიზაციის დაფინანსებასო. შეხურებასთან ერთად მან გუტიერეში შეაგულიანა – თქვენ უნდა იყოთ მსოფლიო საჭირბოროტო საკითხების, მათ შორის კონფლიქტების მთავარი მომგვარებელიო. გუტიერეში კი შეეცდება იყოს ასეთი, მაგრამ აშშ-ს პოზიცია მსოფლიოს ერთმმართველობის თაობაზე უდავოდ დიდი ბარიერი იქნება ამ საქმის განხორციელებაში.

გაეროს რეორგანიზაციის თემა რა ხანია დგას დღის წესრიგში, მაგრამ აზრთა სხვადასხვაობის გამო ჩიხშია შესული. განსაკუთრებული ყურადღება მახვილდება უშიშროების საბჭოზე. არის მოსაზრება, რომ უშიშროების საბჭოს ხუთ მუდმივ წევრს კიდევ რამდენიმე დაემატოს, მაგალითად გერმანია, იაპონია, ინდოეთი... მაგრამ ვეტოს უფლების გარეშე.

არის სხვა მოსაზრებაც – ვეტოს გაუქმება, რაც, როგორც უკვე აღვნიშნე, რუსეთ-ჩინეთის პოზიციას აზიანებს. ამ შემთხვევაში ნებისმიერი საკითხი გადაიჭრება ხმათა უმრავლესობით. ეს წესი თავისთავად ნიშნავს აშშ-ს პოზიციის განმტკიცებას და უშიშროების საბჭოს მიერ სწორედ აშშ-ს სასარგებლო გადაწყვეტილების მიღებას. აშშ-ი საკმაოდ ძლიერი გავლენით სარგებლობს არა მარტო თავის მოკავშირეებში, არამედ მსოფლიოს სხვა ქვეყნებშიც.

ამ გავლენის გარანტორად გვევლინება აშშ-ს სამხედრო ძლიერება, მსოფლიოში მიმოფენილი ამერიკული სამხედრო ბაზები, ეკონომიკური კავშირები, მსოფლიო ბანკი და სავალუტო ფონდი, მსოფლიოს წარმმართველი ვალუტა დოლარი, სხვა მსხვილწვრილი ეკონომიკურ-ფინანსური ბერკეტები.

დღევანდელი მსოფლიო ერთპოლუსიანია და მის სათავეში აშშ-ა, თუმცა მიმდინარე პოლიტიკურ-ეკონომიკური მოვლენები გვიკარნახებენ, რომ ამ სისტემას წყალი აქვს შემდგარი. მსოფლიოში სხვა ქვეყნებიც ამოიწვერენ ჩინეთის, რუსეთის, ინდოეთის სახით, რომლებიც ეპაექრებიან აშშ-ს და მრავალპოლუსიანობისკენ მიანიშნებენ მას. თუ რა სისწრაფით განვითარდება მრავალპოლუსიანობისკენ სვლა, უახლოესი მომავალი გვიჩვენებს.

მანამ აშშ-ი მზადაა პასუხი გასცეს გამოწვევას ეკონომიკური სანქციებით, ძალის გამოყენებით, მუქარით, რაც გაისმა კიდევაც ტრამპის გამოსვლის დროს. მისამართი ისედაც ცნობილი იყო, ვინაიდან ლამის ნახევარ წელზე მეტია ამერიკა ემუქრება ჩრდილო კორეას და ისიც ამერიკას, თავისი ქცევით – ბირთვული იარაღის გამოცდით და ბალისტიკური რაკეტების გაშვებით.

ვიდრე კორეის თემას განვიხილავ, ისევ ვახსენებ ვეტოს საკითხს. თუ ვეტო აღარ იქნება, რუსეთი დაკარგავს უდიდეს გავლენას საკითხების გადაწყვეტაზე. აშშ-ი კი, სხვებთან შეთანხმებით, იოლად შეძლებს საკითხების მის სასარგებლოდ გადაწყვეტას.

რუსეთი იმთავითვე ეწინააღმდეგებოდა ამერიკულ პროექტს და მიიჩნევდა, რომ საჭირო იყო მასზე კოლექტიური მუშაობა. აშშ-ა, ნაცვლად კოლექტიური მუშაობისა, ისე, როგორც ეს მეპატრონეს ჩვევია, შეთხზა პროექტი, თანაც ყველასთან შეუთანხმებლად და დიდკაცურად, ჩამოურიგა თათბირში მონაწილე ქვეყნებს – გასაცნობად და მისაღებად. რამდენად დაემორჩილებიან ტრამპის სურვილს ეს ქვეყნები მალე დავინახავთ, მაგრამ რუსეთმა და ჩინეთმა კატეგორიული უარი სტკიცეს ტრამპს. ეს კი მარცხია, თანაც დასაწყისიდანვე.

რატომ არ უნდათ გარკვეულ ქვეყნებს, რომ რუსეთს არ ჰქონდეს ვეტოს უფლება?

მარტივი მოსაზრების გამო. აშშ-თან შეთანხმებით და ამ უკანასკნელის სხვებზე ზეწოლით, ხმათა უმრავლესობით სასურველი რეზოლუციის მიღებისთვის. მაგალითად – უკრაინის ხელისუფლება დაბეჯითებით იბრძვის რუსეთისთვის აგრესორის დამღის მისანიჭებლად. ის ამტკიცებს, რომ დონბასში რუსი ჯარისკაცები იბრძვიან.

ოფიციალურმა კიევმა კარგად იცის, რომ დონეცკსა და ლუგანსკში რუსეთის არმია არ არის, მაგრამ რუსეთის გასაშავებლად და დაკარგული ტერიტორიების დასაბრუნებლად თხზავს სიცრუეს, რომელიც მედიის საშუალებით ეფინება მსოფლიოს, როგორც ჭეშმარიტება. ვეტოს არ არსებობის შემთხვევაში, აშშ-ნ საერთო ენის გამოძებნით, ის შეძლებდა ანტირუსული რეზოლუციის მიღებას.

ამერიკელთა ძალისხმევით აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები რახანია ანტრუსული პროპაგანდის მთავარ შემოქმედებად გვევლინებიან. ლიტვის პრეზიდენტმა გრიბაუსკაიტემ დაგმო რუსული აგრესია და ყურადღება გაამახვილა რუსეთ-ბელარუსულ სამხედრო წვრთნებზე, როგორც ევროპისთვის უდიდეს საფრთხეზე და ეს მაშინ, როდესაც ნატოს ჯარები მჭიდროდ არიან შემორკალულნი რუსეთის დასავლეთის საზღვრებზე.

დავუბრუნდეთ გაეროში ტრამპის გამოსვლას. მან ისეთი მუქარა შეუთვალა ჩრდილო კორეას, რომ სიტყვით ქვა-ქვაზე არ დატოვა – თუ არ შეეშვება ამერიკისა და მისი მოკავშირეების მუქარას, მიწასთან გაასწორებს.

დარბაზში მყოფთ არ გაკვირვებიათ ტრამპის არადიპლომატიური განცხადება. ისინი უკვე მეეჩვივნენ მსგავსს. ვიზავიმაც არ დააყოვნა და იმავე ტონალობით უპასუხა – ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდის და ისიც დაამატა, რომ სულ მალე გამოცდის წყალბადის ბომბს წყნარ ოკეანეში.

ტრამპის მუქარა რიტუალად იქცა – არასასურველ, უხერხულ რიტუალად, რომელსაც არ ახლავს მუქარის შესრულება. და კიდევ კარგი, რომ არ ახლავს, წინააღმდეგ შემთხვევაში მესამე მსოფლიო ომი, თანაც ბირთვული, გარდაუვალი იქნებოდა.

დონალდ ტრამპმა არა მარტო ჩრდილო კორეა გალანძღა, არამედ ირანიც – უწოდა რა მას ტერორიზმის სპონსორი სახელმწიფო.

თუ ვინ არის ტერორიზმის სპონსორი და დამცველი კიდევ ერთხელ, ახლახანს დამტკიცდა, როდესაც იდლიბის პროვინციაში (სირია) ტერორისტებმა, აშშ-ს სპეცსამსახურების დახმარებით ალყაში მოაქციეს რუსი პოლიციელები, რომლებიც წესრიგს იცავენ ტერორისტებისგან გათავისუფლებულ ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში. რომ არა დამხმარე ძალის დროული რეაგირება, ტერორისტები მუსრს გაავლებდნენ რუს პოლიციელებს. გაერთიანებული ძალისხმევით რუსმა სამხედროებმა შეძლეს ალყის გარღვევა. საბოლოო ჯამში, რუსულ-სირიულმა მხარემ, ყოველგვარი დანაკარგის გარეშე შეძლო ოპერაციის წარმატებით დასრულება და 850 ტერორისტის ლიკვიდაცია.

რუსულმა მხარემ პროტესტით მიმართა აშშ-ს და დაპირდა, რომ მსგავსის განმეორების შემთხვევაში, ის არ დაინდობს აშშ-ს სპეცსამსახურების ექსპერტებს, რომლებიც მრავლობით რიცხვში არიან სირიაში და დახმარებას უწევენ ე.წ. ზომიერ ტერორისტებს.

რაც შეეხება ირანს – ეს ქვეყანა, რუსეთთან და ორგანიზაცია **„ჰესბოლასთან“** ერთად მუსრს ავლებს სირიის ტერიტორიაზე თავმოყრილ ტერორისტებს. სწორედ ამ სამეულის დაუღალავი მეცადინეობით იქნა გათავისუფლებული სირიის ტერიტორიის 80% ტერორისტებისგან.

ტრამპს არ მოსწონს ირანი, რის შესახებაც ის წინასაარჩევნო კამპანიიდან დაწყებული აცხადებს. თან იმასაც ამბობს, რომ აშშ-ი გამოვა იმ შეთანხმებიდან, რომელიც გაფორმდა პრეზიდენტ ობამას დროს – ირანის ბირთვული პროგრამის შეჩერების მიზნით.

ხელშეკრულების მონაწილე ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისა და თვით ამ ორგანიზაციის სახელით ანტიამერიკული განცხადებები გაკეთდა. მათ დაგმეს ტრამპის მოქმედება არა მარტო ირანთან, არამედ ჩრდილო კორეასთან მიმართებაშიც.

ევროპელთა მოქმედება უდავოდ იმის მაუწყებელია, რომ დაპირისპირება ამერიკა-ევროპას შორის სერიოზულ სახეს იღებს. ევროპელებს აღარ აწყობთ მუდამ მორჩილი კრავის პოზაში ყოფნა და **„დიდი“** პატრონის თვალში ციცინი.

ტრამპის გამოსვლაში იყო სხვა მომენტიც, რუსეთის მიმართ აუგის ართქმა. არადა როგორც წინა, ისე იმის წინა ამერიკელი პრეზიდენტები, გაეროს მაღალ ტრიბუნას რუსეთის სალანძღავად იყენებდნენ. პრეზიდენტ ტრამპის თავშეკავება რაღაცას ნიშნავს და ეს **„რაღაცა“** რუსეთთან ნორმალური ურთიერთობების ჩამოყალიბებაა. ამჯერად ტრამპს არ სურს ამერიკის პოლიტიკოსების გაღიზიანება და მათი ახალი რისხვის გამოწვევა. ის ელოდება სპეკკომისიის მუშაობის დასრულებას, რომელმაც უნდა დაადგინოს – ერეოდა თუ არა რუსეთი ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნებში ტრამპის სასარგებლოდ.

რაც შეეხება ე.წ. მეგობარი ქვეყნების ჩვენს მიმართ მხარდაჭერას გაეროს ტრიბუნიდან, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის მიზნით, უდავოდ დასაფასებელია, მაგრამ საზეიმო ნამდვილად არ არის. ბალტიისპირა ქვეყნები, პოლონეთი და სხვები – თვით ტრამპის მიერ წინასაარჩევნო კამპანიის დროს პროვოკატორებად მოხსენიებულნი, მუდამ ლანძღავენ და მომავალშიც გალანძღავენ რუსეთს, მაგრამ ამით რუსეთს არაფერი დააკლდება. მათი ლანძღვა აშშ-ს დირიჟორობით ხდება და ეს კარგად იციან ევროპაში. როდესაც ლიტვის პრეზიდენტი დალია გრიბაუსკაიტე აცხადებს, რომ რუსეთ-ბელარუსის სამხედრო წვრთნებში 100.000 რუსი სამხედრო იღებდა მონაწილეობას, ხოლო ნატოელი დამკვირვებლები ამბობენ, რომ რაოდენობა 13.000-ს არ აჭარბებდა, სერიოზულობას არ მატებს არც პრეზიდენტს და არც მის ქვეყანას.

თურქეთის, ესტონეთის, პოლონეთის, სლოვაკეთის, ლიტვის წარმომადგენლების მიერ მოხსენებაში აღნიშნულმა საქართველოს მხარდაჭერამ, ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებით, ეიფორია გამოიწვია საქართველოს პოლიტიკოს-პოლიტოლოგთა შორის. მაგალითად, სოსო ცისკარიშვილი აცხადებს, რომ **„ეს ყველაფერი ოპტიმიზმის გარკვეულ შესაძლებლობას აძლიერებს“**. გია ვოლსკი კი გვეუბნება: **„ნუ შევხედავთ ამას როგორც მხოლოდ ტრიბუნიდან ნათქვამ სიტყვებს“**.

როგორც ჩანს, მას რაღაცის იმედი აქვს, რასაც ცივ წყალს ასხამს თამარ კიკნაძე: **„განცხადებები კარგია, მაგრამ ამას პარალელურად უნდა ქმედება. ყველა ეს ქვეყანა მაინც უწევს ანგარიშს რუსეთის სიძლიერეს“**.

ქალბატონი თამარი მოუწოდებს ქართულ მხარეს რუსეთთან მოლაპარაკების დაწყებას, რასაც სხვებიც იზიარებენ. ნაცვლად ბაქიბუქისა და რომელიღაც ქვეყნის მეთაურის (ცხადია წვრილფეხას) სიტყვისა, გაცილებით უმჯობესი იქნებოდა პრაგმატული აზრის განვითარება რუსეთთან პირდაპირი დიალოგის დაწყების მიზნით.

გაეროს 72-ე სესიამ უდავოდ დაგვანახა – ვინ არის მსოფლიო მშვიდობის მტერი; ვინ იწვევს მსოფლიო დაძაბულობას; ვინ აცხადებს, რომ გაანადგურებს სუვერენულ ქვეყანას. ეს ამერიკაა, რომელსაც უდავოდ ესაჭიროება ლაგამი.

ჰამლეტ ჯიპაშვილი,
პოლიტოლოგი

ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს მხოლოდ ღირსეული ადამიანები უნდა წარმოადგენდნენ

უდავოდ სასიამოვნო გახლდათ ამომრჩევლებისათვის ბატონ დავით გახარიას გადაწყვეტილების გახმოვანება იმის თაობაზე, რომ იგი ადგილობრივი მმართველობის ორგანოების არჩევნებში კენჭს იყრის ზუგდიდის საკრებულოს მაჟორიტარ დეპუტატად ეგრისის (საჯვარო-ფაიფური) უბანში.

შემთხვევითი არ გახლდათ ის, რომ **“ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს”** მესვეურებმა სწორედ ამ ადამიანზე შეაჩერეს არჩევანი და მისი კანდიდატურა დააყენეს ეგრისის საარჩევნო უბანში. ამის დასტური გახლავთ მუხლმოუღლელი ადამიანს შრომითი ბიოგრაფია, რომელსაც ცხოვრებაში ერთი საათიც კი არ გაუტარებია უსაქმოდ.

დავით გახარია დაიბადა 1963 წლის 19 ივნისს ქალაქ ზუგდიდში.

1994 წარმატებით ჩააბარა მისადები გამოცდები ეკონომიკურ ურთიერთობათა თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტში, საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ფაკულტეტზე, რომელიც ასევე წარმატებით დაამთავრა 1999 წელს.

1982-1984 წლებში გაიარა სავალდებულო სამხედრო სამსახური, რომლის შემდეგ მუშაობდა სხვადასხვა წარმოება-დაწესებულებებში რიგით თუ ხელმძღვანელ თანამდებობებზე.

2015 წელს დააფუძნა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება **“მშენებელი”** და ორი წლის განმავლობაში ასრულებდა ამ ორგანიზაციის დირექტორის მოვალეობას.

იყო ბიზნესგაერთიანება **“საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის”** წარმომადგენელი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში.

გახლდათ მის მიერვე შექმნილი შპს **“დუკატის”** დამფუძნებელი და გენერალური დირექტორი, ხელმძღვანელობდა შპს **„ოდიშს“**, იყო სააქციო საზოგადოება **„კავკასიის ბირჟის“** ბროკერი, ზუგდიდის ჩაის გადამწონ ფაბრიკის ცვლის უფროსი, დღეს გახლავთ შპს **„ელიზის“** წარმომადგენელი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში;

თავისუფლად ფლობს რუსულ ენას. გააჩნია უახლესი კომპიუტერული ტექნიკის ფლობის სათანადო უნარი და მუშაობს სხვადასხვა სისტემებში. გავლილი აქვს საერთაშორისო პროგრამების ტრენინგები.

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

თითქოს მწირი ბიოგრაფია აქვს დავით გახარიას, მაგრამ ამ რამდენიმე ფრაზაში ჩატეულია იმ ადამიანის შრომითი წარსული, რომელსაც სიცოცხლის ერთი საათიც კი არ გაუტარებია უსაქმოდ, მუშაობდა თავად და შრომითი აღმაფრენის მაგალითს აძლევდა მის გვერდით მოფუსფუსე ადამიანებს. ამიტომ უხარიათ ამომრჩევლებს, რომ ზუგდიდის საკრებულოში მათი წარმომადგენელი იქნება პიროვნება, რომელმაც იცის შრომის ფასი, რომელიც ზრუნავდა და კვლავაც იზრუნებს ადამიანებზე.

განა ამაზე არ მეტყველებს მისი წინასაარჩევნო პროგრამა, რომელიც მან უკვე გააცნო ამომრჩევლებს და დაჰპირდა, რომ გაითვალისწინებს მათ ნებისმიერ რჩევას თუ შეტანილ კორექტივს აღნიშნულ პროგრამაში.

აი, ბატონი დავით გახარიას პროგრამიდან მოხმობილი რამდენიმე პუნქტი:

“– ვაპირებ ინვესტორების მოძიებას ჩვენს უბანში, რათა ხელი შევუწყოთ დასაქმებას საჯვარო-ფაიფურის უბანზე. ამისთვის უკვე ვაწარმოებ მოლაპარაკებებს ბინზესმენებთან.

– მოვახდენ ინფრასტრუქტურული და სოციალური პრობლემების ინიცირებას. ამჟამად მიმდინარეობს წყლის და წყალარინების ქსელის სრული რეაბილიტაცია, რის დასრულებისთანავე ჩვენ დავიწყებთ გზების სრულ რეაბილიტაციას.

– ჩვენი გუნდი გეგმავს ჯანდაცვის პრგრამების გაუმჯობესებას, სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისთვის, ვისაც საცხოვრებელი სახლი არ აქვს, ავაშენებთ ახალ სახლებს. ეს პროგრამა უკვე არსებობს მუნიციპალიტეტში და მომავალი წლიდან ის დაინერგება ქალაქის ტერიტორიაზეც.

– დიდ ყურადღებას მივაქცევთ განათლებას, განათლების ბიუჯეტი გაორმაგდება, უფასო გახდება მასწავლებლებისთვის მგზავრობა. აშენდება საბავშვო ბაღები...”

ეს არ გახლავთ როიო დაპირება, რაც, როგორც წესი, სჩვევიათ ხოლმე ზოგიერთ კანდიდატებს. ეს გახლავთ ხედვა ადამიანისა, რომელსაც გააჩნია დიდი შრომითი და ცხოვრებისეული გამოცდილება.

მაშ გზა დავულოცოთ ბატონ დავითს!

ᲔᲡ ᲛᲐᲗᲗᲕᲘᲡ ᲕᲘᲜᲪ ᲒᲐᲰᲧᲕᲘᲠᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲐᲦᲐᲠᲐᲤᲔᲠᲡ ᲐᲙᲔᲗᲔᲑᲡ

ქართული ოცნების წარმომადგენელი გიორგი ყუფარაძე სოციალურ ქსელში ბიძინა ივანიშვილის დაფინანსებულ პროექტებს ავრცელებს.

2012 ᲬᲚᲐᲛᲓᲔ ᲓᲐᲘᲮᲐᲠᲯᲐ 2,8 ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓᲘ ᲚᲐᲠᲘ

გთავაზობთ იმ ქველმოქმედების არასრულ სიას, რომელიც 2012 წლის არჩევნების შემდეგ განხორციელდა ბიძინა ივანიშვილის მიერ. ბიძინა ივანიშვილის ინიციატივით საქართველოს ყველა სოფელს ინტერნეტი ექნება, პროექტის ღირებულება დაახლოებით 150 მილიონი დოლარია და მას სრულად დააფინანსებს ფონდი **„ქართუ"**.

საერთო ჯამში, პროექტის ფარგლებში ინტერნეტი საქართველოს 2000 სოფელში შევა და მთლიანობაში ხელმისაწვდომი მოსახლეობის 91%-სთვის გახდება. OpenNet-ის მაგისტრალური ინფრასტრუქტურის გამოყენებით მომსახურებას მიიღებს 190.000-მდე აბონენტი. პროექტის განხორციელება 2018 წელს უნდა დასრულდეს.

პროექტი ასევე მოიცავს რეგიონის მასშტაბით კვალიფიციური კადრების გადამზადებას, ტრენერების მომზადებას, დამწყები მაღალტექნოლოგიური კომპანიების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას. გარდა ამისა, პროექტის ფარგლებში განხორციელდება საგრანტო პროგრამები, რომლებიც ინოვაციური პროექტების სხვადასხვა ფაზებს დააფინანსებს. გათვალისწინებულია ასევე ინტერნეტიზაციის პროცესის ხელშემწყობი ქმედებები, მათ შორის კომპიუტერული წიგნიერების, კომპიუტერიზაციის და მცირე და საშუალო ინტერნეტ პროვაიდერული ბიზნესის ხელშეწყობა.

პროექტი, რომლის ღირებულება დაახლოებით 150 მილიონი დოლარია, ბიძინა ივანიშვილის დაფინანსებით განხორციელდება. პროექტის მიზანია საქართველოს ყველა რეგიონისა და სოფლების ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელით დაფარვა.

ფონდი **"ქართუს"** რაგბის პროგრამის ფარგლებში დაიხარჯა 100 მილიონი ლარი და აშენდა 16 სარაგბო ობიექტი. პროგრამა გულისხმობს საქართველოს სხვადასხვა ქალაქში რაგბის თანამედროვე სპორტული კომპლექსების აშენებას, აღჭურვასა და შემდგომ მხარდაჭერას, რათა მოზარდებს ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე ჰქონდეთ შესაძლებლობა ივარჯიშონ და აიმაღლონ კვალიფიკაცია.

ფონდი **"ქართუს"** რაგბის პროგრამის ყველა პროექტს აქვს შესაძლებლობა, უმასპინძლოს ეროვნული და საერთაშორისო დონის შეხვედრებს.

მარტყოფის რაგბის გადამზადების ცენტრი წარმოადგენს თანამედროვე ტექნოლოგიებით აგებულ კომპლექსს, რომელშიც გაერთიანებულია: ბუნებრივ და ხელოვნურსაფარიანი მოედნები, განათებით და სარწყავი სისტემით, 724 მაყურებელზე გათვლილი ტრიბუნა საშხაპეები, სატრენაჟორო, საკონფერენციო დარბაზი 64-ადგილიანი სასტუმრო, სრული ინფრასტრუქტურით და ჰელიოსისტემით. **"ფონდი ქართუს რაგბის პროგრამა"** მოიცავს 16 სარაგბო კომპლექსს, რომელთაგან უმრავლესობა უკვე დასრულებული და ექსპლუატაციაშია შესული.

ამ ეტაპზე პროგრამაზე დახარჯულია 100 მლნ ლარი, რაც გულისხმობს, როგორც სარაგბო ინფრასტრუქტურის შექმნას, ისე საქართველოს ნაკრების კომპლექსურ დაფინანსებას. **"ფონდი ქართუს რაგბის პროგრამა"** მომავალში გაგრძელდება **"ფონდი ქართუს რაგბის პროგრამის"** სპორტული სარაგბო ობიექტების სია:

1. ასპინძის რაგბის ბაზა (დასრულებული);
2. ფოთის რაგბის ბაზა (დასრულებული);
3. ბათუმის რაგბის ბაზა (სრულდება);
4. თელავის რაგბის ბაზა (მიმდინარე);
5. გორის რაგბის ბაზა (დასრულებული);
6. სენაკის რაგბის ბაზა (მიმდინარე);
7. სტადიონი "შევარდენი" თბილისში (დასრულებული);
8. სტადიონი "სინათლე" (ავჭალა) (დასრულებული, მიმდინარეობს განათების აბგრეიდი);
9. თბილისის ლოკომოტივის ბაზა (დიღომი) (მიმდინარე);
10. თბილისი დიდი დიღმის ბაზა (დასრულებული);
11. მარტყოფის რაგბის ბაზა (დასრულებული);
12. რუსთავის რაგბის ბაზა (დასრულებული);
13. ქუთაისის რაგბის კომპლექსი (დასრულებული);
14. ქუთაისის რაგბის ბავშვთა აკადემია (მიმდინარე);
15. თბილისის მოზარდ რაგბისტთა ბაზა ვარკეთილში (დასრულებული);
16. თბილისის რაგბის ბაზა ნუცუბიძის პლატოზე (მიმდინარე).

„ქართუ" კიდევ ხუთ სარაგბო ბაზას ააშენებს.

გორის ნაგავსაყრელზე ევროსტანდარტების შესაბამისი სტადიონის აშენებისათვის ფონდმა 5 მილიონ ლარზე მეტი გამოყო.

საქართველოში ყველაზე დიდი ქუთაისის სარაგბო კომპლექსი კი 4 მოედანს აერთიანებს, აქედან 3 ბუნებრივი საფარით არის დაფარული.

ბაზაზე მორაგბეებისთვის შენდება სასტუმროც, სადაც ჩემპიონატის დროს სპორტსმენები დაბინავდებიან. სასტუმროს მშენებლობა რამდენიმე თვეში დასრულდება და მასზე 3 მილიონ ლარზე მეტია გამოყოფილი. სრულად, ქუთაისის სარაგბო კომპლექსის მშენებლობა ფონდ **"ქართუს"** 12 მილიონ ლარზე მეტი დაუჯდა და ცენტრალური მოედანი ერთდროულად 4870 მაყურებლის მიღებას შეძლებს.

ქალაქ ფოთში მდებარე სარაგბო ბაზა კი 2450 მაყურებელზეა გათვლილი და მშენებლობის ხარჯმა 7 მილიონ ლარს გადააჭარბა.

ფონდ **"ქართუს",** საქართველოს მასშტაბით, 10 სარაგბო ბაზა აქვს აშენებული, 5 კი ამჟამად, მშენებლობის პროცესშია.

ყველა ბაზაზე ბავშვებისათვის რაგბის შესწავლა უფასოა.

ᲚᲐᲒᲝᲓᲔᲮᲘᲡ ᲓᲐᲪᲣᲚ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲔᲑᲖᲔ ᲡᲐᲡᲢᲣᲛᲠᲝᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ

ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე **"ფონდმა ქართუმ"** სასტუმროს მშენებლობა 300 000 ლარით დააფინანსა.

200 მილიონად შეფასებული საკონცერტო დარბაზი BLACK SEA ARENA, რომელიც ბიძინა ივანიშვილმა სახელმწიფოს აჩუქა.

დარბაზი დაახლოებით 10.000-მდე მაყურებელს იტევს. 25-მდე შშმ პირისთვის დარბაზის ცენტრში გამოყოფილია ადგილი ეტლით სარგებლობისთვის.

საკონცერტო დარბაზის მშენებლობაზე 700-მდე ადამიანი იყო დასაქმებული. "ურეკის საკონცერტო დარბაზის" მშენებლობაზე **"ფონდმა ქართუმ"** 200 მილიონ ლარზე მეტის ინვესტიცია განახორციელა. სამშენებლო სამუშაოებს კომპანია **"ელიტა ბურჯი"** და ასოციაცია **"ატუ"** ახორციელებდნენ. საკონცერტო დარბაზის მიმდებარედ 2000-მდე ავტომობილის პარკირებისთვის გამოყოფილია ადგილი. BLACK SEA ARENA აღჭურვილია საერთაშორისო სტანდარტების მქონე უსაფრთხოების სისტემით.

ფონდმა **"ქართუმ"** წელს კულტურული მემკვიდრეობის 60-მდე ძეგლის რეაბილიტაცია დაიწყო. 700-ზე მეტი ძეგლის შეკეთების შემდეგ, ფონდმა **"ქართუმ",** წელს, კულტურული მემკვიდრეობის კიდევ 60-მდე ძეგლის აღდგენა-რეაბილიტაცია დაიწყო. პროექტში ფონდთან ერთად კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოცაა ჩართული. ამჟამად აქტიური მუშაობა აწყურის ღვთისმშობლის საკათედრო ტაძრის აღსადგენად მიმდინარეობს.

გათხრების დასრულების შემდეგ ტაძრის მცირე კონსტრუქციული გამაგრებებია დაგეგმილი.

მიმდინარე წელს დაიწყება სამუშაოები სამხრეთ საქართველოში მდებარე 964 წელს აშენებული კუმურდოს ტაძრის რეაბილიტაციისთვის. ამჟამად ტაძარში ჩამოქცეულია გუმბათი და დამახინჯებულად აღდგენილია დასავლეთის მხარე. ობიექტზე სარეაბილიტაციო სამუშაოებთან ერთად არქეოლოგიური გათხრებიც დაიწყება.

ასპინძის რაიონში, სოფელ ოთასთან 5 კმ-ში მდებარე შორეთის სამონასტრო კომპლექსი, არქეოლოგების თქმით, მიწით იყო დაფარული. ძეგლის გადასარჩენად აქტიური მუშაობა 2015 წელს დაიწყო, მიმდინარე წელს კი სამუშაოებისთვის 130 000 ლარია გამოყოფილი.

ფონდ **"ქართუს"** დაფინანსებით, არქეოლოგიური გათხრების შედეგად, ვარძიის სამონასტრო კომპლექსში არქეოლოგებმა კიდევ 3 სართული აღმოაჩინეს. მათი ვარაუდით, სამუშაოების გაგრძელების შემთხვევაში ისინი კიდევ რამდენიმე სართულზე მნიშვნელოვან გამოქვაბულებს მიაკვლევენ.

ფონდმა **"ქართუმ"** ისტორიული ძეგლების რეაბილიტაცია 2005 წელს დაიწყო და 10 წლის განმავლობაში პროექტებში 33 მილიონ ლარზე მეტი ჩადო. მიმდინარე წელს კი ძეგლების რესტავრაციისათვის ფონდს 11 მილიონ ლარზე მეტი აქვს გამოყოფილი.

ვარძიაში ფონდი "ქართუ" სარესტავრაციო სამუშაოებს ახორციელებს. მიმდინარეობს არქეოლოგიური გათხრები, ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და კედლების გამაგრება. სარესტავრაციო სამუშაოების ღირებულება 1 მილიონი ლარია.

ბიძინა ივანიშვილმა ფიროსმანის ნახატები **"შველი წყლის პირას"** და **"არსენალის მთა ღამით"** ხელოვნების მუზეუმს გადასცა.საქართველო ეროვნული მუზეუმის ნიკო ფიროსმანაშვილის ნამუშევრების ყველაზე დიდ კოლექციას **"შველი წყლის პირას"** შეემატა. ნახატი ეროვნულ მუზეუმს საჩუქრად ფონდმა **"ქართუმ"** გადასცა.

"შველი წყლის პირას" ციციშვილი-გედევანიშვილის ოჯახში 1949 წლიდან 2011 წლამდე ინახებოდა რის შემდეგად, იმავე წელს, **"სოთბი"**-ს აუქციონზე გაიყიდა, რამდენიმე წელიწადში კი ქართუ ჯგუფმა შეიძინა.

ღონისძიებას საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი, მიხეილ გიორგაძე ესწრებოდა, რომელმაც საზოგადოებას ნახატის დაბრუნება მიულოცა.

საქართველოს ასევე უბრუნდება ნიკო ფიროსმანის ნახატი **"არსენალის მთა ღამით"**, რომელიც ბიძინა ივანიშვილმა **"კრისტის"** აუქციონზე მილიონნახევარ დოლარად შეიძინა და ხელოვნების მუზეუმს საჩუქრად გადასცა.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲝᲞᲔᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲐᲚᲔᲢᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲐ/ᲠᲔᲡᲢᲐᲕᲠᲐᲪᲘᲐ

ბიძინა ივანიშვილმა ოპერისა და ბალეტის თეატრის რესტავრაცია სრულად დააფინანსა. პროექტის ღირებულება 40 მილიონი აშშ დოლარია. შენობას ჩაუტარდა შიდა და გარე სარესტავრაციო სამუშაოები. აღდგა ნოდარ ერგემლიძის დიზაინით შექმნილი, ავსტრიული ბროლით დამზადებული 600 ნათურიანი ჭაღი; განათებისთვის საჭირო 12.000 ერთეული ავსტრიული ბროლის დეტალი ფონდმა **"ქართუმ"** კომპანია **"სვაროვსკისგან"** შეიძინა. თეატრი სრულად აღიჭურვა ახალი ავეჯითა და კომპიუტერული ტექნიკით.

ᲒᲐᲜᲛᲣᲮᲣᲠᲨᲘ ᲑᲝᲢᲐᲜᲘᲙᲣᲠ ᲑᲐᲦᲘ ᲒᲐᲨᲔᲜᲓᲔᲑᲐ

ზუგდიდის მუნიციპლიტეტის სოფელ განმუხურში, სამეგრელოსა და აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვართან **"ფონდი ქართუ"** 83,5 ჰექტარ მიწის ნაკვეთზე ბოტანიკური ბაღს გააშენებს.

პროექტზე მუშაობა უკვე დაწყებულია, თუმცა, რა ვადებში მოხდება ბაღის გაშენება და როგორი იქნება დაფინასება პროექტის დასრულების შემდეგ გახდება ცნობილი.

"ქართუმ" 13 ივნისის სტიქიის შედეგად დაზარალებულთა დასახმარებლად 2.250.000 ლარი გადარიცხა.

ბიძინა ივანიშვილის ინიციატივით, საქართველოში ტექნოლოგიური ინსტიტუტის და ადრონული თერაპიის მეგაპროექტს ფონდი **"ქართუ"** ნახევარი მილიარდი ევროთი დააფინანსებს. ბიძინა ივანიშვილის განმარტებით, ქართული მხარე ყველაფერს გააკეთებს და მაქსიმალურად გამოიყენებს წამყვანი მეცნიერების შესაძლებლობებს, რათა საქართველოში თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების ცენტრი დაფუძნდეს.

ტექნოლოგიური ინსტიტუტის და ადრონული თერაპიის მეგაპროექტს ფონდი **"ქართუ"** ნახევარი მილიარდი ევროთი აფინანსებს.

ბიძინა ივანიშვილის ინიციატივით, საქართველოში ტექნოლოგიური ინსტიტუტის და ადრონული თერაპიის მეგაპროექტს ფონდი **"ქართუ"** ნახევარი მილიარდი ევროთი დააფინანსებს. ბიძინა ივანიშვილის განმარტებით, ქართული მხარე ყველაფერს გააკეთებს და მაქსიმალურად გამოიყენებს წამყვანი მეცნიერების შესაძლებლობებს, რათა საქართველოში თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების ცენტრი დაფუძნდეს." – აღნიშნულია გამოქვეყნებულ ინფორმაციაში.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲧᲣᲤᲐᲠᲐᲫᲔ

"ᲝᲚᲝᲠᲘᲡ" ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ – ᲡᲐᲛᲓᲣᲠᲐᲕᲡ ᲠᲐ ᲒᲐᲛᲝᲒᲕᲘᲚᲔᲕᲡ "ᲫᲚᲘᲔᲠᲗᲐ ᲐᲛᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐᲓᲐ" ᲛᲘᲛᲐᲠᲗ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲑᲘᲑᲚᲘᲐ ᲒᲕᲘᲙᲠᲫᲐᲚᲐᲕᲡ ᲕᲘᲧᲝᲗ ᲣᲛᲐᲓᲣᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲞᲐᲢᲘᲕᲘ ᲛᲘᲕᲐᲒᲝᲗ ᲘᲛ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲛᲐᲪ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲥᲛᲜᲔᲡ ᲔᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲡᲐᲙᲔᲗᲝᲚᲓᲦᲔᲝᲓ.

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲘ ᲙᲠᲘᲜᲢᲘ ᲓᲐᲫᲠᲐᲡ ᲘᲛ ᲐᲕᲐᲓᲡᲐᲮᲡᲜᲔᲑᲔᲚᲛᲐ "ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲛᲐ" ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐᲛ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲛᲐ ᲛᲐᲬᲐᲜᲬᲐᲚᲐ ᲑᲔᲚᲐᲓᲛᲐ, ᲔᲗᲜᲘᲙᲣᲠᲛᲐ ᲡᲝᲛᲔᲮᲛᲐ ᲛᲘᲰᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲘᲐᲜᲪᲛᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲪ ᲒᲐᲐᲜᲐᲰᲔᲕᲠᲔᲡ, ᲓᲐᲐᲥᲪᲘᲔᲡ ᲓᲐ ᲞᲘᲠᲬᲛᲘᲜᲓᲐᲓ ᲒᲐᲫᲐᲠᲪᲕᲔᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ, ᲪᲘᲮᲔᲔᲑᲨᲘ ᲩᲐᲧᲠᲘᲗ ᲐᲖᲐᲠᲐᲚᲔᲡ ᲡᲐᲛᲐᲡᲘ ᲐᲗᲐᲡᲘ ᲣᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲝ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ, ᲥᲣᲩᲔᲑᲨᲘ, ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲬᲘᲜ ᲐᲛᲝᲮᲝᲪᲔᲡ ᲜᲘᲭᲘᲔᲠᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲑᲘ, ᲓᲐᲣᲜᲓᲝᲑᲚᲐᲓ ᲐᲛᲝᲭᲚᲘᲢᲔᲡ ᲐᲤᲠᲐᲡᲘᲫᲔᲔᲑᲘᲡ ᲝᲯᲐᲮᲘ, ᲛᲘᲘᲗᲕᲘᲡᲔᲡ ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓᲘᲗ ᲓᲝᲚᲐᲠᲘ ᲘᲜᲕᲔᲡᲢᲘᲪᲘᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲘᲣᲯᲔᲢᲝ ᲡᲐᲮᲡᲠᲔᲑᲘ. ᲠᲝᲒᲝᲠ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲣᲙᲔᲗᲣᲠᲝᲑᲐᲖᲔ ᲘᲡᲐᲣᲑᲠᲝᲜ ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲣᲙᲔᲗᲣᲠᲛᲐ ᲑᲝᲙᲔᲠᲘᲔᲑᲛᲐ, ᲙᲐᲜᲓᲔᲚᲐᲙᲔᲑᲛᲐ, ᲗᲐᲨᲐᲫᲔᲔᲑᲛᲐ, ᲗᲐᲠᲒᲐᲛᲐᲫᲔᲔᲑᲛᲐ, ᲩᲔᲠᲒᲝᲚᲔᲘᲨᲕᲘᲚᲔᲑᲛᲐ, ᲠᲣᲠᲣᲔᲑᲛᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲐᲠᲐᲙᲐᲪᲔᲑᲛᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲪ ᲜᲐᲫᲘᲠᲐᲚᲐ ᲛᲔᲬᲕᲠᲘᲚᲛᲐᲜᲔ ᲙᲔᲖᲔᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲗ ᲒᲐᲘᲢᲐᲜᲔᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲓᲐᲜ ᲓᲘᲓᲫᲐᲚᲘ ᲜᲐᲥᲣᲠᲓᲐᲚᲘ ᲗᲐᲜᲮᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲚᲐ ᲐᲛ ᲡᲐᲮᲡᲠᲔᲑᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚ ᲓᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲔᲑᲡ ᲐᲮᲐᲠᲯᲐᲕᲔᲜ.

ᲘᲛ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲡ ᲢᲕᲘᲜᲨᲘ ᲛᲘᲜᲓᲐ ᲩᲐᲕᲘᲮᲔᲓᲝ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲡᲐᲐᲙᲘᲐᲜᲪᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲛᲘᲡᲢᲘᲠᲘᲐᲜ ᲓᲐ ᲛᲐᲗ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲐᲡ ᲜᲐᲢᲠᲝᲑᲔᲜ. ᲡᲐᲐᲙᲘᲐᲜᲪᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲐᲠᲐᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲜᲐᲪᲒᲐᲠᲔᲛᲝᲪᲕᲐᲡ ᲠᲝᲛ ᲤᲔᲮᲔᲑᲖᲔ ᲰᲙᲘᲓᲘᲐᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ, ᲘᲛᲘᲗᲐᲪ ᲓᲐᲡᲢᲣᲠᲓᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲐᲠᲐᲙᲐᲪᲛᲐ ᲛᲘᲐᲤᲣᲠᲗᲮᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲝᲑᲐᲡ, ᲜᲐᲪᲒᲠᲝᲕᲐ ᲙᲘ ᲛᲐᲡ ᲙᲕᲚᲐᲕᲐᲪ ᲑᲔᲚᲐᲓᲐᲓ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲡ. ᲜᲣᲗᲣ ᲛᲐᲠᲗᲚᲐ ᲰᲒᲝᲜᲘᲐ ᲕᲘᲜᲛᲔᲡ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲡᲣᲚᲘᲐᲜ-ᲮᲝᲠᲪᲘᲐᲜᲐᲓ ᲛᲐᲮᲘᲜᲯᲔᲑᲘ ᲠᲐᲘᲛᲔ ᲡᲐᲡᲘᲙᲔᲗᲝᲡ ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲔᲑᲔᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲐᲗᲕᲘᲡ? ᲯᲔᲠᲯᲔᲠᲝᲑᲘᲗ ᲜᲐᲪᲛᲐᲪᲣᲜᲔᲑᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲓᲔᲑᲔᲜ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲣᲚ ᲡᲐᲡᲯᲔᲚᲡ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲛᲝᲕᲐ ᲓᲠᲝ, ᲓᲐ ᲔᲡ ᲓᲐᲨᲜᲐᲙᲘ ᲐᲠᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲐᲒᲔᲑᲔᲜ ᲔᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ, ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡᲘᲡ ᲔᲜᲘᲗ ᲠᲝᲛ ᲕᲗᲥᲕᲐᲗ, "ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗᲘ ᲜᲐᲪᲑᲝᲖᲣᲠᲘ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲘᲡ �გᲐᲛᲝ"!

ᲐᲡᲔ ᲠᲝᲛ, ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲡ 10 ᲗᲝᲗᲠᲘᲪ ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲓᲐᲔᲮᲐᲠᲯᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲡᲐᲠ�გᲔᲑᲚᲝᲓ, ᲘᲡᲔ ᲡᲐᲨᲣᲠᲘ ᲡᲐᲥᲛᲔ �გᲐ�გᲕᲘᲙᲔᲗᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲡᲘ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ ᲓᲘᲓ ᲮᲐᲜᲡ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐ�გᲕᲐᲕᲘᲬᲧᲓᲔᲡ – ᲡᲐᲛᲣᲓᲐᲛᲝᲓ ᲛᲝ�გᲕᲐᲨᲝᲠᲐ ᲡᲐᲢᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲝᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲑᲐᲠᲒᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲓᲣᲐᲠᲓ ᲨᲕᲔᲠᲓᲜᲐᲫᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲛᲝᲢᲔᲜᲘᲚᲘ ᲡᲝᲛᲮᲣᲠ-ᲓᲐᲨᲜᲐᲙᲣᲠᲘ ᲑᲐᲜᲓᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ "ᲞᲘᲠᲜᲐᲗᲚᲐᲓ" ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲓᲐ ᲐᲡᲔᲕᲔ ᲡᲐᲢᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲣᲤᲚᲝᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲑᲐᲠᲒᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲝᲛᲔᲮᲘ ᲙᲐᲗᲐᲚᲘᲙᲝᲡᲘᲡ ᲕᲐᲖᲒᲔᲜᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐᲡ, ᲠᲐᲪ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲐᲨᲚᲐ-ᲓᲐᲜᲐᲬᲔᲕᲠᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲜᲐᲡᲐᲮᲚᲐᲠᲖᲔ ᲡᲝᲛᲮᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲤᲣᲫᲕᲜᲔᲑᲐᲡ ᲘᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲓᲐ!

ᲐᲮᲐᲕᲐᲘ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲣᲑᲔᲓᲣᲠᲔᲑᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲨᲘ ᲓᲐᲐᲕᲐᲜᲔᲡ ᲡᲐᲐᲙᲘᲐᲜᲪᲛᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲛᲐ ᲑᲐᲜᲓᲐᲛ ᲓᲐ, ᲡᲐᲑᲔᲭᲓᲜᲘᲔᲠᲝᲓ, ᲡᲮᲕᲐᲒᲐᲜ ᲕᲔᲠ ᲛᲝᲐᲡ�წᲠᲔᲡ!

ილორი

ლავრენტი ბერია – საბჭოთა კავშირის ცილდაწამებული გმირი

(გაგრძელება წინა ნომრიდან)

1940 წლის ივლისში, ბერლინში, ფასეული სარეზიდენტურო წყაროების – "ლიუფტვაფეს" დაზვერვის განყოფილების თანამშრომელ ხარო შულცენ-ბაიზენთან (ოპერატიული ფსევდონიმი "ზემდეგი") და იმპერიის ეკონომიკის სამინისტროს უფროს სამთავრობო მრჩეველ არვიდ ხარნაკთან ("კორსიკელი") ურთიერთობების აღსადგენად ჩავიდა ახალგაზრდა მზვერავი ალექსანდრე კოროტკოვი. მისი მივლინების ვადა ჯერ განისაზღვრა ერთი თვით, თუმცა იგი 6 თვეზე მეტი ხანი გაგრძელდა. გერმანიაში კოროტკოვმა დაამყარა კონტაქტი უაღრესად ფასეულ წყაროსთან – სსრკ შინსახკომის ბერლინის რეზიდენტურასთან, გესტაპოს საბჭოთა განყოფილების უფროს ვილი ლემანთან (ფსევდონიმი – ბრაიტენბახი), რომლისგანაც ომის დაწყების წინა დღეებში მიღებული იქნა მნიშვნელოვანი დოკუმენტები, მათ შორის გესტაპოს მიერ ჰიმლერისათვის 1941 წლის 10 ივნისს მომზადებული მოხსენება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ძირგამომთხრელი საქმიანობის თაობაზე. ამ მოხსენებიდან ნათელი იყო, რომ გერმანიის ჰიტლერულ ხელმძღვანელობას ელემენტარული წარმოდგენა არ გააჩნდა გერმანიაში სსრკ შინსახკომისა და პპბ-ს (შემოკლებული აბრევიატურაა – Главное Разведивательное Управление) საქმიანობის თაობაზე. არვიდ ხარნაკთან საბჭოთა მზვერავი კავშირზე გავიდა 1940 წლის სექტემბერში. "კორსიკელმა" კოროტკოვს მნიშვნელოვანი ინფორმაციები გადასცა გერმანიის სამხედრო გეგმების თაობაზე საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. მისი მეშვეობით მალე მოხერხდა კავშირის დამყარება "ზემდეგთანაც" (ხარო შულცე-ბაიზენი), ასევე იატაკქვეშა გერმანული ანტიფაშისტური ორგანიზაციის სხვა წევრებთანაც, რომელსაც შემდგომში "წითელი კაპელა" ეწოდა.

ერთ თავის ინტერვიუში ლავრენტის შვილმა სერგო ბერიამ, რომელიც პირადად მონაწილეობდა ფრიად მნიშვნელოვან სადაზვერვო ოპერაციებში და ამდენად, იცოდა ჩეკისტების მუშაობის სპეციფიკა პირადი გამოცდილებით და არა მამის მონათხრობიდან, გაგვიზიარა შემდეგ მოგონებები.

"– ნუ დაიჯერებთ, რომ ბერია სტალინს აწვდიდა დეზინფორმაციას... ჯერ კიდევ 1941 წლის დასაწყისში საბჭოთა დაზვერვას ხელთ ჰქონდა "ბარბაროსას" გეგმა და მას გაეცნო სტალინი. ერთადერთი ცვლილება, რაც მასში გერმანელებმა შეიტანეს, იყო ის, რომ ომის დაწყების თარიღმა ერთი თვით გადაიწია.

სტალინი ანგარიშს უწევდა ყველა ინფორმაციას და კარგად იცოდა, რომ ომი წუთი-წუთზე დაიწყებოდა. მას არ უნდოდა გერმანელების პროვოცირება. მან ასევე კარგად იცოდა ინგლისელების ორმაგი თამაშის თაობაზე, რომლებიც მუდამ ცდილობდნენ, რომ შუბლებით შეეჯახებინათ ერთმანეთისათვის გერმანია და საბჭოთა კავშირი. საბჭოთა კავშირზე მუშაობდნენ მაღალჩინოსანი გერმანელები, მათ შორის ორი ადამიანი კი ჰიტლერის უახლოესი გარემოცვის წევრი იყო. ამიტომ ხდებოდა ხოლმე სტალინისათვის წამიერად ცნობილი ჰიტლერის ნებისმიერი განაზრახი. ისინი ამას ჰიტლერთან უთანხმოების გამო აკეთებდნენ და ვარაუდობდნენ, რომ ამ გზით შესძლებდნენ ჰიტლერის ჩამოშორებას ძალაუფლებიდან. ჩვენთვის, რა თქმა უნდა, ცნობილია სახელი – კიმ ფილბი, მაგრამ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ჩვენს სასარგებლოდ მოქმედებდნენ დაზვერვის ბრწყინვალე პლეადის წარმომადგენლები.

– კიმ ფილბიც ბერიას კაცი იყო?

– დიახ. იგი გადმობირა ქართული წარმოშობის ფრანგმა...

– ცნობილია, რომ ომის დაწყების წინ ლავრენტი ბერიამ სსრკ შინსახკომთან დააარსა განსაკუთრებული ტექნიკური ბიურო. რა ორგანიზაცია იყო ის და რას აკეთებდა?

– იმ დროისათვის საბჭოთა კავშირის ციხეებში ისხდნენ არა მხოლოდ შემოქმედებითი ინტელიგენციის ნაღები, არამედ ტექნიკური ინტელიგენციაც. ესენი იყვნენ კარგად ორგანიზებული მაღალკვალიფიციური, უაღრესად ნიჭიერი ადამიანები, რომელთაც დიდი სარგებლობის მოტანა შეეძლოთ საბჭოთა სამშობლოსათვის. მამამ იმიტომ გააკეთა აღნიშნული ბიურო, რომ ამ ადამიანებისათვის შესაძლებლობათა გამოვლენის საშუალება მიეცა.

ახლა იკითხავენ ხოლმე: არ ჯობდა, რომ ისინი ციხიდან გაენთავისუფლებინაო? რა თქმა უნდა. მაგრამ სცადეთ ციხიდან გამოუშვა ადამიანი, რომელსაც აღიარებული აქვს მძიმე დანაშაულისათვის მზადება! მიუხედავად იმისა, რომ ეს აღიარება ხშირად ძალდატანებით იყო ხოლმე მიღებული, სახალხო კომისარი მაინც ვერ მისცემდა თავს უფლებას, რომ ანგარიში არ გაეწია სასამართლოს დადგენილებისათვის.

ცნობისათვის: *ა.ნ. ტუპოლევი დააპატიმრეს 1937 წლის 21 ოქტომბერს, მოსკოვში, ა.ა და ან.დ არხანგელსკების სახლში (დიდი ვასილევსკის ქუჩა №12, ბინა,2). მას და ავიაკონსტრუქტორ ვ.მ. პეტლიაკოვს ბრალად წაუყენეს რუსულ-ფაშისტური პარტიის ჩამოყალიბება და ხელმძღვანელობა. თუ ტუპოლევი ბრალს არ აღიარებდა, მის მეუღლეს ბანაკში გადააგზავნიდნენ (ეს ქალბატონი ბუტირკის ციხეში იჯდა), ბავშვებს კი ბავშვთა სახლებში გადააგზავნიდნენ. ოჯახის წევრების გადასარჩენად მან "აღიარა", რომ 1924 წელს საფრანგეთის აგენტი იყო.*

მამა მომითხრობდა, თუ როგორ დაიბარა რამდენიმეჯერ ტუპოლევი და უთხრა, რომ უარი ეთქვა პირველ ჩვენებაზე. როცა დარწმუნდა ამ მეთოდის არაეფექტურობაში, მამამ გადაწყვიტა გაეერთიანებინა ყველა პატიმარი მეცნიერი სპეციალიზირებულ საკონსტრუქტორო ბიუროში თვითმფრინავმშენებლობისა და ძრავების აწყობის განხრით. როცა დავალებას შეასრულებდნენ, სწავლულთა ჯგუფი თავისუფლდებოდა პატიმრობიდან. ასე და ამრიგად იქნენ განთავისუფლებული პატიმრობიდან პეტლიაკოვი, მიასიშჩევი, იგივე ტუპოლევი. ისინი, როგორც ბევრი სხვა, დაპატიმრებულ იქნენ იაგოდა-ეჟოვის დროს და ზოგიერთი მკვლევარის მტკიცება, თითქოს ბერია ხალხს სპეციალურად იჭერდა, რათა ისინი ციხის საკონსტრუქტორო ბიუროში შეერეკა, მოკლებულია ჭეშმარიტებას".

საბჭოთა დაზვერვის საქმიანობაზე ჩვენ კიდევ ვისაუბრებთ, როცა შევეხებით დიდ სამამულო ომს, ახლა კი დაწვრილებით განვიხილოთ ის საკითხი, რაზეც გაამახვილა ყურადღება ბერიაუმცროსმა.

ბედლამი

მოდით, ჯერ ლექსიკონში ჩავიხედოთ და გავიგოთ ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობა, რომელსაც საკმაოდ დიდი ადგილი უკავია ქვეყნის ისტორიაში.

"ბედლამი" ნიშნავს საგიჟეთს, ქაოსს, თაღლითების, ცრუპენტელების თავმოყრას, დღეს კი ამ ფრაზას მიუსადაგებენ ხოლმე არასოლიდურ კანტორას.

მოკლედ, ამ ფრაზაში შესაშური არაფერია. ჯერ კიდევ მიხეილ შოლოხოვმა გახსნა ეს მცნება თავის "ბედი კაცისა"-ში. გაიხსენეთ სოკოლოვის აღსარება: *"მე გამანაწილეს სამუშაოდ "ტოდტეში" – ჰქონდათ გერმანელებს ამგვარი ბედლამი, რომელიც აშენებდა გზებს და გამაგრებით ნაგებობებს".*

მაგრამ ომის წლებმა და მისმა წინა პერიოდმა, როცა შინსახკომის სათავეში ლავრენტი ბერია მოვიდა, ახალი სული შთაბერა ამ გაძვალტყავებულ სტრუქტურას და აკადემიზმი ჩაუნერგა მას გულღვიძლში.

თავის დროზე ანატოლი ფრანსმა მართებულად შენიშნა: "მეცნიერება შეუმცდარია, მაგრამ მეცნიერები ზოგჯერ ცდებიან".

ყველაფერ ამაზე პასუხი გაიცემა წიგნის ახალ თავში.

მაგრამ ბერიამ გამოიგონა ის, რასაც შემდეგ დაარქმევენ ნაკლებადმიმზიდველ სიტყვა "ბედლამს". ეს მოხდა მისი თბილისიდან მოსკოვში გადასვლამდე დიდი ხნით ადრე. ამ ამბამდე რამდენიმე დღით ადრე ეჟოვის ბრძანებით ჩამოყალიბდა სსრკ შინსახკომის განსაკუთრებული საკონსტრუქტორო ბიურო (სსრკ შინსახკომის ბრძანება №00641, 29 სექტემბერი, 1938 წელი).

1938 წლის 21 ოქტომბერს ამ ქვედანაყოფს დაერქვა "მე-4 სპეცგანყოფილება", რომელიც, თავის მხრივ, 1939 წლის 10 იანვარს გადაკეთდა სსრკ შინსახკომთან არსებულ განსაკუთრებულ ტექნიკურ ბიუროდ.

თუ რანაირად მოხვდნენ მავთულხლართებს მიღმა, ომამდე, რომლისთვისაც საბჭოთა კავშირი მზად არ იყო, უნიჭიერესი ინჟინრები, რომელთაც შეეძლოთ ქვეყნისათვის თანამედროვე იარაღის შექმნა, განსაკუთრებული განხილვის საგანია, რომელიც ჩვენი წიგნის ფარგლებს სცილდება.

მაგრამ არსებობს იოლად აღსაქმელი ასპექტი, რომელიც აუცილებლად დაინტერესებს ყველას და რომელიც დიდ ადგილს არ დაიკავებს.

ძალიან ბევრს მეცნიერსა და მეცნიერმუშაკს "საპატიმროებიდან უწევდნენ რეკომენდაციას"... მათი კოლეგები. როცა თვალს გადაავლებთ საინჟინრო აზრის კორიფეების ბიოგრაფიებს, რომლებიც დააპატიმრეს და გულაგში იხდიდნენ სასჯელს, იოლად დარწმუნდები, რომ მათი იზოლირება მოხდა... მათივე კოლეგა-ამხანაგების დაბეზღებისა და ცილისწამების საფუძველზე. ამ "მეგობრულ მხილებათა" საფუძველი გახლდათ არა სახელმწიფო ინტერესები, არამედ პირადი, ანგარებითი მოტივი. გამოჩენილი საბჭოთა გამომცდელი-მფრინავის მ.მ. გრომოვის მოგონებების მიხედვით დაპატიმრებები ხორციელდებოდა იმიტომ, რომ ავიაკონსტრუქტორები ერთმანეთს აბეზღებდნენ, ყოველი მათგანი აქებდა საკუთარ ბიუროში შექმნილ თვითმფრინავს და "ძირავდა" სხვათა ქმნილებებს. იგივე რამ ხდებოდა სხვა სფეროებშიც და ამან სამეცნიერო ინტელიგენციის სფეროში ეპიდემიის სახე მიიღო.

"ძნელი იყო მთავარი რამის ახსნა. რა იყო იმის მიზეზი, რომ ლუბიანკაზე მოხვედრის შემდეგ ისინი, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, "ამხელდნენ" ათასობით უდანაშაულო ადამიანს, რამაც, საბოლოო ჯამში, მიგვიყვანა აბსოლუტურად გაუმართლებელ რეპრესიებამდე. ოპოზიციას კიდევ ერთი მოტივი ჰქონდა – "რაც უფრო ბევრ ადამიანს დააპატიმრებენ, მით უფრო მალე დასრულდება რეპრესიები ნამდვილი შეთქმულების წინააღმდეგ". არც თუ ჭკვიანმა და წინდახედულმა ქალბატონმა – ბუხარინის ქვრივმა ანა ლარინამ ამის თაობაზე დაუკვირვებლად განაცხადა თავის მემუარებში (ლარინა ა.მ. "მოგონებები". მოსკოვი, 1989 წელი, გვ. 308). გაზეთ "მოსკოვსკი კომსომოლეცისათვის" მიცემულ ინტერვიუში მარშალ კატუკოვის ქვრივმა მოგვითხრო, თუ რა ხდებოდა სინამდვილეში. მისი სიტყვებით, დაკითხვიდან კამერაში დაბრუნებული თანამესაკნეები ლამის დაუფარავი სიამაყით აცხადებდნენ, რომ დღეს მათ ამხილეს 17 დამნაშავე! და იმ წლებში ხომ ასე მოქმედებდა დაპატიმრებულთა 99,99 პროცენტი. და ეს ხდებოდა გამოძიების მხრიდან ყოველგვარი ძალდატანების გარეშე" (ა. მარტიროსიანი).

ადამიანები რადაცნაირი გაკაპასებით უსწორებდნენ ერთმანეთს ანგარიშს. და არა იმიტომ, რომ საზოგადოებამ წამიერად დაჰკარგა მორალური სახე. არა!

"სამყაროში უამრავი წესიერი ადამიანია. მათი აღმოჩენა შეიძლება იმის მიხედვით, თუ როგორ უნდილად სჩადიან ისინი არაადამიანურ საქმეებს", – იხუმრა ერთხელ ფრანგმა პოეტმა შარლ პეგიმ.

მაგალითად, "საბჭოთა კოსმონავტიკის მამა" სერგეი პავლეს ძე კოროლიოვი დაპატიმრეს დაბეზღების საფუძველზე, რომელიც შეადგინა რეაქტიული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მთავარმა ინჟინერმა გიორგი ლანგემაკმა (ტუხაჩევსკის პროტეჟე). წესიერი ადამიანი იყო? თავისი შეფის დაპატიმრების შემდეგ როცა მასაც მიადგნენ, საკუთარი ტყავის გადასარჩენად წამსვე დააბეზღა თანამშრომლები. მაგის გარდა კოროლიოვზე დაბეზღების წერილი შეადგინა რეაქტიული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა ივან კლეიმენოვმა (ასევე ტუხაჩევსკის პროტეჟემ), რომელთანაც კოროლიოვს დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა ჯერ კიდევ მის მოადგილედ მუშაობის დღიდან. უნდა აღინიშნოს, რომ ლანგემაკი და კლეიმენოვი მხარს უჭერდნენ ტუხაჩევსკის მიერ მოწოდებული გაზოდინამიური ზარბაზნის შექმნის იდეას, ახმარდნენ ამ საქმეს უამრავ ფინანსურ და მატერიალურ რესურსებს და, რა თქმა უნდა, ამუხრუჭებდნენ მომავალში ლეგენდარული საველე არტილერიული სისტემის "კატიუშას" შექმნის პროცესებს. ამ იარაღის შექმნის იდეა ჯერ კიდევ ოქტომბრის 1917 წლის რევოლუციამდე გააჟღერა რუსმა მეცნიერმა ივანე პლატონიც ძე გრავემ, მაგრამ პატენტის მიღება მხოლოდ 1926 წელს მოახერხა. მიუხედავად დიდი ძალისხმევისა, ოცდაათიანი წლების დასასრულამდე მან ვერ მოახერხა ხორცი შეესხა "კატიუშას" შექმნის იდეისათვის. ვერც მოახერხებდა, რადგან "მეგობრების რეკომენდაციით" იგი ციხეში იჯდა. პირველად 1919 წელს დააპატიმრეს, მაგრამ ოთხი თვის შემდეგ გაანთავისუფლეს. როცა ბიუროკრატიას გული გაუწყალა თავისი გამოგონების ლობირებით, 1938 წელს უკვე "სტანდარტული ბრალდებით" დააპატიმრეს – "რუსეთის ოფიცერთა მონარქიულ-კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში აქტიური მონაწილეობისათვის" და გერმანიის სასარგებლოდ შპიონაჟისათვის.

საბედნიეროდ, გრავე უცებ არ დახვრიტეს და იგი გადარჩა. 1939 წლის 23 თებერვალს, წითელი არმიის დღის აღსანიშნავად კრემლში მოწყობილ შეხვედრაზე სტალინმა მოულოდნელად აღმოაჩინა, რომ სწავლულთა ძველი გვარდიიდან ღონისძიებას ესწრება მხოლოდ პროფესორი დროზდოვი. ბელადმა იკითხა: "სად არიან სხვა კორიფეები – გრავე, ბარკალოვი, ფიოდოროვი, გელვიხი...". მას შემდეგ, რაც სტალინმა ყველა მათგანის განთავისუფლების ბრძანება გასცა, ივანე პლატონის ძეს დაუბრუნეს საბუთები და განუცხადეს, რომ იგი თავისუფალია.

ვიღაცეებს კი ნაკლებად გაუმართლა, რადგან სტალინს ყველა არ ახსოვდა. ამიტომ, ძალიან ბევრ ნიჭიერ ტექნოკრატს რჩებოდა მხოლოდ ერთი უკანასკნელი იმედი – **ბერია**.

დრამატიზმით აღსავსეა საბჭოთა კავშირის თავდაცვის მრეწველობის გამოჩენილი ორგანიზატორის ბორის ლევის ძე ვანნიკოვის ისტორია.

თარგმანი როლანდ ჯალაღანიასი,

(გაგრძელება იქნება)

ᲐᲕᲐᲓ ᲒᲐᲡᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲦᲔ

27 სექტემბერს საქართველომ სოხუმის დაცემა გაიხსენა და გმირთა მოედანზე არსებული მემორიალი გვირგვინებით შეამკო. 24 წელი გავიდა იმ ავადსახსენებელი დღიდან – ქართულმა პოლიტიკამ რომ არგუნა ხალხს. 27 სექტემბერს ომში დაღუპულთა მემორიალთან მეხუთედ მივიდა „ქართული ოცნება“ – საქართველოს სახელისუფლებო პარტია. ხელისუფლებაში მყოფი ამ პარტიის წარმომადგენელთა უმრავლესობას 5 წლის წინ სულაც არ გახსენებია 27 სექტემბერი. დარწმუნებული ვარ ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგაც არავის გაახსენდება.

24 წლის წინ საქართველოს **“გონიერმა”** ხელისუფლებამ, პოლიტიკურმა წრემ – **“პატრიოტული”** შემართებით გაჟღენთილმა ხალხის ნაწილმა გადადგა ნაბიჯი საკუთარი ხალხის, ქვეყნის წინააღმდეგ და ჯარი მიაყენა სოხუმს, მთლიანად აფხაზეთს **“წესრიგის აღსადგენად”**. შედეგი – 27 სექტემბერი. დაცემული სოხუმი, ქართველთათვის დაკარგული აფხაზეთი. აფხაზთათვის დიდი გამარჯვება, ზეიმი; ქართველთათვის – აფხაზეთის დატოვება, ლტოლვილობა, მრავალი წლის განმავლობაში გაუსაძლის პირობებში ცხოვრება – უსახლკაროდ, ლუკმა-პურის შოვნაში თბილისისა და სხვა ქალაქების ბაზრებში ხეტიალი.

ლტოლვილთა საცხოვრებელით უზრუნველყოფა დღესაც შეუსრულებელია. 24 წლის განმავლობაში ქვეყნის ხელისუფლებამ, პოლიტიკამ, ბიზნესმა ვერ მოახერხა ლტოლვილთა ბინით დაკმაყოფილება, დასაქმება, პრიმიტიული პირობების შექმნა.

აფხაზეთში, ცენტრის მიერ გაჩაღებულმა ომმა 10.000-ზე მეტი ქართველი შეიწირა – ასეთია ოფიციალური სტატისტიკა; 3.000-ზე მეტი აფხაზი – ესეც ოფიციალური აფხაზური სტატისტიკაა. დაჭრილ-დასახიჩრებულთა რაოდენობას ვინ მოთვლის.

ოფიციალური თბილისის სავალალო გადაწყვეტილებამ – აფხაზეთის რკინიგზის მონაკვეთზე წესრიგის ვითომ დამყარების სურვილმა გამოიწვია ის, რაც ზემოთ აღვნიშნე ანუ საქართველოს – საქართველოდ და აფხაზეთად დაყოფა – ჩვენს თავებსა და გულებში და რაც არ უნდა ვიძახოთ – ჩვენ ერთნი ვართ – ძმები, დები და ნათესავები – არაფერი გამოვა, ვინაიდან ჩვენ თვითონვე გადავდგით ერთმანეთის დასაშორებელი საბედისწერო ნაბიჯი.

ჩვენ თვითონვე მივუშვით რუსული ტანკები, სხვა სამხედრო ტექნიკა აფხაზეთზე – საქართველოს ძირძველ მიწაზე ანუ საქართველოზე – იმ აფხაზზე, ქართველზე, სომეხზე, სხვაზე, რომლებიც ერთად ცხოვრობდნენ ამ მხარეში. 60.000 აფხაზზე, 350.000 ქართველზე, რომლებიც ერთმანეთს დავატაკეთ. ამ უთანასწორო ბრძოლაში უმცირესობამ იძალა – შეიგნო რა საკუთარი მამულის დაცვის აუცილებლობა. 300.000 ქართველმა საკუთარ მამულად დანარჩენი საქართველო ჩათვალა და ფეხით, წამებით, მსხვერპლით მოაშურეს თბილისს. მას შემდეგ ისინი აქ არიან. არიან სხვაგანაც, საერთო ფერხულიდან, თუ ამას ფერხული ჰქვია, განყენებულად მყოფნი.

რაც შევარდნაძის ხელისუფლებამ მოახერხა ლტოლვილებისთვის – სამინისტროების შექმნა იყო – აფხაზეთის **“შემორიგებისთვის”**, თბილისში აფხაზეთის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების ჩამოყალიბება და ა.შ.

აფხაზეთის ომის მთავარმა შემოქმედმა, საქართველოს მეთაურმა შევარდნაძემ, რაც მოახერხა, ხალხის დარწმუნება იყო თავის **„უმანკოებაში“**, სხვის დადანაშაულებაში. ეს სხვა, რუსეთი იყო, რომელმაც ჩაითრია საქართველო მზაკვრულ გეგმაში და ომიც დააწყებინა საკუთარი ხალხის წინააღმდეგ.

ამ ვერსიას საქართველოს მაშინდელი ხელისუფლება სისტემატურად გაიძახოდა, რაც უდავოდ ბრიყვული თავის მართლება იყო. ვინ დაიჯერებს, აფხაზთა ძალებზე ათჯერ მეტი ქართული სამხედრო ძალის და შეიარაღების სავალალო დამარცხებას? თუ ამას დავუმატებთ მაშინდელ აფხაზეთის ავტონომიაში მცხოვრებ 350.000 ქართველს – 60.000 აფხაზის გამარჯვება მართლაც დაუჯერებელია.

მაგრამ ისტორიაში არცთუ იშვიათად აქვს ადგილი მცირე სამხედრო ძალის ძლიერსა და მრავალრიცხოვანზე გამარჯვებას. ქართველთა მარცხი რომ ობიექტური მოსაზრებით ყოფილიყო განმტკიცებული, უმალ რუსეთი გაიხსენეს. ხან რა ითქვა და ხან რა – აფხაზთა მხარეს რუსეთის რეგულარული არმიის ბრძოლა, ჩრდილოკავკასიელთა უანგარო დახმარება, დაქირავებული რუსი **“ბოევიკები”** და ა.შ.

აფხაზეთის ომში რუსი დაქირავებული მეომრების და ჩრდილოკავკასიელთა მონაწილეობა გაკვირვებას არ იწვევს. დღეს, რომ სირიაში ტერორისტების მხარეს რუსეთის, დსთ-ს წევრი სახელმწიფოების მოქალაქეები იბრძვიან, იწვევს გაკვირვებას? აფხაზთა მხარეს, მიუხედავად ათობით და ასობით მებრძოლი რუსი თუ სხვა ეროვნების წარმომადგენლისა, ქართული მხარე, აფხაზეთში მცხოვრებ ქართველებთან ერთად გაცილებით მეტი იყო, მაგრამ...

გასული საუკუნის 90-იანი წლების **“გმირი”** ხელისუფლება ცოცხალი აღარ არის. რაც არის – დაკარგული აფხაზეთია და კიდევ სამხრეთ ოსეთი – შევარდნაძისა და მისი ხელისუფლების გამგრძელებელი სააკაშვილის ნახელავი.

საქართველოს ხელისუფლება, პარტიული ელიტა იმ კატეგორიას მიეკუთვნება, რომელსაც წარსული საბედისწერო შეცდომებიდან დასკვნები არ გამოაქვს. იგივე შეცდომა და გაცილებით მძიმე შედეგი – მძინარე ცხინვალზე შეტევა, მარცხი და 24 წლის წინათ დე-ფაქტოდ დაკარგულის დე-იურედ აღარება.

1992 წლის აფხაზეთის ომიდან 2008 წლის ცხინვალის ომამდე არაერთი წელია, არაერთი განსჯა, ფიქრი, ჩანგრეული ხიდის ვითომ აღდგენის მცდელობა, თეორიულად საქართველოში შემავალი ავტონომიების წარმომადგენლებთან მოლაპარაკებების ციკლი, ლაპარაკი (ჩვენი მხრიდან) ძმობასა და მეგობრობაზე. და ისევ ომი, ისევ მარცხი, რომელსაც მოჰყვა რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად გამოცხადება; რუსეთის აგრესორად, ოკუპანტად, მტრად შერაცხვა და განუწყვეტელი ლანძღვა-გინება.

ისე, როგორც 1992 წლის ომიდან დაწყებული, სოხუმის დაცემით დამთავრებული და 2008 წლის მარცხით გაგრძელებული ანტირუსულ რიტორიკას არც ფორმა და არც შინაარსი არ შეცვლია. ამ ხნის მანძილზე საერთაშორისო სარბიელზე ბევრი რამ მოხდა საყურადღებო, აღსანიშნავი, მისაბაძი, ჩვენთვის საინტერესო, მაგრამ ჩვენ უცვლელი ვართ, ერთ ადგილას მყარად მდგომი, რუსეთის მყარად მაგინებელი.

უნებლიედ იბადება კითხვა – როდესაც ევროკავშირის სპეცკომისიამ 2008 წლის ომის დაწყებით და მძინარე ცხინვალზე **“გრადების”** დაყრით სააკაშვილი და მისი ხელისუფლება აგრესორად გამოაცხადა, რატომ არის რუსეთი აგრესორი?

როგორც იქნა, უკვე ჩვენშიც ამბობენ, რომ ომი ქართულმა მხარემ დაიწყო და მიუხედავად ამისა ალოგიკურად აცხადებენ რუსულ აგრესიაზე. თუ ომი ქართულმა მხარემ დაიწყო და რუსეთმა გვიპასუხა – ამას სხვა შეფასება უნდა ჰქონდეს – მეტადრე თავდაცვა და არა თავდასხმა.

ისე, როგორც 1992 წლის ომის შემდეგ, 2008 წელსაც გაისმა რუსეთის მიერ საქართველოს ომში ჩათრევის მითი. ამ **“ჩათრევამ”** სკოლის წლები გამახსენა და მაშინ მოარული მოსაზრება – უფროსკლასელთა მიერ, უმცროსკლასელების **“ცუდ”** საქმეში ჩათრევა. სსრკ კპ ცკ პოლიტბიუროს ყოფილი წევრისა და საგარეო საქმეთა მინისტრის შევარდნაძის **“უმცროსკლასელად”** მიჩნევა ისეთივე დაუჯერებელია, როგორც მისი ავანტიურაში **“ჩათრევა”**.

გარდა ამისა, არჩევნებში გამარჯვებული (სააკაშვილი) პოლიტიკოსის ძუძუმწოვარად და **„ჩათრეულად“** გამოცხადება საკუთარი თავისთვის შეურაცხყოფის მიყენებაა. მაგრამ რა გაეწყობა, ასეთები ვართ – შეუცვლელი, ჯიუტად ერთ ადგილზე მდგომი, დიდყურა ცხოველივით.

24 წელია ვლანძღავთ რუსეთს, აფხაზეთს, სამხრეთ ოსეთს. რუსეთს მთელს მსოფლიოში თავსლაფს ვასხამთ. ანალოგიურად ვიქცევით ყოფილი ავტონომიების მიმართ – მოვიხსენიებთ რა მათ სეპარატისტებად, ადამიანის უფლებების უხეშ დამრღვევად, ტრეფიკინგის ნაკრძალად, სეპარატისტების მიერ არჩევნების გზით არჩეულ ხელისუფლებას უკანონოდ, ეგრეთ წოდებულად, თბილისში, დევნილობაში მყოფი ორი ყოფილი ავტონომიის ხელისუფლებას კანონიერად. თუ რომელს **“დაამშვენებდა” “ე.წ.”** ისედაც ნათელია. იქაური ე.წ. მართავს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს. აქაური?

24 წლის განმავლობაში საქართველოს ყველა ხელისუფლება ცდილობდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის თემით, რუსული აგრესიის ძახილით, დასავლეთის გულის მოგებას და აქედან გამომდინარე შესაბამისი ფინანსური დახმარების მიღებას.

“ობიექტური” დასავლეთი ყოველთვის ცდილობდა გონგამოცლილი ქართველი პოლიტიკოსების დაყვავებას, თავზე ხელის გადასმას და მეტი ანტირუსული პოლიტიკისთვის გამოყენებას. ქართული პოლიტიკა ან ვერ ხედავს, ან დანახვა არ უნდა, რომ დასავლეთს, აშშ-ს ჩათვლით, ფეხებზე ჰკიდია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და დასამშვიდებელი სიტყვების გარდა არაფერს აკეთებს. ან რა უნდა გააკეთოს, როდესაც საქართველოს ყველა ხელისუფლებას, დღევანდელის ჩათვლით, ტერიტორიული ტრაგედია საკუთარ ბედნიერებად აქვს გდაქცეული.

ტერიტორიული მთლიანობის საკითხი ის მსუყე სატყუარაა საკუთარი ხალხისთვის მიწოდებული, რომელიც უცხოეთში მოგზაურობის, ხუთვარსკვლავიან სასტუმროებში ცხოვრების, მსოფლიოს მაღალი რანგის პოლიტიკოსებთან შეხვედრების შესაძლებლობას იძლევა. ტერიტორიული გამთლიანების თემა დასავლელ პოლიტიკოსებსაც ხიბლავთ, ვინაიდან საქართველოს დასახმარებლად სხვადასხვა სახის კონსულტაციებში შესაშურ დაფინანსებას იღებენ.

ორივე მხარე კმაყოფილია – იქითაც და აქეთაც, უკმაყოფილო ისაა, ვის თავზეც ეს ფარსი ტრიალებს – საქართველო. ესოდენ ერთსულოვანი ფერხულის დროს, ვინ ისურვებს საქმის დასრულებას?

არც არავინ. სწორედ ამიტომ 24 წლის განმავლობაში ვიხსენებთ სოხუმის დაცემას და არაერთი 24 წლის განმავლობაში გავიხსენებთ. გავიხსენებთ ზერელედ, ზედაპირულად, ცინიკურად. გავიმეორებ, ა.წ. 27 სექტემბერს წინა და იმის წინა ხელისუფლებიდან რომელმა ერთმა მიაკითხა გმირთა მემორიალს?

24 წლის განმავლობაში არც ერთმა ხელისუფლებამ არ იფიქრა საკითხის კარდინალური მოგვარებისთვის სერიოზული ნაბიჯის გადადგმაზე, არც გმირთა მოედანზე, ყველაზე გადატვირთული გზაჯვარედინიდან გმირთა მემორიალის შესაბამის ადგილზე გადატანაზე. არც ერთ ხელისუფლებას სირცხვილის გრძნობაც არ გასჩენია მაღალი რანგის უცხოელი სტუმრების მემორიალთან მიყვანის დროს.

საქართველოს ხელისუფლებას აწყობდა და აწყობს ყოფილ ავტონომიებთან დაკავშირებით შექმნილი სტატუს-კვო. მას არ სურს პირდაპირი, ორმხრივი მოლაპარაკება რუსეთთან. ქართულ პოლიტიკას არავითარი სირცხვილის გრძნობა არ აქვს, როდესაც აცხადებს, რომ რუსეთთან მარტო საქართველოს მოლაპარაკება არ შეიძლება, ვინაიდან საქართველო წააგებს. საქართველომ, რუსეთთან მხოლოდ დასავლელი **“პარტნიორების”** თანხლებით უნდა გამართოს მოლაპარაკება. ასეთის სუვერენულობა, თავისუფლება და დამოუკიდებლობა განა არ დგება ეჭვის ქვეშ?

ტერიტორიული მთლიანობის საკითხი მხოლოდ საქმიანი პოლიტიკური ძალისხმევით შეიძლება გადაიჭრას და არა უსაგნო ლაქლაქით – **“რუსეთი აგრესორი და ოკუპანტია”**, ხოლო აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებები **“ეგრეთ წოდებულები”** და სეპარატისტები. ამას გავყვირით 24 წელიწადია – წარუმატებლად (იქნებ წარმატებულადაც ხელისუფლებისთვის) და ასეც გავაგრძელებთ მომავალშიც, თუ გონს არ მოვალთ.

ჯ. ჰამლეტიძე,
პოლიტოლოგი

პოეზიის კუთხე

ᲘᲡᲛᲘᲜᲔ ᲡᲐᲑᲐᲝᲗ, ᲒᲐᲜᲒᲒᲡᲐᲯᲔ ᲡᲐᲑᲐᲝᲗ, ᲛᲖᲔᲡᲐᲕᲘᲗ ᲜᲐᲗᲔᲚᲝ ᲡᲐᲑᲐᲝᲗ!

1994 წლის მაისში, კოდორის ხეობაში მივლინებით ყოფნისას, სულითხორცამდე შემძრა წინა წლის ავბედით 27 სექტემბერს ჭუბერთან ჩაყინული დედაშვილის ნახვამ

მე ვნახე სოხუმი და გულგამოხრული
საღამო სისხლისგან დაცლილი,
ჟიული შარტავას ჩამქრალი შანდალი,
სიცივე – ბედისგან დაცინვის.
მე ვნახე ზღვისპირი, მე ვნახე ბოდაზი,
სიკვდილის ცელით რომ მოხაზეს;
მეწვის და მაწუხებს ტკივილის მარწუხი,
მტრისათვის მიშვერილ ლოყაზე!
მე ვნახე გოლგოთა და ჯვარი მომქონდა
დალურსმულ მკერდით და ხელებით,
თავდახსნილს ლათასთან, დამიხვდა ანაზდად
ჭუბერი ყინვით და ხველებით.
წამების იმ შოსით დედის და პირმშოსი
სიკვდილთან ბევრი მაქვს სადავო;
ისმინე საბაოთ, განგვსაჯე საბაოთ,
მზესავით ნათელო საბაოთ!
ტანჯვამ და ვაებამ ჩამოჰკრეს ზარები
კოშმარულ ზმანების თამასით,
მოჭრილი თავებით მობურთალ კაენთა
მაჟრჟოლებს როკვა და თამაში.
ვისაც მე ვათბობდი, ის მუხანათობდა
და ცოდვის კუპრშია ჩასული,
თვალს მიწვავს წყვდიადი და „ბაგრამიანის“
ტყვიები – მზაკვრულად ნასროლი.
მე ვნახე ბავშვები, პატარა ბავშვები,
ფეხმძიმე ქალების მუცლებით,
ჩამესმა სისხლის და ცრემლების გამშრობი
უმწეო კივილი უცები...
დავდივარ ქუჩებში დაკვნეტილ ტუჩებით
და ვეძებ, სად არის მომკელი?!
შხამიან უნასის და მომხვდურთ ურასი
არ მჯერა, თუგინდა მომკალით!
ლულების მოშვერით იმათი დროშები
სანუკვარ იმედთა მკვლელია,
გაგრაში, სოხუმში, გალსა და გულრიფშში
ამიტომ გაცივდა კერია!
ვიდრემდე წაგვკიდეს, ერთ ჭერქვეშ აქ იდო
ქართველი ძუძუმტე აფხაზის,
სამშობლოს ამ კუთხის უტკბესი აკიდო,
ნახატი ოცნების ნახაზით.
ლენცოფას თესავდნენ, დღესაც ღვარძლს თესავენ
და მამულს გვიხდიან სადაოდ,
ქართველის ღირსებით, აფხაზის ღირსებით
მტრისაგან გვიხსენი საბაოთ!
გამართეს ზეიმი, ატკბობდათ სეირი,
ძმის მოკვლით ვინ რომელს აჯობებს,
არნახულ წამების დაგვიდგა წამები,
თავების თამაშში „მსაჯობდნენ“!
ტანჯულთა ღაღადი და ოხვრა ცად ადის:
„მსგავს ეშმას ვინ ნახავს, სადაო?“
გვისმინე საბაოთ, განგვსაჯე საბაოთ,
მზესავით ნათელო საბაოთ!

პარალელები

ᲛᲝᲚᲝᲓᲘᲜᲘ

ფიქრი, რომელიც დაბადა ბალღობისდროინდელმა თამაშმა „ვისი სული გსურს?“

რუსულით და ინგლისურით
ნურასოდეს მიგდის სული,
სხვა ეშხი აქვს სიტყვას ქართულს
და თუ ვინმე ენას გვართმევს,
ქართველობას გვართმევს ქართველს;
ჩარხს უკუღმა ისე მართავს,
ვერ გაარჩევ მტყუან-მართალს.
მოგვისია ბევრი „ბუა“,
დაგვახვია ტარაბუა,
რითაც ბევრი გააბრუა.
აღარ ახსოვთ, ვინ ვართ, რა ვართ,
რისთვის ვცოცხლობთ და სად დავალთ,
ვინ სად წავა, ვინ სად მოვა,
რას ვგავდით და დღეს რას ვგავართ?!
მე კი დღემდე,
– დღისით, მზისით,
ვერც იმედი, ვერც მერმისი
ბურუსით ვერ დამიბურეს!
სიტყვა ნაღდი არის ვისიც,
მის სულს ვნატრობ, მჯერა მისი,
რომ აფხაზეთს დამიბრუნებს,
ტაო-კლარჯეთს დამიბრუნებს
და შიდაქართლს დამიბრუნებს!
თავს აიშვებს მხოლოდ მაშინ
წელს გამართავს და მხრებს გაშლის
გოლიათურ სიგრძე-განით,
სხვისგან მართვის მტყუან-მართლით,
და მეზობლის ხათრიმათრით,
კლდეზე ჩრდილოთ მავთულხლართით
მიჯაჭვული ამირანი!

ᲚᲔᲕᲐᲜ ᲑᲔᲠᲫᲔᲜᲘᲨᲕᲘᲚᲡ

როცა მაღალ სკამს განდობენ,
დეპუტატობას განდობენ,
რაღა ჯანდაბა განდომებს
ბუსუსებიან განდონებს?

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲨᲔᲜᲒᲔᲚᲘᲐ,
თბილისელ-ქუთაისელი

ილორი

მერაბ კოსტავას პოეზია

ქრისტიანული რწმენისა და სახისმეტყველების საკითხები – საღვთო სიმბოლიკა

მერაბ კოსტავა იყო ორთოდოქსი მორწმუნე, საღვთო ეთიკის, საღვთო ზნეობის, ეროვნული ტრიადის თავგამოდებული დამცველი. პოეტს სჯეროდა, რომ მხოლოდ მორწმუნე, მხოლოდ უფლის ერთგული ესათნოება ყოვლისშემძლეს: **„არსთა გამრიგემ არ გაიმეტოს, ვინც სამყაროთა თვალის ჩინია, ადამიანო, შენდა იმედად ღაღადებს სიტყვა „ნუ გეშინია“.**

მხოლოდ **„უტეხი რწმენით“** მარცხდება ბოროტება, არა მხოლოდ თანაგრძნობა, იდეალებისათვის თავგანწირვა ხელეწიფება **„ქარიშხლის პირმშოს, ცხოვრების გრიგალებთან მებრძოლს**" (იქ თავგანწირვა გაგიღებს კარებს) (1,22-23).

სამყაროს შექმნელ ღმერთ-საბაოთს ევედრება პოეტი, ასმინოს **„სიტყვა დაუსაბამო“** (შენ გევედრები სულით გლახაკი) (1,25-28).

ლექსში **„სფინქსი“** ზეცაშია **„იდუმალი სიტყვა: „გადაიხრება ზეცის თავანი, იდუმალ სიტყვის მაღალმშვენებით“ (1,76-77).**

„სიტყვა“ ძე ღმერთის სახელია: **„თავდაპირველად იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმერთთან და სიტყვა იყო ღმერთი“** (იოანეს სახარება, 1,1) (2,176).

„სულის საყდრის“ განახლების, უზენაესი ნათლის, შუადამის მზის ხილვისთვის ღაღადებს გულმხურვალედ და, მართლაც, ეზიარება საღმრთო ბრწყინვალების სიხარულს: **„ოდეს ვირეკდე, განმიღე კარი, ელვავ, ღრუბლებში შემოპარულო და განმიახლე სულის საყდარი, სასოებაო და სიხარულო. როდესაც წარვთქვი. „იყავნ ნათელი“, აენთო ჭადი მზიან ღამისა“...**

ლექსში ღმერთის კანონიკური სახელებია: კარი, ელვა, სასოება,სიხარული, ნათელი, მზიანი ღამე. ეს სახეები ბიბლიურ-ქრისტიანული არსენალიდან მომდინარეობს.

დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნებში ღმერთის სახელია **„მარადი კარი“: „მაღლა ასწიეთ, კარიბჭეებო, თქვენი თავები და აიწიეთ, კარნო მარადნო, რომ შემოვიდეს მეფე დიდებისა“** (ფს.23/24,7) (2,544).

სახარებაშიც კარია ძე ღმერთის სიმბოლო: **„მე ვარ კარი ცხოვართა“** (იოანე, 10,8)(2,201).

კარი საღმრთო სახელად ფიგურირებს მერაბ კოსტავას ლექსში **„თეთრი ქალწული:“ „სიჩუმე კარი მარადისობის“.**

„ელვა, ღრუბლებში შემოპარული“ ერთად აფიქრებს ძე ღმერთისა და მისი დედის – მარიამ ღვთისმშობლის სახელს.

მაცხოვრის მოვლინება სახარებაში ელვის გამობრწყინებასთან არის შედარებული: **„როგორც ელვა შემოდის აღმოსავლეთიდან და თავად დასავლეთამდე ანათებს, ასევე იქნება კაცის ძის მოსვლაც“** (მათე, 24,27).

„...ვინაიდან, როგორც ელვა ელავს ცის ერთი კიდიდან და ანათებს მეორე კიდემდე, ასევე იქნება კაცის ძე თავის დღეს“ (ლუკა, 18, 24) (2,153/2,155). ღრუბელი, ნათელი ღრუბელი მათეს სახარებაში (17,5) (2,37), **„უძველეს იადგარში“** (3,98), **„სინურ მრავალთავში“** (4,200) არის მარიამ ღვთისმშობლის მეტაფორა.

სასოება, იმედი ღმერთის ცნობილი სახელია: **„შენ ხარ ჩემი იმედი, უფალო“** (ფს.70-71,5) (2,595).

ქრისტე არის იმედის ღმერთი: **„იმედის ღმერთმა აგავსოთ ყოველგვარი სიხარულით“** (პავლე მოციქული, რომაელთა, 15,13) (2,352).

ან: **„მტკიცედ მივყვეთ იმედის აღსარებას"** (პავლე მოციქული, ებრაელთა, (10,23)(2,481-484).

„სიხარული“ საღვთო სახელია, სახარებაში ქრისტე არს „დიდი სიხარული მთელი ხალხისა“ (ლუკა 2,10) (2,113).

„მზიანი ღამის“ სახე მომდინარეობს „ვეფხისტყაოსნიდან, გვხვდება დავით გურამიშვილის „დავითიანში“ და მიჩნეულია საღვთო სახელად, კერძოდ, ქრისტეს მეტაფორად (5,124).

„მზიანი ღამე“ ანალოგიური გაგებისაა გალაკტიონის პოეზიაში (ტფილისი ღამით) და ნოდარ დუმბაძის რომანში **„მზიანი ღამე“.**

ზემოთაღნიშნულ ლექსში მერაბ კოსტავა ნატრობს საღვთო მადლის მოფენას, ზეციური ხმის გაგონებას, დამბადებლის, მაცხოვრის გამოცხადებას, უკვდავების წყაროსთან ზიარებას: **„ცდაში მარჯვენა არ მომიცარო, აბჯრად ამასხი ძალი თმენისა, უკვდავებისა შთამასვი წყარო, შემასხი ფრთენი აღმაფრენისა“.**

წყარო ღმერთის სახელად გვევლინება ძველ და ახალ აღთქმაში, ღვთისმეტყველებაში, სასულიერო პოეზიაში, თანამედროვე კლასიკურ ლირიკაში.

მივმართოთ მაგალითებს. იერემია წინასწარმეტყველთან ღმერთს ეწოდება **„ცხოველმყოფელი წყაროსთვალი“** (იერემია, 17,13) (6,141).

„მოგცემთ უფალი ჭირში პურს და სიმწარეში წყალს და აღარ დაიმალება თქვენი მოძღვარი“ (ესაია წინასწარმეტყველი, 30,20) (6,95).

ზაქარია წინასწარმეტყველი ღმერთს მოიხსენებს, როგორც **„სიცოცხლის წყალს“** (ზაქარია, 14,8)(6,304).

ღმერთი არის **„წყარო ცხოვრებისა"** (ფს. 35,10) (2,558).

სახარების მიხედვით, ღმერთი არის **„სიცოცხლის წყლის წყარო, მოწყალებისა წყარო, წმინდა წყარო, წყარო ჭეშმარიტებისა, საიდუმლო წყარო“** (7,194,224, 179,404,424).

დანტეს **„ღვთაებრივ კომედიაში“** ღმერთი მოიხსენება, როგორც **„მარადიული დიდების წყარო, მარადჟამული სათავის წყარო, მარადჟამული ჭის წყალი, შადრევნის წყარო“** (8,197,264,372,403).

დავით გურამიშვილმა ქრისტიანულ ღმერთს უწოდა **„ცხოვრების წყაროს „ღარი“** (9,118).

ამ მხრივ მრავალი მაგალითი მოიპოვება გალაკტიონის შემოქმედებაში (10,41-47).

მერაბ კოსტავას პოეზიაში ასეთ საღმრთო სახელია **„უკვდავების წყარო“, „იდუმალების წყარო“, „წყარო ცხოვრების“** (ბიბლიური რემინისცენციები) (1,87-104).

ლექსში **„შენ გევედრები სულით გლახაკი“** მთავრდება მიმართვით მამაღმერთის, ძე ღმერთისა და ღვთისმშობლისადმი: **„ჭეშმარიტების მიჯნურთა მწდეო, ბჭეთა დახშულთა ლოცვავ ფარულო, მარადი მამის მარადო ძეო, რწმენავ, იმედო და სიყვარულო“.**

„მარადი მამა“ მამაღმერთია.

ღმერთი არის **„დიდების მამა“ (**პავლე მოციქულის წერილი ეფესელთა მიმართ, 1,6), **„მოწყალების მამა“** (პავლე მოციქულის მეორე წერილი კორინთელთა მიმართ, 1,3), **„მარადისობის მამა“** (ესაია წინასწარმეტყველი, 9,5) (6,45), **„ნათელთა მამა“** (იაკობ მოციქული, 1,17).

„მოხუცი მამა“ ეწოდება მამაღმერთის **დანტეს „ღვთაებრივ კომედიაში“, გოეთეს „უკანასკნელ საზღვარში“, გალაკტიონის „მამულში“ (**11,54).

საღვთო სახელებია **„იმედი“ და „სიყვარული“,**

ქრისტე არის **„იმედის ღმერთი“**, (პავლე მოციქული, რომაელთა, 1,13).

ღმერთი სიყვარულია (იოანე, I.4,8) (2,320).

„ბჭე დახშული“ მიგვანიშნებს მარიამ ღვთისმშობელზე.

„დაუჯდომლის“ მიხედვით, მარიამ ღვთისმშობელი არის **„სამოთხისა ბჭეთა განმღებელი“, მჭე ცხოვრებისა“** (12,10,12).

ლექსში **„განაჩენის მოლოდინში“** (1,28-30) ღმერთის სახელია **„ცხოვრების ყვავილი“**. მისი წყაროა ბიბლია: **„ყვავილები დაჩნდნენ მიწის პირზე, ჟამი გალობისა მოიწია და ხმა გვრიტისა ისმის ჩვენს მხარეში“** (ქებათა ქება სოლომონისა, (2,12) (6,15).

ღვთის სახედ და ხატად შექმნილი ადამიანის **„მბორგავი“** სული ერთდროულად ნავარდობს ლაჟვარდში, ვარსკვლავთა წალკოტში და, ამავე დროს, როგორც მიწის შვილი, ეამბორება მამულის მიწას: **„სულო, გასდიე შალი კლდის არწივს, ლაჟვარდში შვება იცან, ვარსკვლავთა წალკოტს ოცნებით ასწვდი და ეამბორე მიწას“** (სულო დაიცა) (1,40).

ზევსის შემართების, ცაში კომეტებს ადევნებული სული ჭვრეტს ჩვეულებრივთათვის უხილავს: **„სჭვრეტ მეუფებას ოქროს ტახტიანს, მნათობთა ბადეს გაშლილს, განგებას შენთვის ცეცხლისმფრქვეველი რაში“.**

უფალი, მეუფე საღვთო სახელია (იოანე დამასკელი (13,335).

ლექსის ლირიკულ გმირს ეხვევა საღვთო ცეცხლი, ხარობს აღდგომით და დარწმუნებულია, რომ სინანული მკვდრეთით აღადგენს: **„ჰა, გარიჟრაჟმა ცეცხლი დაგინთო, აღდგომა კვირის დამდეგს, ხამს სინანულის ზღვაში ჩაყვინთო, მოკვდი და მკვდრეთით აღდექ!“**

ცეცხლი საღვთო სახელია, ღმერთი არის **„ცეცხლი უნებლად განმანათლებელი“ (პეტრე იბერი) (14,144) ღმერთი არის „ცეცხლი უსხეულო, უჩინარი ცეცხლი“** (იოანე მტბევარი).

იოანე **„დიდი ცეცხლი“** ეწოდება ღმერთს **„ღვთაებრივ კომედიაში“** (8,244), ე.რერიხის ნააზრევში (15,139).

ქრისტე არის აღდგომა, მარადიული სიცოცხლე: **„მე ვარ აღდგომა და სიცოცხლე, ჩემი მორწმუნე, კიდეც რომ მოკვდეს, იცოცხლებს“** (იოანე 11,25) (2,204).

ლექსის ბოლოს ისმის ძე ღმერთისა და მისი დედის გალობა: **„რა უკვდავების ქნარით გვიგალობ, ეს რა სამკვიდრო გერგო, ბოროტებასთან შეურიგალო მარადისობის ნერგო“.**

„დაუჯდომლის“ მიხედვით, მარიამი არის **„სიტყვიერთა ცხოვართა ქნარი“** (12,10). ლექსში უფლის დედაზე მანიშნებელია **„უკვდავების ქნარი“.**

საღვთო სახელია ნერგი, ნერგი და მენერგე.

მერაბ კოსტავას ლექსში ღმერთის სახელია **„მარადისობის ნერგი“,** ხოლო **„ბიბლიურ რემინისცენციებში“** ღმერთს ეწოდება **„ნერგი, ზეციით გადმორგული“: „ნერგს, ზეციით გადმორგულს ნუ დააზიანებ“.** პოეტის ნატვრაა სულის დამკვიდრება წმინდა ლაჟვარდში, ედემში: **„სად მიისწრაფვი, სულო, დაიცა, სულო მბორგავო, შესდექ, წმინდა ლაჟვარდიც უნდა გაიცრას, რომ მიემთხვიოს ედემს“** (1,41).

პოეტის ზნეობრივი კრედოს განმსაზღვრელია ქრისტიანული რელიგია: **„იყავ უმწიკვლო, ვითა ცხოვარი, სიწმინდის თვალი, ასპიტის ელდა, მხსნელად მივირქვათ ჩვენ მაცხოვარი, დაგვიშოშმინებს მსოფლიო სევდას“** (იყავ უმწიკვლო, ვითა ცხვარი) (1,54).

„თვალი“ უფლის სახელია: **„ყველგან უფლის თვალებია, ხედავენ უკეთურებს და კეთილებს“** იგავნი სოლომონის: (15,3) (6,627).

„დიდგანმზრახველო და მრავალმოქმედო, რომელსაც ღია გაქვს თვალები ადამიანის ძეთა საქციელის მიმართ, რათა მიაგო თითოეულს თავისი საქციელის და თავისი ნამოქმედარის მიხედვით“ (იერემია წინასწარმეტყველი, 32,19) (6,156).

ღმერთის სახელელია **„ცხოვრების თვალი“.** მარიამი არის **„ცხოვრების თვალის მშობელი“** (ძლისპირნი) (16,535).

ლექსში, **„შეხვედრა“** ფიგურირებს **„ციერთა თვალები“** (1,56).

ადამიანობის უმძიმესი ტვირთის, საკუთარი წილი ჯვრის ტარება, მომხვეჭელობის დაგმობა, უზენაესი პირუთვნელობის გზის არჩევა, ღმერთის გეზის გაგება, ურთიერთის ძიება უნდა იყოს ჭეშმარიტი არსებობის მიზანი: **„არცოდნა აღარ გვეპატიება იმის, თუ რაა გეზი ღმერთისკენ, ეს ურთიერთის არის ძიება, იგი გზა არის ურთიერთისკენ“.**

„ერთის“ ირგვლივ გაერთიანება გაგვაგნებინებს სიწრფელისა და ერთგულების გზას: **„ასე იკვრება მრავალი ერთით, მსგავსი რომლისაც არ გვეგულება, თუკი სამყაროს, აზრია ღმერთი, გზაა, სიწრფელეც და ერთგულებაც, თუკი სამყაროს აზრია ღმერთი, გზა სიბრძნეც და ჭეშმარიტებაც“.**

„ერთი“ უზენაესის სახელია: **„... ღმერთი ჩვენი, უფალი ერთია“** (მარკოზი, 12,29) (2,96).

„...საუკუნეთა მეფეს, უხრწნელ, უხილავ, ერთადერთ ღმერთს – მას, დიდება და პატივი უკუნით უკუნისამდე. ამინ“ (პავლე მოციქული, I ტიმოთე, 2,17) (2,449).

„...კურთხეული და ერთადერთი ხელმწიფე, მეფეთა მეფე და უფალთა უფალი, ერთადერთი, რომელსაც უპყრია უკვდავება, მკვიდრობს მიუწვდომელ ნათელში, რომელიც არავის უხილავს ადამიანთაგან და არც ძალუძს მისი ხილვა“ (პავლე მოციქული, I ტიმოთე, 6,15,16) (2,455).

„სამნი მოწმობენ ცაზე: მამა, სიტყვა და სულიწმინდა და ეს სამი, ერთია“ (I იოანე, 5,7) (2,321).

სიბრძნე ღმერთის სახელია: **„სიბრძნე – ყოველთა შემოქმედი“** (სიბრძნე სოლომონისა, 7,21) (6,24)9 **„ერთია ბრძენი, ფრიად საშიში, თავის ტახტზე დაბრძანებული“** (სიბრძნე ზირაქისა 1,8) (2,35).

ღმერთი არის **„ნათელი ჭეშმარიტი, რომელიც გაუნათებს წუთისოფლად მომსვლელ ყველა ადამიანს“**(იოანე,1,9).

ღმერთის სახელებია **„გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე“** (იოანე, 14,6) (2,211)

ღმერთი არის **„ჭეშმარიტების სული“** (იოანე, 14,16) (2,212).

სიტყვისა და საქმის ერთიანობით **„ჩვენს წიაღში ესე სამება, მძლე სიყვარულით გაერთარსდება“**, ამბობს პოეტი.

მოძმის, მოყვასის სიყვარული, ერისთვის მძიმე ხვედრის გაძლება, უფლის განსაცდელ-გამოცდათა წარმატებით ჩაბარება, მარტვილობით გამობრძმედა, ძე ღმერთის პრინციპების სამაგალითოდ ქცევა, სულის თვალით უდიადესის ჭვრეტა, აი უმაღლესი იდეალი: **„გთხოვ, მარტვილობა გვიქციო ბრძმედად, გარდასახდენი არ განგვარიდო, ღირსად გვყო ძისა შენისა ჭვრეტად, ჩვენი ცხოვრების სამაგალითოდ“**(1,55).

პოეტის სურვილია **„ტატნობთა კრეტსაბმელის“** იქით ჭვრეტა, რათა იხილოს **„ვარსკვლავთა გარდამოსვლა, „სერაბინთა სერობა“** (შეხვედრა) (1,56).

ვარსკვლავი საღმრთო სახელია: **"ქრისტე არის ცისკრის კაშკაშა ვარსკვლავი“** (იოანეს გამოცხადება) (22,16).

ლექსში **„გალაკტიონი“** პოეტი წუხს ვარსკვლავის გაუჩინარებაზე, უღმერთობაზე: **„ერთი უმრავლეს ვარსკვლავთაგანი რად არ აღენთო ზეცაში დღემდე?“** (1,151).

ლექსში **„შეხვედრა“** (1,56) მცხეთის და საეგროს ფონზე ფიქსირდება საწმისი, იგივე გრაალი, ბარძიმი, რომელიც არის **„სიმბოლო სულიწმინდისა, ღვთისმშობლისა და გრაალის მფლობელი არის სულიწმინდით გამსჭვალული ადამიანი“** (17,38).

„შეხვედრაში“ საუბარია სოკრატის, დიონისოს, წინასწარმეტყველ ესაიას სულებზე, ისმის ღვთისმშობლის მუდარა, ხდება რაბისა და იდუმალი **„სერაბინთა სერობია“** ხსენება.

რაბი (ებრ. მოძღვარი, მსახური) (18,343) ქრისტეს მიემართება: **„რაბი, რა კარგია ჩვენთვის აქ ყოფნა“** (მარკოზი, 9,5) (2,84).

„რაბი ჩვენ ვიცით, რომ შენ ხარ მოძღვარი, ღვთისგან მოსული, ვინაიდან არავის ძალუძს ისეთი სასწაულების მოხდენა, როგორსაც შენ ახდენ, თუ მასთან ღმერთი არ არის“ (იოანე, 3,2) (2,180).

მერაბ კოსტავას **„ბიბლიურ რემინისცენციებში“ „აბრაამი არის ზეშთაგონებით გაბრძნობილი მოძღვართ მოძღვარის.“** მოკვდავთა გაბრძნობა კი მხოლოდ ღმერთს, მოძღვართ-მოძღვარს ხელეწიფება (1,100).

მერაბ კოსტავასთვის ჭეშმარიტი ლექსი არის **„აღძრული სასწაულითა, საღვთო ქორწილის მაყარი, უსაზღვრობის პირმშო“** (ლექსი) (1,60,61).

სასწაული არის ღმერთის სახელი: **„მოავლინე სასწაული და საოცრებანი ჩვენს შორის“** (ფს. 134/135,9) (2, 669).

„უსაზღვრობის“ ადრესატი არის ღმერთი (იოანე დამასკელი) (13,334).

„საღვთო ქორწილი“ სასუფეველს გულისხმობს.

ლუარა სორდია,
(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს" ზუგდიდის ორგანიზაცია თანაუგრძნობს გიზო, გია და გოჩა მესხიებს ბიძის

მამია მესხიას

გარდაცვალების გამო.

ღორონთქ ოჩხონუას პატგნი მამიაში შური...

სოხუმიდან ჩამოსულმა პოეტმა ზუგდიდელებს საკუთარი შემოქმედება გააცნო

სვანური ქუდით თავზე, თვითნასწავლი ქართული აფხაზური აქცენტით, სიტყვაძუნწი ურთიერთობაში და თამამი ლექსების კითხვისას – ზუგდიდის სამხატვრო გალერეამ სოხუმელ 23 წლის პოეტ ნიკა ბაძაღუას უმასპინძლა. მან შეკრებილებს საკუთარი სამენოვანი შემოქმედება გააცნო – ქართულად ნათარგმნი აფხაზი პოეტების პოეზია და პირიქით, აფხაზური ვერსია ქართველი ხელოვანების, ასევე ქართულად, აფხაზურად და მეგრულად დაწერილი ლექსები.

ნიკა ბაძაღუა სოხუმის უნივერსიტეტის მეორე კურსის სტუდენტია, სადაც აფხაზურ ფილოლოგიას ეუფლება. სწავლობს კავკასიურ ენებს. აქვს ინტერესი ქართულთან ერთად მეგრული და სვანური ენების მიმართ. ახალგაზრდა პოეტის თარგმანები ტერენტი გრანელის შემოქმედებით იწყება, რომლის საფუძველზე თავადაც გაუჩნდა სურვილი, ლექსები ქართულად ეწერა.

“ჩემთვის არ არსებობს ქართველი პოეტი, როგორც ძველი, ასევე თანამედროვე, რომელიც არ წამიკითხავს. გალაკტიონი მეფე გყავთ, მაგრამ ტერენტი სულ სხვაა, ამოუცნობი ფენომენია”, – მიმართა მსმენელებს ნიკა ბაძაღუამ და განსაკუთრებული დამოკიდებულება ტერენტისთან ერთად, შოთა ნიშნიანიძის მიმართაც გამოხატა.

მან არც ის დამალა, რომ დიდუბის პანთეონში ტერენტი გრანელის საფლავი მოინახულა და ნეშტის მთაწმინდაზე გადასვენების სურვილი გამოთქვა.

ამბობს, რომ ინტერნეტსივრცეში ხშირად მოიხსენიებენ პოეტად, რომელიც თარგმნის აფხაზურიდან ისეთ ხელოვანებს, ვისაც საქართველო და ქართველები არ უყვარდა. მან საპირისპიროს დასამტკიცებლად რამდენიმე ნიმუში, მათ შორის გოგლა ლეონიძისადმი მიძღვნილი ივანე ტარბას ლექსი წაიკითხა.

“ახლა თვითონ გადაწყვიტეთ, არ უყვარდათ მათ საქართველო და ქართველები, თუ გიჟდებოდნენ”, – ამ სიტყვებით დასკვნები აფხაზმა პოეტმა შეკრებილებს მიანდო.

“პირველ რიგში მადლობა ამ ლამაზი დღისთვის, რომელიც მაჩუქეთ. ეს არის როგორც პოეტის ჩემი აქ დაბადება, ზუგდიდში. დაუვიწყარი დღეები მაჩუქა ამ ორმა უადამიანესმა ადამიანმა. ანაკლიაში რაც მოხდა, ეს იყო საოცრება. ამდენი კავკასიელი ცხოვრებაში არ მინახავს ერთად”, – მიმართა ნიკა ბაძაღუამ ერთის მხრივ ჩერქეზული კულტურის ცენტრის დირექტორ მერაბ ჩუხუას და მეორეს მხრივ, ზუგდიდის გამგებლის მოადგილე თამაზ ჟორჟოლიანს.

თავის მხრივ, მერაბ ჩუხუამ აღნიშნა, რომ დღევანდელი შეხვედრა ერგვარი გაგრძელებაა ქართულ-აფხაზური და კავკასიური პოეზიის ფესტივალის, რომელსაც რამდენიმე დღის წინ ანაკლიამ უმასპინძლა. მისივე თქმით, სწორედ აღნიშნული ღონისძიების შემდეგი დაკვეთა ქართული საზოგადოების მხრიდან, აფხაზ პოეტთან შეხვედრა იყო, რაც რეალობად აქციეს. მერაბ ჩუხუას სიტყვებით, სწორედ ნიკა ბაძაღუამ დაუდო საფუძველი აფხაზური პოეზიის დღეებს საქართველოში.

“ეს ადამიანი გააერთიანებს ორ საზოგადოებას, აფხაზურ და ქართულ საზოგადოებებს. ეტყობა მოგვენატრა ერთმანეთი. ჩვენდა უნებურად ეს გამოგვეპარა. ნიკა ბაძაღუა მისდევს ივანე ტარბას ტრადიციებს, რომელიც თარგმნიდა ქართველ პოეტებს. მისი იდეალია მუშნი ლასურია, ვინც „ვეფხისტყაოსანი“ თარგმნა აფხაზურად.”, – მიმართა შეხვედრის ორგანიზატორმა აუდიტორიას და დასძინა, რომ მნიშვნელოვანია, როცა ენგურს გაღმა და გამოღმა ადამიანები ინტერესდებიან ერთმანეთის სულიერი მდგომარეობით.

ამბობს, რომ პოეზიისთვის არ არსებობს საზღვრები, რისი მტკიცებულებაც დღევანდელი დღეა.

მერაბ ჩუხუასვე თქმით, უნდა ვაღიაროთ, რომ ქართველებს **“ბომბების სროლის გარდა”** არაფერი უკეთებიათ, პასუხად კი სწორედ აფხაზ პოეტისგან ლიტერატურული საღამო, როგორც **“კარგი შემოლაწუნება”** მიიღეს.

მანვე ნიკა ბაძაღუა თბილისში მიიპატიჟა, სადაც დაჰპირდა, რომ მის შემოქმედებას კიდევ უფრო ფართო აუდიტორიას გააცნობს.

“ᲝᲚᲝᲠᲘᲡ” მთავარი რედაქტორის კომენტარი – *ორიოდ თვის უკან ჩემმა მეგობარმა დავით ქობალიამ ჩემთან სახლში მოიყვანა ახალგაზრდა გამხდარი ყმაწვილი, რომელიც აფხაზ პოეტ ნიკა ბაძაღუად გამეცნო. თავიდან მეგონა, რომ იგი დევნილი აფხაზი გახლდათ, იმდენად სრულყოფილად ფლობდა ქართულ ენას, მაგრამ სასიამოვნოდ გაოცებული დავრჩი როცა გავიგე, რომ იგი დღესაც სოხუმში ცხოვრობს და მოღვაწეობს. თითქმის მთელი დღე დავყავით ერთად, მიყვებოდა იმ ქართველ და აფხაზ შემოქმედებზე, რომლებიც ამაგრებდნენ ჩვენს ხალხებს შორის საუკუნეობით ნაგებ მეგობრობისა და მშვიდობიანი თანაცხოვრების ხიდს. მათან საუბარმა გამახსენა ჩემი აფხაზი მეგობრები, უბადლო შემოქმედები, მწერლები შუქრი კვიწინია და ჯუმა ახუბა, პოეტი ალექსი გოგუა, აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლ “ნაართის” წევრი ფედრა ჯალაღონია და სხვები, რომელთა ვინაობას გარკვეული მოსაზრების გამო არ ვაკონკრეტებ. დამშვიდობებისას დამპირდა, რომ ვრცელ საგაზეთო წერილს გამომიგზავნიდა, მაგრამ, ეტყობა, ჯერ ვერ მოიცალა. ამიტომ, ძალიან გამიხარდა როცა ინტერნეტსაიტ “ლაივპრესზე” ეს ინფორმაცია წავიკითხე და გადავწყვიტე, რომ იგი ქართველი მკითხველისათვის გამეზიარებინა.*

ᲠᲝᲚᲐᲜᲓ ᲯᲐᲚᲐᲦᲐᲜᲘᲐ

საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობის გზაზე

(30 წლიანი კლანური მმართველობის სიავნენი)

მსოფლიოს არსებობის მანძილზე არ ახსოვს საერთაშორისო საზოგადოების არსებობის არანაირი ნიშან-წყალი. არასოდეს და როცა საზოგადოებაზე ვსაუბრობთ ამ ცნების უმაღლეს საფეხურად წარმოსდგება ერი. აქ არ შევუდგებით, იმის მტკიცებას როგორ და რანაირად ხდება ერის სასიცოცხლო ორგანიზმის შეკვრა ერთ საზოგადოებად, ერთ სოციალურ ორგანიზმად, მხოლოდ იმას მოგახსენებთ, რომ დღეს ერის ხსენებაზედ საქართველოში ბრაზი მოსდით **“კაცობრიობის”** ვითომც მსახურთ. სხვა ქვეყნებში კი, თვით უკიდურეს კოსმოპოლიტთა შორისაც კი არ გამქრალა დაფასება და პატივისცემა ერისა და ბევრგან უმაღლეს ხარისხამდისაც არის მიღწეული. მაშ, რატომ უკუაგდებენ საქართველოში **“კაცობრიობის”** სახელით ერის პატივისცემას? იმიტომ, რომ **“კაცობრიობის”** მცნებასა და ვითომ საერთაშორისო საზოგადოების მშენებლობის პროცესს თავს აფარებს უამრავი ავაზაკი, თაღლითი, მედროვე და უნიჭო, რომლებიც პირდაპირ მავნებლობენ ქართული სახელმწიფოს მშენებლობის პროცესს და ვერც საერთაშორისო საზოგადოებას ვერ ქმნიან. ამ ყოველივეს კი დასაწყისი მისცა 30 წლის წინანდელმა ფეოდალური შინაარსის შიდა დაპირისპირებამ, რომელშიც **“ინტელიგენცია”** ავტომატმომარჯვებული დასდევდა ქართველ ხალხს ქუჩის ავაზაკებთან ერთად: **“რატომ ჩემნაირად არ ფიქრობო”** (რაც არსად არ მომხდარა არც სსრკ-ს ყოფილ რესპუბლიკებში და არც სხვა ქვეყნებში). ინტელიგენცია ზოგადად არსებობს იმისთვის, რომ ერს წარუძღვეს, კრიტიკული სიტუაციების დროს და გონივრული გადაწყვეტილების მიღებაში დაეხმაროს მას. საქართველოში კი იარაღასხმულმა მსახიობმა, მასხარამ, რეჟისორმა, ოპერატორმა ხალხზე იერიში მიიტანა ეროვნულად მოაზროვნე პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია რატომ აირჩიეო. ჩვენ ვიცით, რა იდეოლოგიით ხელმძღვანელობდნენ ეს იარაღასხმული **“ინტელიგენცია”**. მათი ნამოქმედარის შედეგს ვხედავთ დღეს. მხოლოდ აქვე მინდა აღვნიშნო, როცა იმ დროს ვიხსენებ ყოველთვის სირცხვილის გრძნობა მეუფლება, როგორც ქართველს და საქართველოს მოქალაქეს, რომელმაც თავის წიაღში ისეთი **“ინტელიგენცია”** აღზარდა, რომელსაც ხალხი ერი ქართველი სძულდა და გონებაში ამოტივტივდება უდიდესი ხელოვანის ჩარლი ჩაპლინის სახე. ნაცისტური გერმანიის დროს რომ მოუწია სიცოცხლემ და თავის შემოქმედებაში ბევრჯერ ამხილა ნაცისტი ჰიტლერის ბოროტმოქმედებები კაცობრიობის წინაშე, მაგრამ თავად მას, როგორც ადამიანს არ აუღია ავტომატი ხელში თუნდაც ჰიტლერის წინააღმდეგ, და კიდევ, ჰიტლერის უამრავი დანაშაულებრივი ქმედების მიუხედავად კაცობრიობის წინაშე, გერმანელებს ის დღესაც უყვართ როგორც ეროვნული გმირი, თავიანთი სამშობლოს დიდებისთვის მებრძოლი... ამ აზრის ჩართვისთვის მკითხველმა ნაცისტად რომ არ ჩამთვალოს შევახსენებ მას, მხოლოდ იმიტომ ჩავურთე ამ წერილს, რომ უფრო ნათლად დამენახვებინა მისთვის შეცდომა თუ შეგნებული დანაშაულებრივი ქმედება ქვეყნის წინაშე, იმ **“ინტელიგენციისა“**, რომელსაც მერე ხალხმა **“წითელი ინტელიგენცია”** შეარქვა, რომელთა ქმედებას ხელს უწყობდა საერთაშორისო თაღლითი ედუარდ შევარდნაძე, რასაც მოჰყვა ქართული ტერიტორიების კლანური გადანაწილება ეკონომიკური და ბუნებრივი რესურსების მიტაცება-დაპატრონების და სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური სტრუქტურის წაშლის მცდელობის ფონზე, რაც დღემდე გრძელდება და არ უჩანს დასასრული. პოლიტიკური სივრცე თვისობრივად კლანური რჩება, როგორც არ უნდა შეიცვალოს სტრუქტურულად და რამდენი პატიოსანი ადამიანიც (ივანიშვილი თუ სხვ.) არ უნდა მოხვდეს მასში.

ერთი თვალის გადავლებით ვნახოთ რამდენი დანაშაულებრივი ქმედება შერჩა კლანს, რომელიც მთავრობის სახელით მოქმედებს დღემდე და ჰყავს ლობისტები როგორც ევროპაში და ამერიკაში, ასევე რუსეთში. მივყვეთ მოვლენებს – შევარდნაძის პრეზიდენტობისას: სოფლის მეურნეობის ამერიკული პეპლებით მოწამვლა, ჟურნალისტ სანაიას მკვლელობა, გიორგი ჭანტურიას მკვლელობა... სააკაშვილის პრეზიდენტობისას: ზურაბ ჟვანიას მკვლელობა, სანდრო გირგვლიანის მკვლელობა, **“ციხის კადრები”**, გურამ შარაძის მკვლელობა. დღევანდელი მთავრობის პერიოდი: კიწმარიშვილის მკვლელობა, ბესო ხარძიანის მკვლელობა, 2015 წლის თბილისის წარღვნა, ციანიდის საქმე, მაგდა პაპიძის ქმარშვილის მკვლელობა და თავად მაგდასთვის დაბრალება მკვლელობისა, ქართული მოსახლეობის გაიძვერული მეთოდებით ფინანსური გაკოტრება და მათთვის სახლების წართმევა, ხანძარი საქართველოს ტყეებში, ზუგდიდის პროკურორის და მისი ნათესავის მკვლელობა რუსი ეროვნების მოქალაქის ვინმე **“პოპოვის”** ხელით, სადაც ფიგურირებს **“ტოტალიზატორების”** ავზნიანი ხელი. მაია რჩეულიშვილისა და რუსუდან კერვალიშვილის ფინანსური გაკოტრება და დამნაშავის სახელით დაპატიმრება.

დააკვირდით აქ ჩამოთვლილ დანაშაულებათა არასრულ სიას და ვნახავთ, რომ ისინი ერთი ხელწერისანი არიან და თათრული ხრიკების ვერაგულ გამონაგონს წარმოადგენენ.

რატომ ვერ ახერხებს მართლმსაჯულება დამნაშავეთა დაგენას და ყოველთვის მსხვერპლი რატომ გამოჰყავს დამნაშავედ? პასუხი ერთია. თავად არის დანაშაულის ჩამდენი და თავის თავს ხომ არ დაიჭერს? ანუ ის რჩება თვისობრივად კლანური, ეყრდნობა დამნაშავეთა სამყაროს და აკანონებს უსამართლობას საქართველოს და ქართველი ხალხის წინაშე, საერთაშორისო-ევროპულ-გლობალური საზოგადოების მშენებლობის სახელით. თანაც უცხო ქვეყნის სპეც-სამსახურების მარწუხებში თავგაყოფილს ვერ გაუგია საქართველოს მთავრობას წარმოადგენს თუ ევროპულ-ამერიკულ-თურქულ-ირანულ-არაბულ-ჩინური წარმონაქმნის გამგეს საქართველოს ტერიტორიაზე და გამუდმებით ცდილობს დემოგრაფიული სურათის შეცვლას ზემოთ ჩამოთვლილი მუსლიმური ტომებისთვის ქართული პასპორტების გაცემით. თავად ქართველს კი აიძულებს წავიდეს საქართველოდან. აქ ისმის კითხვა – თვითმარქვია მთავრობის წარმომადგენლებო, თუკი თელავში მთელი სოფელი აუშენე არაბებს, თუკი მარტყოფში და მანგლისში ჩაასახლე ირანელები და თათრები, თბილისის გამუსლიმებისთვის მუშაობ, ქართველს რატომ დევნი და ცხოვრების საშუალებას არ აძლევ საქართველოში? თვალში რატომ გეპატარავება საქართველო და ქართველი? აკი თავი მოგაქვს გლობალურ-ჰუმანურ მთავრობად? აქვე აუცილებლად აღსანიშნავი საკითხია უცხოური ინვესტიციები, რომელთა დაფინანსების არეალი კერძო სტრუქტურებია და გაიძვერული პოლიტიკით, საერთაშორისო საზოგადოების მშენებლობის სახელით შლიან და განადგურების პირას მიჰყავთ ქართული პოლიტიკური სივრცე თავიანთ მოგებაზე გათვლით, რაც თავისთავად აისახება საქართველოს სახელმწიფოს ბიუჯეტზე დღეს, მხოლოდ პენსიების გაცემით და სოციალურად დაუცველთა სასადილოებში წყალ-წყალა **“სუპების”** გაცემით შემოფარგლება. სხვა საშური საკითხები კი, განათლება, კულტურა, სოფლის მეურნეობა და ა. შ. კერძო საფინანსო სტრუქტურების უზურპაციის საგანი გამხდარა, რომელსაც ასევე უცხო კლანური ხელი (ლონდონის ბირჟა) აკონტროლებს კოლონიალური მეთოდით, რაც საბოლოოდ ამ სისტემაზე ზეწოლით გამოიხატება (სუპერგლობალური ტრენინგები, ანგარიშიანობა, რომელიც პლაგიატობაში გადადის, ამორალური ყოფის დამკვიდრება. (ლგბტს თემები) ფუფუნეობრივი გარყვნილება, სარწმუნეობრივი ისტერიულობა და ა. შ.

ე. ი. გამოდის რომ საქართველო კლანურმა ჯგუფებმა კომუნისტური ურწმუნოებიდან ევროპულ-ამერიკულ ურწმუნეობაზე შეაგდეს, რომელთა დანაშაულებრივი ქმედებით ვღებულობთ საქართველოს ქართველის გარეშე, რაც თავისთავად უდიდეს დანაშაულს წარმოადგენს და საჭიროებს ქმედით ღონისძიებებს ქართველი ერის მხრიდან. ანუ, ევროპაში და ამერიკაში საარსებოს ძიების მაგივრად საქართველოშივე მოძიებად თავის დამკვიდრებისა არის აუცილებელი პირობა ქართველთათვის, რაც უდავოდ არ ეხება **“ბრიყვთა ქართველთა”**, რომელიც როგორც ყველა სხვა ერში, ქართველებშიც თავისთავად ყოველთვის არის და იქნება. და გონიერი ქართველის პირდაპირ ვალდებულებას წარმოადგენს დღეს იყოს თავის ქვეყანაში და დაიცვას საკუთარი სამშობლო ანუ თვითდამკვიდრებას მიჰყოს ხელი საკუთარ ქვეყანაში. მიუხედავად მსოფლიო აგრესიული ძალების შემოტევისა. და ამ მოვალეობის განცდის აუცილებლობა ეხება ერსაც და ბერსაც. ორივე ერთნაირად შევიწროვებულია დროის ავზნიანი ვითარების გამო.

ამ ყოველივესთან ერთად, აუცილებელია საქართველოს უახლოეს მეზობლებთან (ოსეთი, სომხეთი) ურთიერთობის თვითგამორკვევის საკითხი, რაკი საქართველოს მოქალაქე ოსები და სომხები ორმაგ თამაშს არიან აყოლილნი ევროპულ საქართველოსთან ევროპელები არიან და რუსეთის საქართველოსთან რუსების მომხრეები საქართველოს გვერდის ავლით, მათთან საუბარი აუცილებელია როგორც არა ეთნიკურ ქართველთან, არამედ ეროვნებით ოსთან და სომეხთან საქართველოს ტერიტორიაზე, რაც ჩვენს დიდ მეზობელთან რუსეთთან ურთიერთობის ღირსეულად დარეგულირების წინაპირობაა ყოველგვარი ომისა და ეკონომიკური და ბუნებრივი რესურსების კულუარებში გადანაწილების გვერდის ავლით.

ᲛᲐᲘᲐ-ᲓᲐᲠᲔᲯᲐᲜ ᲯᲘᲫᲘᲐ,
მწერალი, პოეტი, რეჟისორი, საზ. მოღვაწე

OPENIUS, დიდება შენდა!

„მახვილი იშიშვლეს ბოროტებმა და მოზიდეს საკუთარი მშვილდი...“

ფსალმუნი 36,14

პროვინციულ ქალაქ ბეყუნდაში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება ცამოწმენდილზე მეხის გავარდნას ჰგავდა. ძლიერნი ამაქვეყნისანი და უთვალავი არასამთავრობო ორგანიზაციების ლიდერები ტელევიზორის ეკრანიდან გაუთავებლად და შეშფოთებით ლაპარაკობდნენ ბეყუნდელ ჯაშუშ-ტერორისტებზე, საიქიოდან გამოძახებული მატერიალიზირებული სულების მიერ დაგეგმილ ტერაქტებზე და შავ მაგიაზე.

მათი აზრით, სასიკვდილო საფრთხე ემუქრებოდა არა მხოლოდ პლატონის სახელმწიფოს და თომას მორის სოციალიზმს, არამედ თვით თანამედროვე ცივილიზაციას, ანუ დემოკრატიას, რომლის აღმშენებლობა უჩვენოდ ვინ თქვა?

საუბედუროდ, ამგვარი ამბიციების მქონე ხალხს თავი საქვეყნოდ მოგვეჭრა! დემოკრატიის დაუძინებელი მტრები ჩემი მშობლიური ქალაქის შვილები ყოფილან. ვაგლახ, ამ დღესაც მოვესწარ!

როცა დაპატიმრებულთა გვარები გამოაცხადეს, ვიფიქრე, რაღაც ეშლებათ, ამის ჩამდენი ეს ხალხი არ იქნება-მეთქი! მსტოვართა ხელმძღვანელი ხომ ჩვენი ქალაქის საპატიო მოქალაქეა, დანარჩენები კი ქალაქის ჩიტირეკია შერეკილები!

საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებიდან მეორე დღეს გამგეობაში გამომიძახეს. გამაცნეს დედაქალაქიდან ოფიციალურად მოვლინებული ახალგაზრდა კაცი, ტერორისტთა პირველადმომჩენის ბატონ რამაზ რახუნაიძის ნდობით აღჭურვილი პირი. მან საიქიოში გასაგზავნი წერილის ქსეროასლი გადმომცა და გვიამბო თუ როგორ ფილიგრანულად შესძლო ბატონმა რამაზმა ორგანიზებულ დამნაშავეთა ფრიად გასაიდუმლოებული თბილი ბუნაგის მიგნება და მძვინვარე მებუნაგეთა ცივ გალიებში გამოკეტვა!

რაიონის ხელმძღვანელობამ დამავალა ნდობით აღჭურვილი პირის ნაამბობი და საიქიოში გასაგზავნი წერილი ქალაქის გაზეთ **„ბეყუნდელთა ოცნების“** ფურცლებზე გამომექვეყნებინა, რათა ჭორაობას და ოპოზიციის მიეთ-მოეთს ბოლო მოღებოდა. მომთხოვეს ნაამბობი და წერილი უცვლელად დამებეჭდა. როგორც გაზეთის მთავარმა, ერთადერთმა და შეუცვლელმა რედაქტორმა მოთხოვნა შევასრულე. ამას პროფესიული ეთიკაც მავალდებულებს. არც არაფერი დამიკლია და არც არაფერი დამიმატებია.

იმედი მაქვს მკითხველი ობიექტურად შეაფასებს ბეყუნდის ტრაგიკულ მოვლენებს. დაე, თვითონ გადაწყვიტოს: ღირს უდემოკრატიო ამქვეყნიური ცხოვრება, თუ ჰამლეტისა არ იყოს, დანის ერთი დაკვრით იმქვეყნიური ცხოვრება ამჯობინოს?

თავს უფლებას ვაძლევ მკითხველს შევახსენო: დემოკრატიამ განვითარების სხვადახვა ფაზა გაიარა. მაგალითად, კომუნისტების ეპოქაში მას ერქვა ნიორიუს დემოკრატია. ევოლუციის კანონმა დემოკრატია უმაღლეს და უკანასკნელ ფაზამდე მიიყვანა. მას ჰქვია ოპენიუს დემოკრატია, ანუ ყოველთვის ყველაფრისადმი ღიაობა და ყოველივეს ნებადართულობა!

ცხადია, კარჩაკეტილობას ღიაობა სჯობს, ხოლო ყველაფრის ნებადართულობა ხომ პიროვნების აბსოლუტური თავისუფლებაა, საითკენაც თანამედროვე კაცობრიობა გამალებით მიექანება.

ჰაი, გიდი! როგორ გვაბოლებს ერთი ცნობილი ევროპელი ეგზისტენციალისტი ფილოსოფოსი, რომელიც ცდილობს დაგვაჯეროს: ადამიანი დაწყევლილია თავისუფლებითო!

ევროპის სირცხვილი!

1.

გავეცნოთ ბეყეილა ბეყუნდარელის საიქიოში გასაგზავნ წერილს. სტილი დაცულია.

„ძმაო სოსიკო!

ეკენია, ბეკენია,
ბეკიში ხატი კვეწლია,
უჭუ-უხაშუშ მაჭკომალის
ღორონთ, დუკილე კიბირი ამსერია!

ეხლა როცა მტერს კბილი შეკრული აქვს, შემიძლია უშიშრად შეგატყობინო ის, რაც სააქაოში ხდება. სანდო წყაროებიდან შევიტყვე, რომ ახალგაზრდა რუსი მეცნიერი, კომპიუტერის საშუალებით, გარდაცვლილ სიმამრს დაკავშირებია. უსაუბრიათ და შენ წარმოიდგინე, კიდეც უჩხუბიათ სარდაფში სიმამრის მიერ გადამალული არყის გამო, რომელიც სიძის ძმაკაცებს უნახავთ და უნებართვოთ დაულევიათ. ამ ამბავს ცხრა მოწმე ადასტურებს. მეცნიერი ელექტრონული კავშირგაბმულობის უახლეს ტექნოლოგიას გარკვეულ მიზეზთა გამო საიდუმლოდ ინახავს.

ამ დღეებში მოსკოვში უნდა წავიდე. დარწმუნებული ვარ, საერთო მიზნებისა და ამოცანების გამო ამ დიადი გამოგონების საიდუმლოს მე გამანდობს. მე კი მას უძველეს კოლხურ მაგიას შევასწავლი. ძმაო სოსიკო, მაგიისა და კომპიუტერის საშუალებით არა მარტო შენთან, არამედ საიქიოს უშორეს ჯურღმულებში მყოფ ნაცნობ-მეგობრებთან, თანამოაზრეებთან, თანამებრძოლებთან, დაინტერესებულ პირებთან შევძლებ საუბარს, აზრთა გაზიარებას, პოლიტიკურ ნაცვალსიტყვაობას, ანუ დებატებს... შევარჩევ სანდო ხალხს და ჩემს მიერ ახლახან აგებული სულთა მატერიალიზაციის მანქანის საშუალებით მათ სააქაოში დავაბრუნებ დაუმთავრებელ საქმეთა დასამთავრებლად...

მინდა იცოდე, რომ დახურეს სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები... ცნობილი მეცნიერები ჩარეცხილებად გამოაცხადეს და სამსახურიდან დაითხოვეს... ჩვენი უნივერსიტეტი თხა და გიგოს სკოლად გადააკეთეს...

ამ კვირაში დათარსული დავდივარ. ხომ გახსოვს, სამი ათეული წლის წინ, ჩვენ ქალაქში ახალი რაიკომის მდივანი რომ დანიშნეს? არავის მოსწონდა მისი საქმენი უკეთურნი და სიტყვა-პასუხი. ყველა მისი თავიდან მოშორებაზე ოცნებობდა, მაგრამ ვერაფერს გახდნენ,. ბოლოს ვთქვი, მე გიხსნით ბოროტისგან-მეთქი! ყველამ გაიცინა. ერთმა ისიც კი მითხრა, ბეყეილა აბდალო, შენ თავს მიხედეო! მე გეგმა უკვე მოფიქრებული მქონდა, არავის ვუმხელდი. ახლოვდებოდა პირველი მაისის დღესასწაული. სწორედ ეს დღე შევარჩიე და ხალხმრავალ მოედანზე, ტრიბუნის წინ, ყველას თვალწინ რაიკომის პირველ მდივანს გავულაწუნე. ისე მაგრა შემოვკარი, შლიაპა თავიდან მოძვრა, ტყლაშანის ხმა კი შორს გაისმა... ჩამოვარდა სამარისებური სიჩუმე (ამ სიტყვის აქაური გაგებით, თორემ კარგად ვიცი, რომ საიქიოშიც ბევრია ხმაური და კბილთა ღრჭენანი)... მტაცეს ხელი და სადაც ჯერ არს, ანუ საგიჟეთში გამაქანეს. იქ, გუჯა ექიმმა ჩემი დამჭერების თვალწინ ანკეტაში რაღაც ჩაწერა, აბები ჩამაყლაპა და ათი-თხუთმეტი წუთის შემდეგ გამიშვა. გავედი მოედანზე. პარადი ჩვეულებრივად ჩატარდა, მხოლოდ ეგ იყო, ტრიბუნაზე მდგარი რაიკომის მდივანი ნირწამხდარი გამოიყურებოდა. ერთი თვის შემდეგ სხვა რაიონში გადაიყვანეს. ვიცოდი, ნაცემი რაიკომის მდივნის იმიჯი (ეს სიტყვა მოდაშია და დაიხსომე) შეილახებოდა და ბეყუნდაში არ გააჩერებდნენ. ეხლა შენ მითხარი, ვინ არის გიჟი, მე თუ ის, ვინც აბდალს მეძახდა?

ჩემო სოსიკო, ხომ გახსოვს სომეხი მექუდე ძია კარაპეტა და მისი შვილი ლოთბაზარა ჭატაკა? ჰოდა, მანდ თუ სადმე გადაეყარო, უთხარი ჭატაკას, რომ მისი ცინგლიანი ბიჭი ბეყუნდის გამგებლად დანიშნეს! შემოიკრიბა თავისნაირი ჭკუისკოლოფები... ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა ქალამნად! ვიფიქრე, კომუნისტების დროს, კაგებეს ზეობის ხანაში, რაიკომის მდივანი მოვაშორე ხალხს და ამ გაგანია დემოკრატიის პირობებში ლაწირაკ ჭატაკოვიჩის თავიდან მოშორებას რა დიდი გმირობა უნდა-მეთქი! დაველოდე ხელსაყრელ მომენტს. ხომ გახსოვს ტრიკოტაჟის ფაბრიკა, ბეყუნდელი ქალები რომ მუშაობდნენ. ეს ფაბრიკა დაანგრიეს და ეხლა მის ადგილზე დიდი კარუსელი წამოჭიმეს. ამ კარუსელის საზეიმო გახსნაზე მობრძანდა თავისი ამალით. დრო ვიხელთე, მივუახლოვდი და გავარტყი! გარტყმა ეგრე არ უნდაო, მტაცა ხელი, მიწაზე დამახეთქა და წიხლებით შემდგა. ძვალი და რბილი გამიერთიანა... პირადი დაცვის ბიჭებს შევეცოდე და ცოცხალმკვდარი ხელიდან ძლივს გამომგლიჯეს... მიკრეს თავი... სად თუ იცი? პოლიციაში! ეეჰ, გახსენებაც არ მინდა... ან რა უნდა გავიხსენო ცემა-ტყეპისა და გინების მეტი? მუტრუკი ჭატაკოვიჩი მოხსნეს კი არა, ვაუკაცობა შეუქეს და ქართლის გუბერნატორობასაც შეპირდნენ. დაგრიალებს აღმადაღმა, რა ენაღვლება... დასაქმების მომლოდინე ნეტარი ბეყუნდელები იმედით შეჰყურებენ... ბეყუნდა ოპტიმიზმით ცხოვრობს, დედაქალაქსაც კი არ ჩამორჩება... ომის წაგება გამარჯვებად ელანდება და ტაშ-ფანდურით აღნიშნავს...

პოლიციაში ცემამ ჭკუა მასწავლა. მივხვდი, რომ ის ხერხი, რომელმაც რაიკომის მდივანი მოგვაშორა დღეისათვის უვარგისია. საჭიროა მეტი ეშმაკობა, შენიღბული მოქმედება და კაცობრიობასავით ძველი მაგია...

სოსიკო, არ გეგონოს, რომ მუდამ მაღვალაკობის გუნებაზე ვარ. ხშირად ისეთი სევდა, ისეთი ვარამი შემიპყრობს, გული ისე მიკვნესის, რომ ბეყუნდიდან მტკვრამდე ხშირად მივსულვარ, მაგრამ მომაგონდება ჩემი ისტორიული მისია და წყალში გადავარდნას გადავიფიქრებ. უკან ვბრუნდები... დავეხეტები ბეყუნდის ჩაბნელებულ ქუჩებში და გათენებისას საგიჟეთის კარს მივადგები... ბეყუნდა, სადაც დავიბადე და გავიზარდე, სადაც ვბერდები, ჩემთვის გაუცხოვდა... გეხსომება გალაკტიონის ლექსის სტრიქონები:

“გაფრინდა ბავშვობის დღეები,
მინდვრები, ჭალები, ტყეები,
უეცრად მოვიდა შავებით
სხვა ბავშვი შორეულ დაბიდან,
მწუხარე ფერხულში ჩავებით
და თვალი ცრემლებმა დაბინდა...“

დღეს სხვა ფერხულია და სხვა ჰანგები ისმის... არამშობლიური, უცხო... გადაგვარების, გადაჯიშების როკვა და სიმღერა... სატანისტები... გუშინ შავმა ნაღველმა დამრია ხელი. გუჯა ექიმის წამალმაც ვერ მიშველა და მწარედ ჩაფიქრებული ღადავ-პარკის სკამზე ჩამოვჯექი... ვერ გეტყვი რაზე ვფიქრობდი, მაგრამ ვიცი, რომ რაღაცაზე ვფიქრობდი, რაღაც მაწუხებდა, სულს რაღაც მიშფოთებდა... გამწარებული ვცდილობდი გამეგო მიზეზი, მაგრამ ამაოდ. სასოწარკვეთილმა თავში ხელი წავიშინე და ღადავ-პარკიდან ქუჩაში გავედი. კიდევ კარგი პარკში არავინ იყო, თორემ ხომ იტყოდნენ, ეს დროული კაცი რამ გადარიაო. ვდგავარ მარტოსული, მიუსაფარი... სადა ხარ, ჩემო სოსიკო, სადა ხარ ძმაო?... რატომ მიატოვე შენი უბედური ძმა? ვტირი... ვტირი... მლაშე ცრემლი პირში ჩამდის... ყელში ბურთივით რაღაც მაწვება... ვიცი, ტირილით გულს ვიჯერებ და მომეშვება... ესდაა ჩემი უებარი წამალი... ქუჩის ბოლოს, მეორე მხარეს ვიღაც გამოჩნდა. ცრემლს ვიწმენდ, არ მინდა მტირალი მნახონ... ეს ხომ პელო მასწავლებელია... ბებერი, დაჩაჩანაკებული... ძლივს მიფრატუნობს... ხეს ვეფარები. ყოველთვის, როცა კი შემხვდება ჩემ ბავშვობას იგონებს, ვეცოდები... არ მინდა გული ვატკინო... პელაგია მასწავლებელი, ომის დროს დაბადებულ მშიერ-მწყურვალე ბავშვების მფარველი ანგელოზი... თვითონ გაუთხოვარი და უშვილო, ყველა მათგანის დედა... მიფრატუნობს და შინ ცელოფანის პარკით ბაზარში ნაწყალობები რამდენიმე კარტოფილი მიაქვს, გულით კი ულევი სიკეთე და სევდა... ბეყუნდაში უფასო სასადილოები ჯერ არ გაუხსნიათ და ვიცი, მარტოხელა პელო მასწავლებელს ვახშმად ორიოდე მოხარშული კარტოფილი ექნება... თქვენთან, საიქიოში თუ არის საზკვების უფასო სასადილოები? აუცილებლად შემატყობინე. ამასწინათ ღადავ-პარკში პაექრობისას პროფესორი ბენეციუსი დაინტერესდა საიქიოში უმუშევართა და უპატრონოთა კვების საკითხით. თუ მანდ უფასო სასადილოები გახსნილი არ არის, მათი გახსნა აუცილებლად დააჩქარონ, თორემ ვიცი, პრობლემები შეგექმნებათ! საიქიოში მოსულებს მუდმივი მაცხოვრებლის სტატუსი ენიჭებათ, რაც იმას ნიშნავს, რომ სამეძაოდ, საქურდლად და სამოჯამაგიროდ სხვა ქვეყნებში ვეღარ წავლენ, შემოსავლის წყარო ესპობათ. საიქიოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ გაითვალისწინოს ის, რომ ხალხი შეიძლება შიმშილით ამოგიწყდეთ, რაც ძალზე უარყოფითად იმოქმედებს საიქიოს იმიჯზე და მის რეიტინგს დაბლა დასწევს! საქმეს დროზე მიხედონ, ნუ გააჯანჯლებენ! სააქაოს გაუბედურებულ მდგმურებს უკანასკნელ იმედს ნუ ჩაუკლავთ, საიქიოზეც ხელს ნუ ჩააქნევინებთ!

დანარჩენს ერთი კვირის შემდეგ მოგწერ.

შენი ძმა, მისტიკოსი ბეყეილა

P.S. შემუშავებულია საიქიოს სინგაპურიზაციის საიდუმლო გეგმა. ჩვენთან აპრობირებული მეთოდით საიქიოშიც დაიწყება ბანკების, საროსკიპოებისა და სამორინეების მშენებლობა. მიიღეთ ზომები. გადამალეთ ლამაზი, ახალგაზრდა ქალები.

ბ.“

2.

რამაზ რახუნაიძის ნდობით აღჭურვილი პირი კარგი მოსაუბრე კაცი აღმოჩნდა. ლოგიკური თანმიმდევრობით, დალაგებით მიამბო ყოველივე. არ დამჭირდა ბუნდოვნად ნათქვამის გასარკვევად დამატებითი კითხვების დასმა და ნაამბობის სტილისტური გასწორება. აი, რა მომიყვა:

როცა მკითხველი ბეყეილას წერილს წაიკითხავს, აუცილებლად იფიქრებს, ამ ხალხს საქმე გამოლევიათ, რა გახდა შერეკილის საიქიოში გასაგზავნი წერილი, რა განგაში ატეხესო.

გულახდილად გეტყვით, თავდაპირველად მეც ასე ვფიქრობდი, მაგრამ ვცდებოდი. შეუმცდარი ადამიანი არ არსებობს, მაგრამ თუ ჩვენ მოვიმარჯვებთ დედუქციური დასკვნების მეთოდს, ჭეშმარიტებას ადვილად დავადგენთ!

იმ დღეს ბეყუნდის რესტორანში ვისხედით და ფანჯრიდან მოწყენილნი გავცქეროდით უღიმღამო ნაცრისფერ შენობებს, ტროტუარის გასწვრივ ჩამწკრივებულ ბებერ ჭადრებს. უკაცრიელ ქუჩაში შავ კოსტუმში გამოწყობილი კაფანდარა კაცი გამოჩნდა. ქუჩა დიდი ზომის პიჯაკის კალთების ფართხუნით გადაჭრა, კედელზე დაკიდულ საფოსტო ყუთთან მივიდა და შიგ მოზრდილი კონვერტი ჩააგდო. ჰალსტუხი გაისწორა, ხელები დაბლა დაუშვა და სმენაზე დადგა. წუთის შემდეგ ყუთს თავი დაუკრა, ქუსლებზე შეტრიალდა და ისე წავიდა, როგორც ცოცხალმა პრეზიდენტმა იციან გარდაცვლილი პრეზიდენტის ხსოვნის პატივისცემა მისი მემორიალის წინ.

ბატონი რამაზი, მისი მეგობარი, ყოფილი თანაკლასელი გუჯა ქაჯაია და მე, ნაბახუსევზე ცივ ლუდსა ვსვავდით. პაპანაქებაში შავ კოსტუმში გამოწყობილი კაცის გამოჩენამ და მისმა უცნაურმა, რიტუალურმა ქცევამ, ჩემი შეფი, ცნობილი პოლიტოლოგი, ტრადიციათაგან ხსნის ინსტიტუტის დირექტორი, ბატონი რამაზ რახუნაიძე სალაპარაკოდ განაწყო.

– ვინ არის? – ჰკითხა გუჯას, ჩვენს მასპინძელს, ბეყუნდის ფსიქიატრიული საავადმყოფოს მთავარ ექიმს.

– ჩვენი საავადმყოფოს პაციენტია.

– ყუთში რა ჩააგდო?

– ძმას საიქიოში წერილს უგზავნის. კვირაში ერთ წერილს.

– საიქიოში? – გაუკვირდა და მაშინვე ხუმრობით დაუმატა, – რატომ მიცვალებულს არ გაატანს?

– ბეყუნდა პატარა ქალაქი. თვეში ერთხელ თუ ვინმეს დაკრძალავენ. მან კი კვირაში ერთი წერილი აუცილებლად უნდა გაგზავნოს. – სერიოზულად აუხსნა ბატონმა გუჯამ, – ლუდი მოსვა და ხვნეშით განაგრძო, – ხვალ, დილის ათ საათზე საფოსტო ყუთს დასცლიან და საიქიოში გასაგზავნ წერილს მე გადმომცემენ. ვკითხულობ ამ წერილს და საჭირო ანამნეზს ვაგროვებთ. ჩემი ასისტენტი საკანდიდატო დისერტაციას იცავს.

თენგიზ კუბლაშვილი,

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა არის მეცნიერება...

(გაგრძელება წინა ნომრიდან)

მოვიყვან ერთ მაგალითს:

ქართული სიტყვები ს-წავლ-ა და წვალებ-ა ერთი ფუძისანი არიან. ანალოგიური სიტუაციაა რუსულშიც. სიტყვები учение და мучение ასევე ერთი ფუძისანი არიან, მაგრამ ნიშანდობლივია ის, რომ სწავლა უკავშირდება მეგრულ სიტყვას წავლას, წაულას, რაც ნიშნავს მოშლას, გაფუჭებას. ხომ არ არის ეს დაკავშირებული საერთოდ საქმის გაფუჭებასთან, რადგანაც ადრე იყვნენ ნათელმხილველები, რომლებიც პირდაპირ ჭვრეტდნენ ღმერთს, ხოლო შემდეგ შემოვიდა ფილოსოფია და სხვა დარგები, რომლებიც დაუკავშირდნენ გონებას (ინტელექტი), რამაც გამოიწვია წავლა (გაფუჭება). მეგრულად სწავლა არის გურაფა (გური-გული), რაც გულთანაა დაკავშირებული. ე.ი. სწავლობდნენ (გურა ფულენდეს) გულით და არა გონებით და ეს არანაირ წვალებასთან არ იყო დაკავშირებული.

თუნდაც ეს ერთი მაგალითი ადასტურებს თუ რაოდენი ძალა აქვს სიტყვას. რომ ყველა სიტყვა შეიძლება წარმოადგენდეს თავისებურ ენიგმას. რომ შეიძლება რომელიმე სიტყვა ერთ ენაზე არაფერს გვეუბნებოდეს და უბრალოდ აღნიშნავდეს რაიმე საგანს ან მოვლენას, ხოლო სხვა ენით კი იშიფრებოდეს მისი ჭეშმარიტი არსი და თავდაპირველი მნიშვნელობა. სწორედ ამის ძიება უნდა წარმოადგენდეს ლინგვისტიკის ძირითად ამოცანას და ეს ასეც არის, მაგრამ ამისათვის საჭიროა როგორც მწერლობის მქონე, ისე უმწერლობო ენების ღრმა ცოდნა და მათი სათანადოდ შეფასება.

ეს ერთი მხრივ.

მეორე მხრივ სიტყვა Учение (სწავლა) და Учёный (სწავლული) ჩვენ ჩვენს წიგნში ეტიმოლოგიურად დავუკავშირეთ შემდეგს (ნ. კვაშილავა, **„სიტყვები უძლებენ ათასწლეულებს“**, თბილისი, 2015, გვ. 23-24): Учёный – სწავლული, მეცნიერი. ჩვენი აზრით მეცნიერი არის და უფრო ადრეულ ხანაში იყო ის პიროვნება, რომელიც უჩანდუ (უჩანს) გურს, ანუ ხვდებოდა ბუნების სხვადასხვა საიდუმლოებებს გულით (გულზე დაკითხვით). მაგალითად, როცა კაცს ეუბნებიან რადაც გავაკეთოო, ქართულად პასუხი იქნება: **„მოვიფიქრებ“**, **რუსულად „подумаю“, ხოლო მეგრულად „გუჩანქ გურს“, ანუ „გულს დავეკითხები“. ეს ნიშნავს, რომ მეგრელთათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება გულს და არა თავს. ასე რომ სიტყვა „Учёный“ ის პროტოსლავიანური სიტყვაა, ანუ ის მოსკოვიტიანური, მოსკური, მესხური სიტყვაა, რომელიც როგორც ერთ-ერთი რუდიმენტი შემორჩა დღევანდელ რუსულში.“**

ეს კიდევ ერთი მაგალითია იმისა, თუ რაოდენი დაკვირვება მართებს ლინგვისტს ნებისმიერი ენის ნებისმიერი სიტყვის ეტიმოლოგიის დადგენისას.

აქვე ვიტყვით, რომ ბერძნულად სიტყვები: საიდუმლო, ფარული გამოითქმის როგორც criptos (ვწერთ ლათინურად, რადგანაც უფრო ადვილად აიკრიფოს).

ამ სიტყვის ფუძეა **“cript”**, რომელშიც თავისუფლად შეეძლო გადასვლა სიტყვას **„გურაფათ“** (სწავლებით, გულზე დაკითხვით) და თუ გავიხსენებთ კოლხეთის (ფაზისის) საიდუმლო სკოლას, რომელიც იყო ძველი დროის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სასწავლებელი, მაშინ სავსებით დასაშვებია, რომ ის აქედან გავრცელდა მთელს მსოფლიოში და კერძოდ ბერძნულში მიიღო საიდუმლოს და ფარულის მნიშვნელობა.

მოვიყვანოთ კიდევ ერთი ამონარიდი ჩვენი წიგნიდან (გვ. 19): **„მენცარი ქართულად ნიშნავს მეცნიერს. მე-ნ-ცა-რი ქართულად იქნება მე-ცა-ელი, ანუ პიროვნება რომელიც აკვირდება ცას, ვარსკვლავებს, იკვლევს მათ კანონზომიერებებს, თავისებურებებს, ერთი სიტყვით ასტრონომი, ასტროლოგი.**

აი რას წერს მწერალი ვლადიმერ ალფენიძე (გაზეთი „ერი და საზოგადოება“, თებერვალი, 1977, გვ. 7): „ბერძნული და ლათინური მითების თანახმად, ასტრონომია და ასტროლოგია ასწავლა ეგვიპტელებს ღმერთ ჰელიოსის ძემ, აიეტის ძმამ აქციუსმა. იმ აქციუსმა, რომელმაც ეგვიპტეში დააარსა მამამისის – მზის ღმერთის ჰელიოსის სახელობის ქალაქი – ჰელიოპოლისი.“

აქედან გამომდინარე საფიქრებელია, რომ კოლხეთში ძლიერ უნდა განვითარებულიყო ეს დარგები (მიწერია მეცნიერებები, რასაც პრინციპულად არ ვეთანხმები – ნ.კ.) და ეს განვითარება უნდა ასახულიყო კოლხურ მეტყველებაში, რომლის დამადასტურებელია მოყვანილი სიტყვა **„მენცარი“**.

როგორც ვხედავთ თვით სიტყვა **„მენცარს“** (საიდანაც მომდინარეობს ქართული მეცნიერი) არ გააჩნია ისეთი პრეტენზიულობა, როგორც ქართულ **„მეცნიერს“** (ის უბრალოდ ცის დამკვირვებელს ნიშნავს). რუსული სიტყვაც **„Учёный“**, რომლის ეტიმოლოგია ზემოთ განვიხილეთ, ნიშნავს სწავლულს და არა მეცნიერს, რაც სრულიად განსხვავებული ცნებებია. ამის გამო ჩვენი აზრით ამ სიტყვის (მეცნიერი) მიმართ გვმართებს სერიოზული მოფრთხილება.

ახლა კი მივუბრუნდეთ ისევ არსებითს.

კიდევ იმიტომაა ლინგვისტიკა პატივცემის ღირსი, რომ ის არაფერს არ **„ქმნის“**, არაფერს არ **„აშენებს“**, მსგავსად საბუნებისმეტყველო **„მეცნიერებებისა“**, არამედ მხოლოდ ცდილობს შეისწავლოს ის განვლილი გზა, რა გზაც გაიარა ენამ, უძველესი დროიდან დღემდე. სხვა საკითხია თუ როგორ სწავლობს ის ამას. თუ ის ცდილობს გამოიკვლიოს წინარე ენების სტრუქტურა რაღაც **„მათემატიკური ლოგიკის“** საფუძველზე ან უბრალოდ **„ლოგიკის“** საფუძველზე, მაშინ ის ვერასოდეს ვერ მიაღწევს ამას, რადგანაც არავითარი **„ლოგიკა“** ენის **„განვითარებაში“** არ არსებობს. მეორე მხრივ თუ ენათმეცნიერები აქცენტს გააკეთებენ ენებზე, რომელთაც დიდი ხნის (საუკუნეების) მწერლობა გააჩნიათ და ნაკლებ ყურადღებას მიაპყრობენ უმწერლობო ენებს, ამ გზითაც წარმატების მიღწევა ნაკლებად საიმედოა, რადგანაც ზოგიერთ დღევანდელ უმწერლობო ენებს, საფიქრებელია ჰქონდათ დამწერლობა გაცილებით ადრე, ვიდრე ზოგიერთ დღევანდელ სალიტერატურო ენებს (ხშირ შემთხვევაში, თუ ყოველთვის არა, ენის **„განვითარება“** ენის დამახინჯებაა და სხვა არაფერი).

მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ, რომ ქართულ ენას წინ უსწრებდა იბერიული ენა და სანამ დაფუძნდებოდა **„მოქცევა ქართლისა“, „ქართლის ცხოვრება“, „მატიანე ქართლისა“, „ქართული დამწერლობა“,** მანამ ადგილი ჰქონდა **„იბერთა მოქცევას“, „იბერთა ცხოვრებას“, „იბერთა ლიტერატურას“** და სხვა. დაახლოებით მეხუთე საუკუნის დასაწყისში საფუძველი ჩაეყარა ქრისტიანულ ლიტერატურას. ეს ლიტერატურა აღმოცენდა გაბატონებულ იბერთა ენაზე, ხოლო როდესაც სახელმწიფოს სათავეში იბერების მაგიერ ქართები ანუ ქართლელები მოექცნენ, მათ იბერთა ლიტერატურა თანდათან გადმოაქართულეს და ქართლის კილო გახდა ქართველი ერის სალიტერატურო ენად.

აქედან გამომდინარე ყველა ენას უნდა მიექცეს განსაკუთრებული მნიშვნელობა უმწერლობო ენაა ის თუ გააჩნია დამწერლობა. მითუმეტეს, რომ ხშირ შემთხვევაში უმწერლობო ენები გაცილებით მეტი სიმდიდრის მქონეები არიან, ვიდრე სალიტერატურო ენები, როგორც ლექსიკის მხრივ, ასევე გრამატიკული ფორმებითაც.

უძველესი დროიდან ენათმეცნიერებს აწუხებდათ შემდეგი კითვა: როგორ გავიგოთ კავშირი სახელსა და საგანს შორის? როგორია ამ კავშირის ბუნება? საგნის ან მოვლენის სახელი საგნის ან მოვლენის ბუნებით არის განპირობებული, თუ შემთხვევითია, პირობითია.

ერთი თეორიის მიხედვით, საგნის ან მოვლენის სახელი ამ საგნის ან მოვლენის ბუნებით არის განპირობებული, ამ თეორიას ბუნებით (Phusei) თეორიას უწოდებენ.

მეორე თეორიის მიხედვით კი საგნების ან მოვლენების სახელები პირობითია. ეს თეორია დადგენის (Thesei) სახელითაა ცნობილი.

ჩვენ პირველ, ფუსეის თეორიას ვემხრობით. კიდევ მეტი, ჩვენი აზრით საგნის ან მოვლენის სახელი არა მარტო ამ საგნის ან მოვლენის ბუნებით არის განპირობებული, არამედ ის იძლევა გარკვეულ ცოდნას ამ საგნის ან ამ მოვლენის შესახებ. მან შეიძლება მოგვცეს (შეიძლება-თქო იმიტომ ვამბობ, რომ ჩვენ ჯერჯერობით ვერ გაგვიგია ან უფრო ხშირად ძველი სიტყვების დამახინჯებისა თუ დაკარგვის გამო ვერ ჩაგვიხედავს ამ სიტყვების შინაარსში) ისეთი ღრმა ანალიზი ამ სიტყვისა (საგანია თუ მოვლენა), რომ ვერცერთი საბუნებისმეტყველო **„მეცნიერებების“** გამოყენებამ ისეთი შედეგი ვერ გამოიღოს, ვიდრე თვით ამ სიტყვის უბრალო და სადა შინაარსია.

მაგალითისთვის მოვიყვანოთ ქართულად მიჩნეული სიტყვა **„ანჯამა“**, რომელიც ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში (qegl) ახსნილია, როგორც კარისა და ფანჯრის ჩამოსადები მოწყობილობა რკინისა. მეგრულად **„განჯამალი“** გასაღებს ნიშნავს და მართლაც ანჯამის მთავარი ფუნქცია სწორედ ფანჯრის ან კარის გაღებაში მდგომარეობს.

ახლა ორიოდე სიტყვით გრამატიკის შესახებ.

გრამატიკა არის ლინგვისტიკის ნაწილი, რომელიც შეისწავლის სიტყვისა და წინადადების წყობას. მოვიტანოთ ნაწყვეტი კ.ი. ეკერსლის წიგნიდან: **„არსებითი ინგლისური უცხოელი სტუდენტებისათვის, წიგნი 3, გვ. 106-109.“**

მიმდინარეობს დიალოგი ინგლისურის მასწავლებელ ბატონ პრისთლისა და უცხოელ სტუდენტებს შორის:

„ჯენი – ვინ ქმნის გრამატიკის „წესებს“? ვის გამოაქვს განაჩენი წინადადება სწორია თუ არასწორი?

ბ-ნი პრისთლი – არავის.

ჯენი – მაგრამ არ არის აქ აკადემია, რომელიც დაკავებულია ამით?

ბ-ნი პრისთლი – არა ინგლისში.

ლუსლი – არ აკეთებენ რაიმეს ამასთან დაკავშირებით ოქსფორდის ან კემბრიჯის უნივერსიტეტებში?

ბ-ნი პრისთლი – არა. თქვენ ხედავთ, რომ გრამატიკა ენისა არ არის სია წესებისა ძალად მოხვეული ხალხზე, რომელიც ამ ენაზე ლაპარაკობს; ის არის სწორედ ჩანაწერი, გაკეთებული გულმოდგინე დამკვირვებლის მიერ თუ როგორ ლაპარაკობს ხალხი ამ ენაზე.

პედრო – მაგრამ ჩვენ გვაქვს „წესები“ და კანონები გრამატიკისა, ლაპარაკობთ რა რომ „ეს არის სწორი და ეს არის არასწორი“. ნუთუ ენა უნდა დაექვემდებაროს ამ წესებს?

ბ-ნი პრისთლი – ჩვენ გვაქვს „ბუნების წესები და კანონები“, მაგრამ ეს არ არის წესები ბუნებისათვის, რომელსაც ბუნება უნდა დაექვემდებაროს, ეს არის ფაქტები, რომლებიც ბრძენმა ადამიანებმა შეამჩნიეს, როგორც წესი ბუნების მოქმედებისა. თუ ჩვენ შევამჩნევთ, რომ ბუნება არ მოქმედებს ამ წესების შესაბამისად, ჩვენ არ შევეცდებით ვაიძულოთ ბუნება დაექვემდებაროს მათ; ჩვენ შევცვლით წესებს და შევქმნით ახალს.

ლუსლი – და იგივე ხდება გრამატიკაშიც?

ბ-ნი პრისთლი – სწორედ. ენა ცოცხალი არსებაა, ყოველთვის ცვალებადი; ძველი სიტყვები კვდებიან და ახლები შემოდიან. ზოგიერთი კონსტრუქციები თანდათანობით გადიან ხმარებიდან, რომელთა ადგილს იკავებენ სხვები. ინგლისური დღეს არაა იგივე, რაც იყო მეთვრამეტე საუკუნეში; ალფრედ მეფისდროინდელი ინგლისური ვერ გაიგებოდა ყველა დღევანდელი ინგლისელის მიერ. ის, რაც იყო კარგი გრამატიკა შექსპირისთვის, იქნებოდა ცუდი შოუსთვის.

პედრო – დავუბრუნდეთ ადრინდელ შეკითხვას თუ რა არის გრამატიკულად „სწორი“ და რა არის გრამატიკულად „არასწორი“, თქვენ როგორ გადაწყვეტდით?

ბ-ნი პრისთლი – ყველანაირი ფორმა, გამოყენებული უმრავლესობა განათლებული ორატორების და მწერლების მიერ არის კორექტული: ანუ როგორც სვიფტი იტყოდა – „ყველაფერი ის რაც არის ჩვეულებრივ გამოყენებული ენაში, არის ჩვენი აზრით გრამატიკულად კორექტული“. ეს არის ყველაფერი.“

ჩვენც ვეთანხმებით ბატონ პრისთლის იმაში, რომ **„გრამატიკა“** ეს **„ენათმეცნიერების“** ფუნდამენტი სხვა არაფერია, თუ არა მწერლების, თამადების, მწიგნობრების და სხვათა გონებებში გადახარშული, მათის სულებისა და გულების მიერ გამოწრთობილ სიტყვათა და სიტყვათა დასრულებული აზრების ნაკადები.

„გრამატიკა“ სხვა არაფერია, თუ არა გონიერი ადამიანის კავშირი იდეათა სამყაროსთან. იმ სამყაროსთან, სადაც ყოველი სიტყვა, ყოველი ფრაზა, ყოველი წინადადება ოდითგანვე კოდირებულია და ყოველ მათგანს გააჩნია უდიდესი და უგენიალურესი შინაარსი. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ყველა ენაზე მოსაუბრეს არა აქვს ამისი საშუალება. ჩვენ მონოგენეზისის თეორიას ვიზიარებთ და ვემხრობით იმ აზრს, რომ ღმერთებთან და წინაპრებთან საუბარი მხოლოდ წინაპრების ენაზეა შესაძლებელი. ამისათვის კი საჭიროა, რომ ჩვენ წინ აღვუდგეთ ენის **„განვითარებას“**. როგორც ბატონი პრისთლი ამბობს: **„ენა ცოცხალი არსებაა, ყოველთვის ცვალებადი: ძველი სიტყვები კვდებიან და ახლები შემოდიან. ზოგიერთი კონსტრუქციები თანდათანობით გადიან ხმარებიდან, რომელთა ადგილს იკავებენ სხვები.“** ჩვენ არ უნდა დავუშვათ ის, რომ ძველი სიტყვები სამუდამოდ დაიკარგონ, რადგანაც იმ სიტყვის, უფრო სწორედ იმ სიტყვა-ენიგმის დაკარგვით ჩვენ შეიძლება დავკარგოთ იმოდენა ცოდნა, რომელი ცოდნის კომპენსაციასაც ვერავითარი **„მეცნიერებები“** ვერ შეძლებენ.

საბოლოოდ ჩვენ გვინდა ამ პატარა, მოკრძალებული (მოკრძალებული ის შეიძლება არ იყოს, ზოგიერთს ის შეიძლება ძალზედ პრეტენზიულადაც კი მოეჩვენოს, მაგრამ მიუხედავად ჩვენი არც ისე დიდი კომპეტენტურობისა მაინც გავბედეთ და გადავწყვიტეთ გამოგვეთქვა ის გულისტკივილი, რაც წლების მანძილზე დაგვიგროვდა) წერილიდან მცირედი დასკვნების გაკეთება:

1) **„მეცნიერება“** სრულებით არ ამართლებს იმ იმედებს, რასაც სადად მოაზროვნე ადამიანთა საზოგადოება ამყარებს მასზედ. და მას ხალხისთვის ჯერჯერობით ისეთი სიკეთე არ მოუტანია, რომ იმავე საზოგადოებას ერთიორად (თუ მეტად არა) არ გადაეხადოს მისთვის ამ **„სიკეთისათვის“**.

2) **„მეცნიერები“** თავისი მოღვაწეობის პირველ ეტაპზე მოქმედებენ ენერგიულად და ცდილობენ გაერკვნენ ბუნების საიდუმლოებებში, მაგრამ შემდეგ გადასცდებიან რა გარკვეულ ზღუდეს და დაინახავენ თავიანთ უსუსურობას, ხვდებიან იმ სიტყვების ჭეშმარიტებას, რომელიც ამ წერილს თავში უძღვის. მიუხედავად ამისა მათი უმრავლესობა განაგრძობს **„მოღვაწეობას“** და არ თმობს იმ პრესტიჟულ მდგომარეობას რასაც **„მეცნიერი“** და **„მეცნიერება“** ჰქვია.

3) ჩვენი აზრით ყველაზე დიდი პატივისცემის ღირსია ჰუმანიტარული დისციპლინის ის დარგი, რომელსაც ლინგვისტიკა ეწოდება. განსხვავებით სხვა **„მეცნიერებებისაგან“** მას არ გააჩნია პრეტენზია რაღაც აღმოაჩინოს. ის კმაყოფილდება იმით, რომ გაარკვიოს თუ როგორ ვითარდებოდა ხალხთა ენები, როგორ ხდებოდა მათი განსახლება და მიგრაციები.

4) საგნებისა და მოვლენების სახელები მათი ბუნებიდან მომდინარეობენ. გარდა ამისა ამ სახელებში უნდა იდოს იმდენი ცოდნა, რომ მათი გაშიფრვა საშუალებას მოგვცემს გავერკვეთ მათ არსში გაცილებით უკეთ, ვიდრე ამას შეგვაძლებინებდა **„მეცნიერების“** ნებისმიერი სხვა დარგი.

ნუგზარ კვაშილავა,
“ფაზისის” საერო-სამეცნიერო აკადემიის ნამდვილი წევრი

ილორი

ხონში ხვიჩიად დაბრუნდა ყვიჩია

სექტემბრის ბოლო საღამო კარგი განწყობითა და ჯანსაღი სიცილით იყო გამორჩეული ხონში. არც თუ დიდი ხნის წინათ აღმართული მოსე ხონელის ძეგლის შემდეგ, სწორედ ამ დღეს, ჩხენკელის საქველმოქმედო ფონდის დაფინანსებით, ქალაქს თანამედროვეობის დიდი კომიკოსის – იპოლიტე ხვიჩიას სკულპტურული პორტრეტი შეემატა. იგი დაიდგა კულტურის ცენტრის იმ შენობის წინ, რომელიც მოსახლეობის მოთხოვნით უკვე იპოლიტე ხვიჩიას სახელობისაა.

სკულპტურის ავტორია ხელოვნების მოყვარულებისათვის კარგად ცნობილი მოქანდაკე გიორგი კიკვაძე. სხვათა შორის იგი იპოლიტე ხვიჩიასადმი მიძღვნილი იმ კომპოზიციის შემქმნელიცაა, რომელიც ქუთაისში უკვე კარგა ხანია ამშვენებს ლადო მესხიშვილის თეატრის ეზოს.

წერილის დასაწყისში შემთხვევით არ გვიხსენებია მხიარული განწყობილება და ჯანსაღი სიცილი. ძეგლის საზეიმოდ გახსნის შემდეგ იპოლიტე ხვიჩიას სახელობის კულტურის ცენტრში გაიმართა შემსრულებელთა და მაყურებელთა სიმრავლით გამორჩეული იუმორის ფესტივალი, რომლის ორგანიზატორები იპოლიტე ხვიჩიას სახელობის იუმორის ეროვნულ აკადემიასთან ერთად იყვნენ იმერეთის გუბერნატორის აპარატი და ხონის მუნიციპალიტეტის გამგეობა. ფესტივალში მონაწილეობდნენ ხონის, ზესტაფონის, თერჯოლის, საჩხერის, ჭიათურის, ტყიბულის, სამტრედიის, ბაღდათის, ვანისა და ქუთაისის მუნიციპალიტეტების იუმორისტული კოლექტივები და ინდივიდუალური შემსრულებლები ფაქტობრივად მთელი იმერეთიდან... კიდევ ერთი გამორჩეული შტრიხიც. ამ მართლაც საინტერესო ფესტივალის მიმდინარეობისას, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე ზუსტად სამი კვირით ადრე გაიმართა, არ თქმულა პოლიტიკურად შეფერადებული არც ერთი ისეთი ფრაზა, რომელმაც უკვე კარგა ხანია თავი მოაბეზრა ამომრჩევლებსაც და სრულიად საქართველოსაც. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჯგუფებისა და ინდივიდების გამოსვლები შეძლებისდაგვარად იყო დახვეწილი და, როგორც წესი, გემოვნებით შერჩეული. თუმცა ჟიურიმ მათში განსაკუთრებით მაინც გამოარჩია სამტრედიის მინიატიურების თეატრი, ხონის **"იპოლიტეები"** და თერჯოლელი მომღერალი ქალბატონები, რომლებსაც იპოლიტე ხვიჩიას, პოლიკარპე კაკაბაძისა და ბაღაშვილების ფულადი პრემიები გადაეცა. სამახსოვრო საჩუქრებით დააჯილდოვეს აგრეთვე სხვა შემსრულებლებიც.

ძეგლის გახსნისას და შემდგომ, იუმორის ფესტივალის მიმდინარეობისას, როგორც ჩხენკელის საქველმოქმედო ფონდის ხელმძღვანელმა, ისე სხვებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ იპოლიტეს სკულპტურა შემთხვევით არ დადგმულა კულტურის ცენტრის წინ ისეთ ადგილას, სადაც, არქიტექტურული ჰარმონია რომ არ დაირღვეს, საპირწონედ მსოფლიო დონის შედევრის, **"ყვარყვარეს"** შემქნელის, პოლიკარპე კაკაბაძის სკულპტურაა აუცილებელიო. დარწმუნებული ვარ, რომ დიდი დრო არ დასჭირდება ამ ჩანაფიქრის ხორცშესხმასაც. გულახდილად ვიტყვი იმასაც, თუ ეს რატომ მჯერა.

დიდი დრო არ გასულა მას შემდეგ, რაც მოსე ხონელის ძეგლის საზეიმო ვითარებაში გახსნისას იუმორის ეროვნული აკადემიის თავკაცმა ბენია თხილავამ შეკრებილების წინაშე უამრავი ხონელის ხვაშიადი გაასაჯაროვა: ეგებ მოხერხდეს და ჩვენი ყვიჩია ხონს ხვიჩიად დაუბრუნდესო.

ხვიჩიად დაბრუნებული იპოლიტე ყვიჩია უკვე ხონშია. ასე რომ მშობლიურ ქალაქში უკვდავი პოლიკარპე კაკაბაძის დაბრუნებაც მალეა მოსალოდნელი. ეს მით უფრო სავარაუდოა, რომ მისი უბადლო ქუჩარა მამობილთან შესახვედრად უკვე დგას იპოლიტე ხვიჩიას სახელობის კულტურის ცენტრის წინ.

ალექსანდრე შენგელია

ფოტორეპორტაჟი იპოლიტე ხვიჩიას სახელობის კულტურის ცენტრის წინ უადრესად პოპულარული მსახიობის ძეგლის გახსნასთან და მისი სახელობის ცენტრში გამართულ ფესტივალთან დაკავშირებით მოამზადა ხონში სპეციალურად მიწვეულმა დამსახურებულმა ჟურნალისტმა, გაზეთ "ახალი წყალტუბოს" მთავარმა რედაქტორმა მურთაზ კანკაძემ.

ზუგდიდის ყველაზე ლამაზი ეზო, რომელსაც 46 წლის კაცი შვიდი წელია საკუთარი ხელით აშენებს

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალაბასთუმანში მცხოვრებმა პაატა გოგელიამ სხვადასხვა დეკორატიული ელემენტებით საკუთარი ეზოს მოწყობა შვიდი წლის წინ დაიწყო. მის ეზოში 100-მდე სხვადასხვა ჯიშის მცენარე ხარობს, მათ შორის: ბზა (კოლხური, ჩვეულებრივი და მეჩხერი), ტიტას ხე, სექვოია, ნეკერჩხალი, ბაძგი (მარადმწვანე ზოგჯერ ფოთოლმცვივანი ხეები და ბუჩქები) და ა.შ.

46 წლის პაატა გოგელიას მცენარის ჯიშები თავად გამოყავს და მათ სხვადასხვა ფორმას აძლევს. სახლის მფლობელი ამბობს, რომ ეზოს ლადშაფტის მოწყობა ძალიან მნიშვნელოვანია და ამისთვის მცენარისადმი სიყვარული აუცილებელია.

"რამდენიმე წელია ამ საქმით ვარ დაკავებული, მიყვარს მცენარეები და შესაბამისად მათ მოვლას დიდ დროს ვანდომებ. სანამ მცენარეს ფორმას შევუცვლი, დიზაინს ვხატავ, შემდეგ კი ნახატის მიხედვით ვჭრი მათ. შეიძლება მცენარეები ისე იყოს დარგული, ერთმანეთს ხელს უშლიდნენ. თუმცა, სწორი ჭრისა და მათთვის ფორმის მიცემის შემთხვევაში გადარგვას თავიდან ავიცილებთ" – ამბობს ლანდშაფტის დიზაინერი.

ეზოების მოწყობა დეკორატორისთვის შემოსავლის წყაროა, თუმცა ის ამის მიუხედავად ყველას არ თანხმდება, რადგან თვლის რომ მცენარის მოვლა ყველას არ შეუძლია.

"როდესაც ვხედავ ადამიანების ზერელე დამოკიდებულებას მცენარეების მიმართ, რაც არ უნდა შემომთავაზონ არ ვთანხმდები. გარკვეულწილად ფსიქოლოგიც და ფილოსოფოსიც ვარ, ვცნობ ადამიანებს და ვხვდები მათ დამოკიდებულებას მცენარეების მიმართ. ადამიანს უნდა უყვარდეს თავისი ეზო და რაც მთავარია მცენარეები. მცენარეს რომ გაუგო ადამინმა, მინიმალურად ფსიქოლოგიც უნდა იყო. ეს ყველას არ შეუძლია" – გვეუბნება გოგელია.

პაატა გოგელია 2011-2016 წლებში ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღს ხელმძღვანელობდა, თუმცა ამბობს, რომ მას მაშინ ბაღის საკუთარი შეხედულებებისამებრ მოწყობის საშუალება არ ჰქონდა. მიუხედავად ამისა, ბოტანიკური ბაღის მოწყობის გეგმა, რომელიც თავად შეიმუშავა ახლაც აქვს.

გოგელიას ეზო საზოგადოებამ **"მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები – საქართველოს"** ფარგლებში მიმდინარე კონკურსის მეშვეობით გაიცნო. დეკორატორის ეზო, **"ზუგდიდის ყველაზე სუფთა ეზოს"** ნომინაციაში მონაწილეობს. კონკურსი ზუგდიდის გამგეობის ა(ა)იპ **"ზუგდიდასუფთავების ცენტრის"** მხარდაჭერით იმართება.

თათია რობგავა

ფარაონის სამარხის წყევლა

რამდენიმე წლის წინ, გიზაში შემზარავი მოვლენების ჯაჭვი დაიწყო

თავის დროზე, მთელი მსოფლიოს არქეოლოგები ააფორიაქა ცნობამ იმის თაობაზე, რომ გიზაში, სადაც დიდ პირამიდაში, გადმოცემის თანახმად ფარაონ ხეოფსის მუმიფიცირებული ცხედარი უნდა განისვენებდეს, აღმოჩენილია საიდუმლო ოთახი-კამერა, სადაც ჯერჯერობით შესვლა ვერ მოხერხდა. შესვლის მცდელობას კი რამდენიმე ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.

"უფალო, შენ დაგვიფარე განსაცდელისაგან, – ამბობდა არქეოლოგი ედვინ სტოუნ მეიერი, – **თუ კი 4500 წლის წინანდელი ფარაონის განსასვენებელს მაინც გახსნიან. ჩემი აზრით, უმჯობესი იყო, საერთოდ ვერ აღმოეჩინათ ეს სამარხი"**.

რამდენიმე წლის წინ, გიზაში შემზარავი მოვლენების ჯაჭვი დაიწყო, სწორედ მაშინ, როცა ორმა ფრანგმა ეგვიპტოლოგმა ხეოფსის პირამიდის (ელინისტურმა სამყარომ გიზაში არსებული პირამიდები, მათ შორის ყველაზე უდიდესია ხეოფსის პირამიდა, **"სამყაროს შვიდ საოცრებას"** მიაკუთვნა) შიგნით, საიდუმლო ოთახი-კამერისკენ მიმავალი, მანამდე უცნობი, კამაროვანი დერეფანი აღმოაჩინა. ამ ფაქტის ოფიციალურად დამადასტურებელი დოკუმენტი ჯერ არ გამოქვეყნებულა, მაგრამ ეგვიპტის ძეგლთა დაცვის უმაღლესმა საბჭომ განგაშის ზარს შემოჰკრა. როგორც ცნობილია, ეგვიპტის სახელმწიფო კანონმდებლობით კატეგორიულად აკრძალულია პირამიდებში აღმოჩენილი მუმიფიცირებული ცხედრების ხელყოფა. სინამდვილე ში კი, ამ აკრძალვას ცოტა ვინმე თუ უწევს ანგარიშს.

მოყვარულმა არქეოლოგებმა: ჟილორ მიონმა და ჟან-ივვერ დიურმა ზემგრძნობიარე რადარისა და ეგვიპტოლოგთა პროფესიონალური ცოდნის გამოყენებით, აღმოაჩინეს, რომ ეგრეთ წოდებული დედოფლის კამერის ქვეშ მდებარეობდა კიდევ ერთი კამერა, რომლის შესასვლელი დერეფანიც გრანიტის ბლოკებით იყო ამოქოლილი. მათი აზრით, სწორედ იქ განისვენებს ფარაონ ხეოფსის, უფრო სწორედ კი – ხუფუს მუმიფიცირებული ცხედარი. ადამიანები ათასწლეულების მანძილზე ამაოდ ცდილობდნენ ამ განსასვენებლის პოვნას. სავარაუდოა, რომ ბოლოს და ბოლოს, ფარდა აეხდება ეგვიპტის მბრძანებლის საფლავის საიდუმლოს.

ლეგენდის თანახმად, თუკი ოდესმე ვინმე ფარაონ ხუფუს ცხედრის ხელყოფას გაბედავს, კაცობრიობას ისეთი საშინელი განსაცდელი დაატყდება თავს, რომელთან შედარებითაც არაფერი იქნება ისტორიულ წარსულში გადატანილი ომები და უბედურებები.

"ის ყოველივე, რაც დაუყოვნებლივ მოჰყვა აკლდამის აღმოჩენასთან დაკავშირებულ ხმებს, – განაგრძობს არქეოლოგი სტოუნ მეიერი, – **ადასტურებს იმ ხიფათის არსებობას, რაც ფარაონის საფლავის საიდუმლოს გამჟღავნებას შეიძლება მოჰყვეს"**.

ხმების გავრცელების შემდეგ, ხელისუფლებამ პირამიდის დასაცავად შეიარაღებული დაცვა დააყენა, მაგრამ თავგადასავლების მაძიებლები თუ თავზე ხელაღებული მაროდიორები, რომლებმაც სამეფო საგანძურით ხელის მოთბობა გადაწყვიტეს, არც დაცვას შეუშინდნენ... მალე დაცვამ გრანიტის კედლის სანგრევი ბურღებით შეიარაღებული სამი მძარცველი დააკავა და ციხეში, გისოსებს მიღმა მიუჩინა მათ ადგილი. დილით, ციხის კამერაში სამივე მკვდარი იპოვეს. გარდაცვლილებს ლამის ბუდიდან ჰქონდათ თვალები გადმოცვენილი. ექიმ-პათოლოგოანატომმა დაასკვნა, რომ ისინი გულის უკმარისობით გარდაიცვალნენ. გასაოცარი კი ის არის, რომ არც ერთ მათგანს არასოდეს აწუხებდა გული და თანაც, სამივე ახალგაზრდა ასაკის – ოც წელს ცოტათი იყო გადაცილებული.

ორი კვირის შემდეგ, საბედისწერო სამარხის მახლობლად, კიდევ ოთხი მძარცველის ცხედარი აღმოაჩინეს, რომლებიც დინამიტითა და ალპინისტური ნაჯახებით იყვნენ შეიარაღებულები. მათი გასივებული, უფორმო მასად ქცეული ცხედრები შემზარავი სანახავი იყო, სახე კი ოთხივე მათგანს არაბუნებრივად გასჭარხლებოდა. გაკვეთის შედეგად აღმოჩნდა, რომ კობრას შხამი გახლდათ მათი სიკვდილის მიზეზი. კობრას ვერსად მიაგნეს, მით უმეტეს, რომ პირამიდებში არც ადრე შეუმჩნევია ვინმეს ქვეწარმავლები.

რამდენიმე კვირის შემდეგ, უკვე პირამიდის გარეთ აღმოაჩინეს კიდევ ხუთი ბოროტმოქმედის ცხედარი. როგორც ჩანს, ისინიც ფარაონის სამარხის ხელყოფის მცდელობისთვის დაისაჯნენ. ცხედრებს არაბუნებრივად გადმოკარკლული თვალები და გატეხილი თავები ჰქონდათ. თავზე მიყენებული ჭრილობები კი იმაზე მიანიშნებდა, თითქოს სიკვდილის წინ ამ ადამიანებმა თავად ურტყეს კედელს თავი.

"ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს მათ რაღაც საოცრად შემზარავი რამ ნახეს, რამაც მათ გულები დაუხეთქა", – ამბობდა შემთხვევის ადგილზე მისული ერთ-ერთი სასამართლო ექსპერტი.

მართალია, ფარაონის მუმიამდე მიღწევა ჯერჯერობით ვერავინ მოახერხა, მაგრამ, როგორც ჩანს, მისი წყევლა ამოქმედდა.

სააკაშვილმა ხალხი გაძარცვა – *ირაკლი გოგავა სკანდალურ ინფორმაციას ამხელს*

გთავაზობთ საუბრების ციკლს ბატონ ირაკლი გოგავასთან, რომელიც მკითხველს აქამდე უცნობ მრავალ სკანდალურ ინფორმაციას უმხელს:

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲒᲝᲒᲐᲕᲐ – ***დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. სასწავლო კურსი გავლილი აქვს დიდ ბრიტანეთში, დაამთავრა ასპირანტურა, ევროკავშირის ჯორჯ სმიტის სახელობის პროგრამის რამდენიმე კურსი, ჯორჯ მარშალის სახელობის კრიზისის მენეჯმენტის კურსი. სტაჟირებები გავლილი აქვს საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, საბერძნეთის, შვედეთის პარლამენტებში. 1999-2004 წლებში გახლდათ საქართველოს პარლამენტის წევრი, ერთ-ერთი დიდი ფრაქციის „ალიანსი" – ახალი საქართველოს" თავმჯდომარე. ფლობს უცხო ენებს (რუსული, გერმანული, ინგლისური, უკრაინული). ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი.***

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲒᲝᲒᲐᲕᲐ: ე.წ. ვარდების რევოლუციის შემდეგ, რასაც მე სახელმწიფო გადატრიალებად ვაფასებ, ფაქტობრივად, იძულებით პოლიტიკურ ემიგრაციაში გახლდით. მართალია, ჩემს მიმართ სისხლის სამართლის საქმე არ აღუძრავთ, მაგრამ ქვეყანაში არსებული სიტუაციის გამო, ვგულისხმობ პოლიტიკური პროცესების შეჩერებას, იძულებული გავხდი, საქართველოდან წავსულიყავი. ვმუშაობდი უკრაინის პრეზიდენტ იუშჩენკოსთან კონსულტანტად, ვიმუშავე ერაყსა და იორდანიაში რეფორმების სფეროში, ამერიკის საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის ერთ-ერთ პროგრამის დირექტორად, ასევე სხვა რამდენიმე ამერიკულ ფირმასა და არასამთავრობო ორგანიზაციაშიც. 2011 წელს შემოთავაზება მქონდა ამერიკული ფირმიდან, ბილეთები უკვე ნაყიდი მქონდა ვაშინგტონში გასამგზავრებლად, როცა გამოქვეყნდა ბატონ ბიძინა ივანიშვილის ცნობილი წერილი. მეტ-ნაკლებად მაქვს პოლიტიკური გამოცდილება, მივხვდი, რომ საქართველოში პოლიტიკური ვითარება იცვლებოდა, ჩვენს ერს შანსი მიეცა, დიქტატორი თავიდან მოეშორებინა. დაუყოვნებლივ ჩამოვედი საქართველოში ოჯახთან ერთად და გარკვეულწილად დავეხმარე **„ქართულ ოცნებას"**. ამერიკიდან ჩამოვიყვანე ობიექტური დამკვირვებლები, დაახლოებით 25 კაცი, რომლებიც ათი თვის განმავლობაში ცხოვრობდნენ სხვადასხვა რეგიონში, აგროვებდნენ ობიექტურ ინფორმაციას და ანალიზს აგზავნიდნენ დაახლოებით 5 000 რესპონდენტთან, პოლიტიკოსებთან, ექსპერტებთან მთელ მსოფლიოში. მათ გარდა, ჩემი მოწვევით ამერიკიდან ჩამოვიდა ეგზიტ-პოლების შემსრულებელი ფირმა, არჩევნების დროს მათ გამოაცხადეს **„მაჟორიტარი"** ტელეეთერით რეალური ინფორმაცია. გარდა ამისა, 2012 წლის აგვისტოში სამი კვირა გავატარე ამერიკის კონგრესში, შევხვდი კონგრესმენებსა და სენატორებს, ათეულობით მკვლევარს, აპარატის ადმინისტრაციების უფროსებს, მათ შორის, კონგრესის სპიკერსა და მისი აპარატის უფროსს და გავაცანი ის რეალობა, რაც საქართველოში იყო. ბევრმა მათგანმა გაკვირვებაც კი გამოხატა, რადგან არ ჰქონდათ ინფორმაცია საქართველოში არსებულ სავალალო მდგომარეობაზე, იმ დიქტატურაზე, რაც აქ მძვინვარებდა. ასე რომ, მეც შევიტანე გარკვეული წვლილი სააკაშვილის რეჟიმის დემონტაჟში.

– 2003 წლის ნოემბერში ნამდვილად მოხდა სახელმწიფო გადატრიალება, ამ პროცესებს სხვა შეფასებას ვერ მისცემ. დიდი ფული ჩაიდო სააკაშვილის გუნდში, რომლითაც მან დაიქირავა ხალხი და მოაწყო ის ვითომდა ხავერდოვანი რევოლუცია. სააკაშვილის მთელი საარჩევნო კამპანია ძირითადად იმაში გამოიხატებოდა, რომ კუნთმაგარი ბიჭებისგან შექმნა 500-კაციანი ნახევრად შეიარაღებული ფორმირება, რომელთან ერთადაც დადიოდა რეგიონებში და ცემა-ტყეპას მართავდა. ეს ჟურნალისტებისთვის შესანიშნავი **„საკვები"** იყო და სააკაშვილი ხდებოდა დღის ამბების მთავარი გმირი. ვერ ვიტყვი, რომ მან ამით რეიტინგი შეიქმნა, მაგრამ აშკარად შეიქმნა ფონი, რომ სააკაშვილია ყველაზე რადიკალურად დაპირისპირებული ხელისუფლებასთან და ის არის, ასე ვთქვათ, მთავარი ოპოზიცია. რაც შეეხება სააკაშვილის გუნდის დაფინანსებას, არის მოსაზრება, რომ ისინი დასავლეთმა დააფინანსა. ეს არ არის მართალი, თუნდაც იმიტომ, რომ დასავლეთის ქვეყნები, კონკრეტულად კი აშშ, პოლიტიკურ პარტიებსა და პოლიტიკურ პროცესებს არ აფინანსებენ, ასე რომ, ეს არც ამერიკული ფული იყო და არც დასავლეთევროპული. ამ ფულის გარკვეული ნაწილი იყო ე.წ. **"შავი"**, რომელიც საქართველოს ფარგლებს გარედან შემოდიოდა. ამ ყველაფრის შესახებ გაცილებით მეტ ინფორმაციას ვფლობ, მაგრამ დღეს არ არის ყველა კარტის გახსნის დრო. მე ამერიკელებთან მქონდა ურთიერთობა, მოგეხსენებათ, საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარე გახლდით და შემიძლია გითხრათ, რომ მათთვისაც სრულიად მოულოდნელი იყო ეს რევოლუციური სცენარი, პრინციპში მიუღებელიც, განსაკუთრებით რესპუბლიკური ფრთისთვის. ამერიკელები პირდაპირ მოითხოვდნენ მაშინდელი ოპოზიციისგან, კერძოდ, სააკაშვილისა და ჟვანიასგან, რომ შეეწყვიტათ პრეზიდენტ შევარდნაძის გადადგომის მოთხოვნა, დალოდებოდნენ არჩევნებს, ანუ სამართლებრივ ჩარჩოებში წაეყვანათ პროცესი. რევოლუციის სპონსორებისთვის ეს მიუღებელი იქნა, ამიტომ მან მკაფიო დავალება გასცა, რომ პროცესი ბოლომდე მიეყვანათ და სახელმწიფო გადატრიალებით დაესრულებინათ. არც ის არის სიმართლე, რომ ჯორჯ სოროსი აფინანსებდა **„რევოლუციონერებს"**, მისი ფონდი უბრალოდ ფულის გამტარად იქნა გამოყენებული. სხვათა შორის, ედუარდ შევარდნაძესაც ბოლომდე ეგონა, რომ სოროსი აფინანსებდა მის წინააღმდეგ გამოსვლებსა და სახელმწიფო გადატრიალებას. აღსანიშნავია, რომ ეს არ იყო მშვიდობიანი გადატრიალება, სააკაშვილის მომხრეების დაახლოებით 600-კაციანი შეიარაღებული რაზმი ჩასაფრებული იყო პარლამენტის გვერდით, ჩიტაძის ქუჩაზე მდებარე ე.წ. სოციალ-დემოკრატების ოფისში. თუ ხელისუფლება ძალას გამოიყენებდა, ეს რაზმი მზად იყო, სროლა აეტეხა. გარდა ამისა, პარლამენტში შემოჭრილ ადამიანებსაც ჰქონდათ იარაღი. ამ პროცესების მონაწილე ვარ და საკუთარი თვალით მაქვს ნანახი. 2003 წელს, საქართველომ დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ, მეორეჯერ შეწყვიტა ევოლუციური განვითარების ფაზა, რაც დამღუპველია ნებისმიერი ქვეყნისთვის.

სააკაშვილის ცხრაწლიანი მმართველობა, რამდენიმე ეტაპად შეგვიძლია დავყოთ, პირველი, მან მოინდომა გარკვეული რეფორმების ჩატარება, ასე ვთქვათ, მოდერნიზაცია. ეს იყო მისი ჩანაფიქრი, რომლის შესრულებაც ფასადების ღებვით დაიწყო. პირველ ნაბიჯს, მეორე, სიღრმისეული პროცესი მოჰყვა, სააკაშვილმა სამართალდამცავი სტრუქტურებისგან სადამსჯელო ორგანიზაციების ქსელი ჩამოაყალიბა. მიზანი იყო ერთი – კორუფციით, შავი ბიზნესით ან თუნდაც კანონიერად ნაშოვნი ფული ამოღებულიყო მოსახლეობისგან. საქართველოსთვის ასტრონომიული თანხებია, რაც მათ ამოიღეს, თანაც ეს ხდებოდა ნახევრად ოფიციალურად, საპროცესო გარიგებების მეშვეობით. 2012 წლის ჩათვლით, ქვეყანაში აღძრული იყო 900.000-მდე სისხლის სამართლის საქმე, რომელთა უმეტესობა საპროცესო გარიგებით დასრულდა. გამამართლებელი განაჩენების რაოდენობა 1% თუ იქნებოდა. დანარჩენ შემთხვევებში დაკავებულები გაამტყუნეს და მათ აბსოლუტურ უმრავლესობასთან საპროცესო გარიგება გააფორმეს. მე 5.000 ლარზე ნაკლები საპროცესო თანხა არ გამიგია, ამ თანხასაც რაღაცა წვრილმანი დანაშაულისთვის ახდევინებდნენ, თორემ ეკონომიკურ დანაშაულობებზე პირადად ვიცნობ ხალხს, ვისაც 12 და 16 მილიონი გადაახდევინეს (საქართველოს რკინიგზის ხელმძღვანელს აკაკი ჩხაიძეს კი 100 მილიონი ლარი **"დააწერეს"**), ორი და სამი მილიონი ვინც გადაიხადა, ასეთი ათასობით ადამიანია. საბოლოო ჯამში, მოცემული პერიოდისთვის დაახლოებით 18 მილიარდამდე ლარია ამოღებული საქართველოს მოსახლეობისგან. ეს ფული წავიდა ნაციონალების შექმნილ სამ თუ ოთხ ე.წ. საქველმოქმედო ორგანიზაციაში, ერთს სამართალდამცავი ორგანოების განვითარების ფონდი ერქვა, დანარჩენების სახელი არ მახსოვს. დღეს ეს ორგანიზაციები აღარ არსებობს, დაიშალა და მათი მთელი დოკუმენტაცია დაკარგულია, ყოველ შემთხვევაში, საზოგადოება არ იცნობს. ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც ბიზნესმენებს (მეც ვიცნობ ასეთ ხალხს) პირდაპირ ოფშორულ ანგარიშებზე არიცხვინებდნენ ფულს, მათ **„დირექტივებს"** აძლევდნენ, რამდენი უნდა ჩაერიცხათ კონკრეტული ფონდის ანგარიშზე, რამდენი ნაწილი ოფშორულ ანგარიშზე და ა.შ. დღეს გვიკვირს, ეკონომიკა ვერ ვითარდება, მოსახლეობისგან ამხელა ფულს რომ ამოიღებ, ეკონომიკა როგორ განვითარდება, იმ თანხის ნაწილი ხომ ისევ რეინვესტირებას უნდა მოხმარებოდა. ინვესტიცია მილიონერმა და ბიზნესმენმა უნდა განახორციელოს, ეს ხალხი კი პირწმინდად გაძარცვა სააკაშვილმა და ნულზე დასვა. ქვეყანაში არსებული კრიზისი, რომელიც ვერა და ვერ იქნა გადაწყვეტილი, იმ პერიოდიდან მომდინარეობს, ჩვენ ფული არ გვაქვს, უცხოური ფული კი ძალზე ძვირია. ნაციონალები თავს რომ იწონებენ, კორუფცია მოვსპეთო, კორუფციის აღმოფხვრა კი არა, მისი ერთ ხელში კონსოლიდაცია მოხდა. ყველა მსხვილ იმპორტიორს **„სტავკა"** ჰქონდა დაწესებული, ზოგს 10 %-ს სთხოვდნენ, ზოგს 20 %-ს. ჩემს ნაცნობ უკრაინელ ბიზნესმენს ხორბლის შემოტანა უნდოდა, ერთ-ერთ მინისტრთან გადაამისამართეს, რომელმაც მას 20 %-ის დატოვება მოსთხოვა. ამ დროს ხორბლის მარჟა 7-8, მაქსიმუმ 9 პროცენტია. ბუნებრივია, არ შედგა ეს გარიგება, მაგრამ ეს ფაქტიც ხომ მეტყველებს, სააკაშვილის მინისტრები რა პირობებს უყენებდნენ ბიზნესმენებს, მათ შორის უცხოელებს.

„ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ"

7 კრიტერიუმი, რომლების დაკმაყოფილებაც ავტომობილებს ტექდათვალიერებისას მოუწევთ

ავტომობილების ტექდათვალიერების დროს 7 ყველაზე მნიშვნელოვანი კრიტერიუმი იმოქმედებს, რომელიც ყველას მოეთხოვება, – ამის შესახებ **"ინტერპრესნიუსს"** ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ **"სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს"** დირექტორმა მიხეილ ხმალაძემ განუცხადა.

"თავიდან დავიწყებთ იმით, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ეს არის – მუხრუჭები, საჭის მექანიზმი, სავალი ნაწილი, ხილვადობა, მაშუქები ანუ ფარები, გამონაბოლქვი და საბურავები. ჩამოთვლილი ყველაზე მნიშვნელოვანი კრიტერიუმებია, რაც ყველას მოეთხოვება, აქ ვერანაირ შეღავათს ვერ გავაკეთებთ", – განაცხადა ხმალაძემ.

როგორც მიხეილ ხმალაძემ განმარტა, ავტომობილების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების დაწყებიდან ანუ 2018 წლის პირველი იანვრიდან 2 წლის განმავლობაში საქართველოში არსებული მთელი ავტოპარკის შემოწმება მოხდება.

"პირველ ეტაპზე არის ორწლიანი ციკლი, რათა მთლიანად მთელი ავტოპარკი მოვიცვათ. შესაბამისად, როდესაც ჩვენ დავიწყებთ პირველ ტესტირებას 2018 წლიდან, ეს იქნება ორწლიანი, მაგრამ შემდეგ უკვე გადავდივართ ევროპულ სტანდარტზე, რაც არის 4+2+1. ეს იმას ნიშნავს, რომ ახალი მანქანა 4 წლამდე არ გადის სავალდებულო ტესტირებას, შემდეგ 4-დან 6 წლამდე მანქანა 2 წელიწადში ერთხელ გადის, ხოლო 6 წლის შემდეგ აბსოლუტურად ყველა ავტომობილი სავალდებულო ტესტირებას წელიწადში ერთხელ გაივლის", – განაცხადა ხმალაძემ.

რაც შეეხება პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრებს, მიხეილ ხმალაძის განცხადებით, ამ ეტაპზე საქართველოს მასშტაბით გვაქვს 26 ტესტირების ცენტრი, რომელთაც აქვთ 35 ტესტირების ხაზი, რაც იმას ნიშნავს, რომ შეიძლება იყოს ერთი ტესტირების ცენტრი, მაგრამ ჰქონდეს რამდენიმე ხაზი. ერთ ხაზზე კი ერთი მანქანა იტესტება.

მისივე თქმით, შვეიცარულმა კომპანია SGS-მა, რომელიც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების პროგრამის განხორციელებისთვის კონსულტაციას უწევს, ტესტირების ცენტრებისთვის შესაბამისი მოთხოვნები უკვე გამოაქვეყნა.

"ახალი მოთხოვნებით, პრაქტიკულად, ვერც ერთი მათგანი ვერ აკმაყოფილებს ამ სტანდარტებს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ამის გამოსწორება არ შეიძლება. ზოგიერთ მათგანს მხოლოდ მცირე რაღაცის გაკეთება მოუწევთ იმისთვის, რომ კრიტერიუმები დააკმაყოფილონ, ზოგს – ამ მხრივ ცოტა მეტი სამუშაო ექნება ჩასატარებელი, მაგრამ პრინციპში, ის მოთხოვნები, რაც შვეიცარიულ კომპანია SGS-ს აქვს, შესრულებადია. იმედი გაქვს, რომ ყველა დააკმაყოფილებს და ასევე ველოდებით ახალი კომპანიების შემოსვლას", – განაცხადა მიხეილ ხმალაძემ.

ამავე დროს, თუ მანქანა ერთხელ გაივლის ტექდათვალიერებას და არის მარჯვენასაჭიანი, მას უკვე ეკრძალება საჭის გადატანა და როდესაც ასეთი მანქანა მეორედ მივა ტესტირებაზე და მას მარცხენა მხარეს ექნება საჭე გადატანილი, სავალდებულო ტესტირებას ვეღარ გაივლის.

რაც შეეხება უკვე საჭეგადატანილ მანქანებს, რომელთა რაოდენობა, მიხეილ ხმალაძის განცხადებით, საკმაოდ დიდია, **„თუკი საჭის მექანიზმი წესრიგშია"** ისინი სავალდებულო ტექნიკურ შემოწმებას ჩვეულებრივად გაივლიან.

„ეს მანქანები სხვა პარამეტრებზე ტესტირებას ჩვეულებრივად გაივლიან, მაგრამ რაც შეეხება საჭის მექანიზმს, ჩვენ შევამოწმებთ და თუ ძალიან ცუდი მდგომარეობა არ არის, მაშინ სავალდებულო ტექნიკურ ინსპექტირებას ჩვეულებრივად გავატარებთ. თუ რაიმე პრობლემა იქნება, ამ შემთხვევაში დროს მივცემთ, რომ გამოასწორონ მინიმალურად მაინც", – განაცხადა ხმალაძემ. მან აქვე განმარტა ისიც, რომ ავტომობილების ტექდათვალიერება დაახლოებით, 60 ლარის ფარგლებში ეღირება.

როგორც მიხეილ ხმალაძემ აღნიშნა, ყველა ვარიანტში მთავრობა ზედა ზღვარს დააწესებს, ანუ ფასი იქნება რეგულირებული, რათა შემდეგ ბაზარზე ხელოვნურად არ მოხდეს ფასის გაზრდა და მოსახლეობისთვის ამ სერვისის ტვირთად დაწოლა.

გარდა ამისა, მისი თქმით, ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიერ ტექდათვალიერების არგავლის შემთხვევაში, ჯარიმის ოდენობა მნიშვნელოვნად გაიზრდება, თუმცა ხმალაძემ კონკრეტული ციფრი ამ ეტაპზე ვერ დაასახელა, რადგან, მისივე თქმით, შესაბამისი ცვლილება პარლამენტმა უნდა განახორციელოს.

იმ შემთხვევაში კი, თუ ავტომობილი ვერ გაივლის სავალდებულო ტექნიკურ ინსპექტირებას, მძღოლს ხარვეზების აღამოსაფხვრელად დაახლოებით, ერთი თვე მიეცემა, თუმცა კონკრეტული გრაფიკი ოქტომბრის ბოლოს გამოქვეყნდება.

შესაბამისი ორგანოები ასევე აქვეყნებენ ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ მძღოლებს 2006 წლის 1 აპრილამდე აღებული მართვის მოწმობით სარგებლობა 2018 წლის 1 იანვრამდე შეეძლებათ.

ამის შესახებ ინფორმაციას შსს-ს მომსახურების სააგენტო ადასტურებს.

მისივე ცნობით, მძღოლებს მართვის მოწმობის განახლებისთვის გამოცდის ჩაბარება ხელახლა არ მოუწევთ. განახლებისთვის საჭიროა მძღოლებმა გადაიხადონ 15 ლარი და წარმოადგინონ ჯანმრთელობის დამადასტურებელი ცნობა.

როგორც ცნობილია, 1 ივლისიდან მართვის მოწმობის 100-ქულიანი სისტემა ამოქმედდა. ცვლილების მიხედვით, მძღოლს ყოველი წლის 1 იანვარს 100 ქულა ენიჭება და წლის განმავლობაში სამართალდარღვევებზე შესაბამისი ქულები აკლდება.

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

გიორგი დემეტრაძე: ჯობს შენ გცემდნენ, ვიდრე ამ საშინელებას გვერდიდან უყურებდე

გიორგი დემეტრაძე საუკეთესო ქართველი ლეგიონერია მათ შორის, ვისაც კი ოდესმე რუსეთის ჩემპიონატში უთამაშია.

– უკვე ექვს წელზე მეტია, რაც ციხიდან გაგათავისუფლეს. ახლა რითი ხარ დაკავებული?

– საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში მენეჯერად ვმუშაობ. რასაც დამავალებენ, იმას ვაკეთებ.

– საქართველოში ვნახე, რომ მობილურ ოპერატორებსა და ბანკებს რეკლამას მორაგბეები უკეთებენ...

– ალბათ ხედავთ, მორაგბეთა ეროვნული ნაკრები რა დონეზე თამაშობს. ერთხელ მსოფლიოს ან ევროპის ჩემპიონატზე რომ მოვხვდეთ, სპონსორები ჩვენც გვეყოლება.

– იქ მოხვედრა არც თქვენს თაობას გამოუვიდა.

– ყველაზე ხშირი კითხვა, რომელიც კი ოდესმე მსმენია, სწორედ ესაა – რატომ არ გამოგივიდათ? ყოველთვის ცოტა გვაკლდებოდა. არადა, კარგი მწვრთნელები გვყავდა და ფეხბურთელებსაც ნებისმიერი გუნდის დამარცხება შეგვეძლო.

– "ფეინოორდში" გაზაევმა გიპოვა?

– შესაძლოა, ვინმე სხვაც იყო, მაგრამ მოლაპარაკებებს ნამდვილად ის მართავდა. ჰოლანდიაში ძალიან პატარა, 20 წლის ასაკში წავედი. ინგლისურად ერთი სიტყვაც კი არ ვიცოდი, ამიტომ არაფერი მესმოდა.

– ჰოლანდიაში გყავს მეგობრები?

– ერთ ქართველს ვეკონტაქტებოდი, მაგრამ ის არაა ფეხბურთელი. ადგილობრივები კი უცნაურები არიან. არსად გპატიჟებენ, ვარჯიშის შემდეგ არ რჩებიან... ბალახს ჩემს დროს არავინ ეწეოდა. ლუდს კი ისე სვამდნენ, როგორც ახლა მე და თქვენ.

– ევროპიდან რატო წახვედი?

– მაშინ "ფეინოორდს" ბეენჰაკერი წვრთნიდა. ძალიან კარგი, პატივსაცემი პიროვნება, მაგრამ ჩემს პოზიციაზე არ მაყენებდა. წინ არგენტინელი კრუზი თამაშობდა, მე კი ჰოლანდიური სქემით ფლანგზე ვმოძრაობდი. ვერ მივეჩვიე ასეთ თამაშს. გოლების გატანა მინდოდა. რუსეთში წავედი. ეს გადაწყვეტილება არ მინანია – გაზაევმა ფეხბურთელად მაქცია!

– ჩემპიონატებს შორის განსხვავება დიდი იყო?

– რა თქმა უნდა, ვლადიკავკაზში ასჯერ უკეთესი იყო. როტერდამში ბაზაც კი არ გვქონდა. საშუალო ხარისხის სათადარიგოთა მოედანზე ვვარჯიშობდი და შემდეგ სახლში მივდიოდი. "ალანიაში" კი ყველაფერი მაგრად იყო. ოთახში ტელევიზორები გვქონდა, ბილიარდი, დარბაზი, აუზი, მოედნები...

– ხელფასის სახით რამდენს იღებდი?

– საიდუმლოა. ვიტყვი, რომ თბილისში სახლში შევიძინე, მაგრამ მოლოდინები ხომ გავამართლე?! პირველივე მატჩში გოლი გავიტანე, მერე კიდევ და კიდევ. ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გავხდი, თასი მოვიპოვე და სამ მილიონადაც გამყიდეს. იმ დროისთვის ეს დიდი ფული იყო. ასე რომ, ჩემგან ხეირი ნამდვილად იყო, კარგი ლეგიონერი ვიყავი.

– კიევის "დინამომ" გიყიდა, რომელსაც ჯერ კიდევ ლობანოვსკი წვრთნიდა. როგორი იყო ის?

– საუკეთესო. ლამის პირველივე ვარჯიშზე მოვკვდი, მაგრამ ავიტანე. ადამიანი ცხოველია, ის ყველაფერს ეჩვევა.

– ამბობენ, კიევის "დინამოდან" ადრე იმიტომ წახვედი, რომ დაცვაში მუშაობა არ გინდოდა.

– კიევში მართლა ასე იყო – ყველა ფეხბურთელი, მათ შორის ფორვარდიც, დაცვაზეც ზრუნავდა, მაგრამ ამის გამო არ წავსულვარ. "სოსიედადმა" კლუბს ჩემს სანაცვლოდ 5 მილიონზე მეტი შესთავაზა.

– მოგეწონა?

– არც ისე. არაევროპელებს ლეგიონერებად გვთვლიდნენ, ამიტომ ორმაგი კონკურენცია იყო. თანაც, მუხლის ტრავმა მივიღე და შვიდი თვე გამიცდა.

– "სოსიედადში" ვალერი კარპინთან და დიმიტრი ხოხლოვთან ერთად თამაშობდი.

– დიმა ძალიან კარგი ადამიანია. მასთან ვმეგობრობდი, ყოველთვის მეხმარებოდა, სახლში მპატიჟებდა. კარპინი მოგვიანებით მოვიდა, მაგრამ ის სხვაა. ახლა სად არის?

– ტელევიზიაში. უფროსიცაა და წამყვანიც.

– აი, თან უფროსობა და თან მოყოლა კი მართლა მისი საქმეა. ის მაშინ ესპანელებს ემეგობრებოდა, ლიდერად სწრაფად იქცა, მე კი **"ლოკომოტივშიში"** წავედი.

– იქ არ გამოგივიდა.

– ყველაფერი ტრავმის ბრალია, მაგრამ სიომინი კეთილი ადამიანია. არ მინდა იმ დროის გახსენება, სჯობს დონეცკზე ვისაუბროთ.

– "მეტალურგის" შემდეგ ერთ წელზე მეტი არსად გაჩერებულხარ. "ალანიაში", "მაკაბიში", "ბაქოში" იყავი.

– და კვიპროსშიც წავიდოდი, იქ მელოდნენ. შესანიშავ ფორმაში ვიყავი და რამდენიმე წელს ნამდვილად ვითამაშებდი. გადასასვლელად ვემზადებოდი, დილას ვივარჯიშე, შემდეგ მეგობართან შესახვედრად წავედი და... ციხეში აღმოვჩნდი.

– ეს როგორ მოხდა?

– ერთ ადგილას მივედი და 30-მდე ადამიანი მოვარდა. არავინ არაფერს მეუბნებოდა, ბრალსაც არ მიყენებდნენ. რა თქმა უნდა, ჩხუბი დავიწყე და ძალიან მაგრადაც მივიღე. სახეში, ფეხებში მირტყამდნენ. სისხლი მდიოდა. ასე მუშაობდა ჩვენთან პოლიცია.

– ქურდული ტრადიციების მიმდევრობაში გადანაშაულებდნენ. ეს რას ნიშნავს?

– იგივეს ვეკითხებოდი მოსამართლეს. **"ქალბატონო, ექვსი წლიდან ფეხბურთს ვთამაშობ, რა ქურდული ტრადიციები შეიძლება მქონდეს?"** მისთვის კი სულერთი იყო.

– თქვენ ხომ თანხით დაკავეს, თითქოს კოლექტორის ფუქციას ასრულებდით და კლიენტი-ბუკმეკერებისთვის ფულის ამოღებაზე მუშაობდით.

– მითხრეს, რომ თანხა **"ქურდულ ობშიაკში"** შემქონდა. კუპიურებზე კი თითების ანაბეჭდებიც არ აღმოჩნდა.

– აბა სად მიგქონდათ?

– არსად, ფული ჩამიდეს. ამის შესახებ მოსამართლესაც ვუთხარი: **"შეხედეთ ჩემ ჯიბეებს – ამხელა ფული როგორ ჩაეტეოდა?"** მან მიპასუხა: **"ხელში გეჭირა"**.

– აბა, რას გერჩოდნენ?

– გვარები დამისახელეს, რომელთა წინააღმდეგ გამზადებული ჩვენება უნდა მიმეცა. მაგრამ 30 წელი ვიცხოვრე პატიოსნად და დამბეზღებელი ვერაფრით გავხდებოდი.

– მაშინ კახა კალაძე გამოგესარჩლათ.

– ჩვენ მეგობრები ვიყავით და ვართ. მაშინ ის პოლიტიკოსი გახდა და მიშას დაუპირისპირდა. ბევრი ფიქრობს, რომ ჩემი დაკავება კახას საქმიანობისთვის ხელის შეშლასაც უკავშირდებოდა. ექვსი წელი მომისაჯეს, 2,5 წლის შემდეგ კი სააკაშვილმა თავად შემიმცირა ვადა.

– მასთან როგორი ურთიერთობა გაქვთ?

– ეს ავადმყოფი ადამიანია, რომელმაც მთელი ერი ციხეში ჩასვა. დააკვირდით მიშას: როგორ ლაპარაკობს, ჭამს, დადის. საქართველოში ვერასდროს დაბრუნდება, რადგან სერიოზული მუხლითაა გასამართლებული... დღეს კი ყველაფერი კარგადაა. არავის იჭერენ, ადამიანები მშვიდად ცხოვრობენ. მიშა რომ დარჩენილიყო, არანაირი ევროპა არ იქნებოდა. რუსეთთან კი, ჩემი აზრით მოძმე ქვეყანასთან, საერთოდ ყველანაირი ურთიერთობა დასრულდებოდა. ჩვენ არ გვჭირდება არც ომი და არც ციხეები. ადამიანებს მშვიდად ცხოვრება და ფეხბურთის თამაში სურთ.

მეგრულენოვანი ჯაზი თეონა მოსიასგან

ზუგდიდელი თეონა მოსია 10-წელზე მეტია ავსტრიაში ცხოვრობს. ახლახან მშობლიურ ქალაქში იყო და 1 სექტემბერს კონცერტი გამართა.

კონცერტამდე მას დადიანების სასახლის ეზოში შევხვდით. თეონას დათანხმება ვიდეოს გადაღებაზე რთული აღმოჩნდა. ამბობს, რომ კამერასთან საუბარი არ უყვარს და თავისუფალი მხოლოდ სცენაზეა, მხოლოდ მაშინ, როცა ჯაზს მღერის.

„ვმღერი მეგრულ ხალხურ სიმღერებს ჯაზური არანჟირებით. როგორც კი ლამაზ ლექსს წავიკითხავ მეგრულ ენაზე, თავისთავად მომდის იდეა, რომ მასზე მუსიკა შევქმნა, მაგალითად ზაალ ჯალაღონიას, გიგა ქავთარაძის ლექსებზე შესრულებული კომპოზიციები ძალიან წარმატებული გამოდგა“, – გვითხრა მომღერალმა და შენიშნა, რომ რეპერტუარი მრავალფეროვანი აქვს.

თეონა მოსიას კონცერტი ზუგდიდის მუსიკალური სკოლის საკონცერტო დარბაზში შედგა და მასზე დასწრება თავისუფალი იყო.

გაზეთ "ილორისათვის" ფინანსური დახმარების მსურველებს შეუძლიათ გადმორიცხონ თანხა შემდეგ საბანკო ანგარიზე:

ს.ს „ლიბერთი ბანკი“

ანგარიშის ნომერი: GE79LB0711188020717000

ანგარიშის №ვალუტაში: GEL / USD / EUR – მულტი სავალუტო ანგარიში

მფო: 220101480

მიმღები ბანკის დასახელება და მისამართი: ს.ს. „ლიბერთი ბანკი“

ი. ჭავჭავაძის გამზირი 74

თბილისი, 0162, საქართველო

მიმღები ბანკის swift კოდი: LBRTGE22

ანგარიშის მფლობელი (მიმღები): ანზორი დანელია,

ტელ. 571 22 66 34

აკადემიკოსი ფრიდონ თოდუა გარდაიცვალა

გაზეთი "ილორი" მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა აკადემიკოსი ფრიდონ თოდუა.

ფრიდონ თოდუა 1991 წლიდან კლინიკური მედიცინის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელი იყო. 1995 წლიდან დღემდე იყო "საქართველოს რადიოლოგთა ასოციაციის" და "ტელემედიცინის ასოციაციის" პრეზიდენტი, საქართველოს სამედიცინო აკადემიის აკადემიკოსი. მას მე-7 მოწვევის პარლამენტში ვიცე-სპიკერის თანამდებობა ეკავა.

ფრიდონ თოდუა იყო 500-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, 8 მონოგრაფიის და 15 გამოგონების ავტორი. 200-ზე მეტი საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმის მონაწილე. 15 სადოქტორო და 44 საკანდიდატო დისერტაციის სამეცნიერო ხელმძღვანელი.

იუმორი

– შვილო, რამდენჯერ უნდა გაგიმეორო, რომ მე გაგაჩინე და ინტერნეტიდან არ "გადმომიქაჩიხარ".

* * *

– უკაცრავად, თქვენ ჩემს მარაოზე ზიხართ.

– მართლა? მეც არ გამიკვირდა, საიდან მიბერავს-მეთქი?!

* * *

დიდ უნივერმაღში ქმარმა ცოლი დაკარგა და ლამაზ გამყიდველს ეუბნება:

– გამიღიმეთ, რა!

– რატომ?

– ჩემი ცოლი მაშინვე აქ გაჩნდება!

* * *

ლენინმა გვიანდერძა: "სწავლა, სწავლა და სწავლა".

ლენინი – არ მიანდერძია, უბრალოდ, პასტას ვამოწმებდი.

* * *

– გაქვთ კანფეტი "ძროხის ფრთა"?

– რა სისულელეა!

– ვერ გავიგე, "ჩიტის რძე" რატომ არ არის სისულელე?

* * *

– მომკლა ამ უფულობამ, შენ რომ არ მყავდე, რა მეშველებოდა, – აქებს ქმარი ცოლს, – მეც რომ შენნაირი სამსახური მაშოვნინა...

– არა, არა, შენ მაგას ვერ გაუძლებ!

სასწაულმოქმედი პრეპარატები "დომენტოლი" და "გაგენოლი" მუდამ იქნებიან თქვენი ჯანმრთელობის სამსახურში

დომენტი გაბნიძის მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, ჰკურნავს გაფანტული სკლეროზს და შიდსს, შვლის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, C-ჰეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.

მკურნალის საქმეს წარმატებით აგრძელებენ მისი შვილები: ზეზვა და დოდო.

კოორდინატებია: თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო "ისანთან"), ყოველდღე – 10-დან 16 საათამდე.

ტელ: 593-22-66-51, 593-62-28-48

მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან

ISSN 1987-8966 "ილორი"

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 სარეგ. №01018002930 234-32-95

მთავარი რედაქტორი: **როლანდ ჯალაღანია**

გაზეთის მენეჯერი: 599-34-37-27 ტექრედაქტორი 568-01-21-32

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე **WWW.saqinform.ge**